ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

„ეკონომიკა და ფინანსები“

თბილისი
2018

Institute of Economic Research and Development
Georgian Technical University

„Economics and Finance“

Tbilisi
2018

UDC(უაკ)050:[33+336] ე-491

ISSN – 2587 - 5000

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“
გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-
ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და ეკონომიკის კვლევის და
განვითარების ინსტიტუტის გადაწყვეტილებით

International refered and reviewed scientific journal „Ecinimics and Finance“ published by the decision of Georgian Technical University's Faculty of Business Technologie and Institute of Economic Research and Development

ჟურნალი გამოდის 2018 წლიდან, წელიწადში ოთხჯერ

The magazine has been published since 2018, four times a year

გამომცემლობა: „დანი“ 29.12.2018

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი

სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“-ს

ზოგადი დებულება:

ჟურნალის დამფუძნებელია სამეცნიერო-საგანმანათლებლო ორგანიზაცია ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი და მას ეკუთვნის "Copyright" უფლება. ჟურნალის თანადამფუძნებელია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო ურნალის დანიშნულებაა მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ მოპოვებული ახალი მიღწევების, გამოკვლევათა მასალებისა და შედეგების ოპერატიულად გამოქვეყნება და შენახვა. სტატიების რეცენზირებას, ექსპერტიზას და გამოცემას აფინანსებს საქართველოს ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი.

კ ო ნ ც ე პ ც ი ა

ჟურნალი შინაარსობრივად არის სრულტექსტიანი; ჟურნალი გამოიცემა მხოლოდ ელექტრონული სახით ისე ნაბეჭდი ვერსიის ფორმით.[1] გამოსაქვეყნებლად მიღებული ყველა მასალა რეცენზირდება და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში გამოქვეყნდება ჟურნალში. რეცენზირება დაფარულია, ანუ ავტორისათვის უცნობი რჩება რეცენზენტის ვინაობა. ჟურნალის ყველა მასალა გადაიწერება CD-დ ისკზე და ინახება განუსაზღვრელი დროით. შენახვას უზრუნველყოფს “ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი“ როგორც მისი დამფუძნებელი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს

[1] ჟურნალის Web-გვერდი: https://ganatleba.wixsite.com/ecofin

ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, რითაც დაცული იქნება ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ავტორთა საავტორო უფლება.

ჟურნალი ორიენტირებულია უპირველესად იმ სამეცნიერო მასალებზე, რომლებიც არსად გამოქვეყნებულა (სტატიები, გამოკვლევათა შედეგები, ანგარიშები და ა.შ.) და ავტორთა მიერ ჟურნალს გადაეცემა, გამოიყენება მხოლოდ სამეცნიერო მიზნებისათვის და ამ მასალებზე დაცული იქნება ყველა მატერიალური თუ არამატერიალური საავტორო უფლება.

ავტორები პასუხისგებელნი არიან სტატიის შინაარსსა და მის გამოქვეყნებაზე. ავტორებისათვის პუბლიკაცია ფასიანია.

ჟურნალის რედაქცია არ აგებს პასუხს სტატიის პუბლიკაციის შედეგად გამოწვეულ შესაძლო ზარალზე. იმ შემთხვევაში, თუ მასალების გამოქვეყნების შედეგად მოხდა საავტორო ან სხვა უფლებების, საზოგადოდ მიღებული სამეცნიერო ეთიკის ნორმების დარღვევა, რედაქცია უფლებამოსილია გამოქვეყნებული მასალა ამოიღოს მონაცემთა ბაზიდან. სტატიების რეცენზირებას, ექსპერტიზას და გამოცემას აფინანსებს ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია მოწოდებულია ჟურნალის მაღალი სამეცნიერო სტატუსისა და ავტორიტეტის შექმნისათვის და ორიენტირებულია იმ კრიტერიუმებზე, რაც მოეთხოვება სამეცნიერო ტრადიციების მქონე აკადემიურ ჟურნალებს.

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე - გიორგი ცაავა

მთავარი რედაქტორი – დავით ჩახვაშვილი

ლ. ბახტაძე, რ. ბურდიაშვილი, ნ. გრიგოლაია, ს. გოგჩე (თურქეთი), მ. ვანიშვილი, ნ. ვდოვენკო (უკრაინა), კ. ჯ. კარლოვითზი (უნგრეთი), მ. კედზიერსკი (პოლონეთი), ტ. ლიპაი (ბელორუსი), ი. მაზური (უკრაინა), ვ. მოსიაშვილი, მ. ნარსია, ჯ. რედელშეიმერი (აშშ), ნ. სამჭკუაშვილი, მ. ტროჯაკი (პოლონეთი), ა. ქუთათელაძე (ელ. ვერსიის ტექნიკური რედაქტორი), რ. ქუთათელაძე, ნ. ჭიკაიძე.

Editorial Staff

Head of the editorial board – Giorgi Tsaava

Editor-in-Chief – David Cakhvashvili

L. Bakhtadze, R. Burdiashvili, N. Grigolaia, C. Gokce (Turkey), M. Vanishvili, N. Vdovenko (Ukraine), T.J. Karlovitz (Hungary), M. Kedzierski (Poland), T. Lipai (Belarus), I. Mazur (Ukraine), V. Mosiashvili, M. Narsia, J. Redelsheimer (USA), N. Samchkuashvili, M. Trojak (Poland), A. Kutateladze, R. Kutateladze, N. Chikaidze.

www.facebook.com/economics.finance.ge

სარჩევი

თორნიკე შიოშვილი - მსესხებლის კრედიტუნარიანობის - „Dun and Bradstreet“ მეთოდიის თავისებურებები 11

ჯაბა ცენტერაძე – ჩრდილოეთ კორეა და ჩრდილოეთ კორეელი ხალხის ინტეგრაციის პრობლემა სამხრეთ კორეაში, გეგმიური ეკონომიკის გავლენა საზოგადოებაზე 21

ელისო გაბეჩავა – სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ინფორმაციული ურთიერთქმედების თანამედროვე მოდელები 29

მერაბ გეჯუა - ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, როგორც მენეჯმენტის ინოვაციური ტექნოლოგია 41

ეკა ბერაია - მუნიციპალური მართვის ხარისხის მენეჯმენტის თეორიული საფუძვლები 49

გიორგი ცაავა, ვალერი მოსიაშვილი – კომპანიის „უზარალობის წერტილის“ მაკროეკონომიკური კონცეფციის საფუძველზე ბანკის მსესხებლის კრედიტუნარიანობისა და საინვესტიციო პროექტის შეფასების პრობლემატიკა 63

ნათია ახალკაცი - საბიუჯეტო და საგადასახადო დაგეგმვის როლი ტერიტორიული ერთეულების ფინანსების ორგანიზაციის პროცესში 87

მარიამ ძებისაშვილი – მწვანე ეკონომიკის როლი მდგრად განვითარებაში 100

ლალი ხიხაძე - საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების თანამედროვე მეთოდები და სამართლებრივი ასპექტები 110

დავით ჩახვაშვილი - ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კორეული მოდელის თავისებურებები 121

იოსებ ფოჩხუა - ერთეულოვან სფეროზე ლაპლასის განზოგადოებული ოპერატორი 130

ლია ოტიაშვილი - ფინანსური მენეჯმენტის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში 134

ეთერ მამაცაშვილი – სისტემური (ერთდროულად მოქმედი) რისკების თანამედროვე გაგებისთვის 139

მეგი ანანიძე - ეროვნული და უცხოური ინვესტიციების ოპტიმალური თანაფარდობის როლი ეროვნული ბიზნესის განვითარებაში 152

საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020 159

Contents

Tornike Shioshvili – The characteristics of the credibility of the borrower - the "Dun and Bradstreet" method 11

Jaba Tsenteradze - North Korea and North Korean people's integration problem in South Korea and how planned economy affecting them 21

Eliso Gabechava - Modern models of information interaction between the state and society 29

Merab Gejua - Human resources management as an Innovative Technology for Management 41

Eka Beraia - Resume about the Theoretical Principles of Quality Management of Municipal Governance 49

Giorgi Tsaava, Valeri Mosiashvili - Problem Assessment of Credit Bankability and Investment Project Borrower based on the macroeconomic concept of the company's "point of break-even" 63

Natia Akhalkatsi – Role of Budget and Tax Planning in Territorial Unions Financing Organization 87

Mariam Dzebisashvili - The role of Green Economy in Sustainable Development 100

Lali Khikhadze – Modern methods of international trade regulation and legal aspects 110

Davit Chakhvashvili – Features of the Korean model of state regulation of the economy 121

Ioseb Pochkhua - Generalized Laplace operator on the unit sphere 130

Lia Otiashvili – Evaluation of the economic efficiency of the financial management of higher educational institutions of Georgia 134

Eter Mamatsashvili - To the modern concept of systemic risks (simultaneously acting) 139

Megi Ananidze - The role of the optimal ratio between national and foreign investments in the development of national business 152

Georgia's Rural Development Strategy 2017-2020 159

მსესხებლის კრედიტუნარიანობის - „Dun and Bradstreet“ მეთოდიის თავისებურებები

The characteristics of the credibility of the borrower - the "Dun and Bradstreet" method

თორნიკე შიოშვილი - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Tornike Shioshvili – Doctoral student,
Georgian Technical University

რეზიუმე: სამამულო და განსაკუთრებით მსოფლიო პრაქტიკაში საწარმო-მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შეფასების საკმარისი გამოცდილებაა დაგროვებული. აღნიშნული გამოცდილებისადმი ყურადღების მიქცევა შეიძლება თანამედროვე პირობებშიც იყოს სასაეგებლო, რამდენადაც შეიძლება დამაჯერებლად ითქვას იმ ფაქტის შესახებ, რომ კლიემტის კრედიტუნარიანობის განსაზღვრა თითოეულ საკრედიტო ორგანიზაციაში ინდივიდუალურ, სუბიექტურ ხასიათს ატარებს და აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში საერთო რეკომენდაციები საკმარისი არ არის. სამწუხაროდ, გვიხდება კონსტატირება, რომ კრედიტუნარიანობის რეიტინგის განსაზღვრის დეტალური ალგორითმი კონკრეტული ბანკის (სარეიტინგო ორგანიზაციის) თავისებურ ნოუ-ჰაუს წარმოადგენს. ჩვენ არ შეგვიძლია რეიტინგის მნიშვნელობაზე ცალკეული ფაქტორების ზემოქმედების ხარისხის შესახებ დამაჯერებლად ვისაუბროთ. თუმცა უშუალოდ ექსპერტული შეფასების მოდელების გამოყენების შემთხვევაში ფაქტორების ზემოქმედების ხარისხის შესახებ საკითხი ნებისმიერ შემთხვევაში ღიად რჩება. ამიტომ საკრედიტო რეიტინგის განსაზღვრისას მხედველობაში მიღებადი ფაქტორების ერთობლიობის განხილვით შემოვიფარგლოთ.

Abstract: In patriotic and especially world practice, the enterprise-enough experience of assessing the financial condition of the borrower is accumulated. The experience of the experience may be in the modern conditions, as far as it can be asserted that the determination of the client's credibility is the individual, subjective nature of each credit organization and the general recommendations are not enough in this regard. Unfortunately, we come to acknowledge that a detailed

algorithm for determining credit ratings is a specific know-how of a specific bank (rating organization). We can not talk about the value of the rating convincingly about the quality of individual factors. However, in case of use of expert assessment models, the question of impact of factors affects anyway. Therefore, we are limited to considering the combination of factors that are taken into account in determining credit ratings.

საკვანძო სიტყვები: კრედიტუნარიანობა, საკრედიტო რეიტინგი, ფინანსური მაჩვენებლები, საკუთარი კაპიტალი, მოგების ნორმა.
Key Words: creditworthiness, credit rating, financial indicators, net worth , profit margin.

I. მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების „Dun and Bradstreet" მეთოდი: კომპანია „Dun and Bradstreet"-ის მიერ მსესხებელზე ჩამოყალიბებული საკრედიტო დოსიე შედგება შემდეგი განაყოფებისაგან:

1. საწარმოს იდენტიფიკაცია (Identification). აღნიშნულ განაყოფში თავის გამოსახვას პოულობენ - კომპანიის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი, შექმნის წელი, საკუთრების ფორმა, მუშაკთა რიცხოვნობა, საწესდებო კაპიტალის თანხა და დასაქმების სფერო.

2. საკრედიტო ანალიზის შედეგი (Evaluation). მოცემულ განაყოფში მიეთითება - საწარმოსათვის მიკუთვნებული საკრედიტო რეიტინგი, მოცემული მსესხებლისათვის შესაძლო გასაცემი კრედიტის მაქსიმალური თანხა, დაშვებული ვადაგადაცილებული დავალიანების დღეთა საშუალო რაოდენობა, D&B-ს სპეციალური შკალის მიხედვით საწარმოსათვის მიკუთვნებული ქულების (ბალების) რაოდენობა.

3. საზოგადოებრივი ინფორმაცია (Public notice information). საჯარო ხასიათის ინფორმაცია, ისეთი, როგორიცაა საწარმოს შსახებ საქმის სასამართლოში განხილვა, ძირითადი ხელმოწერილი ხელშეკრულებების მიმოხილვა (ძირითადი ყურადრება გირაოს ხელშეკრულებებს ეტმობა).

4. ბანკები (Banks). საწარმოს მიერ გახსნილი ანგარიშების ჩამონათვალი იმ ბანკების მოლკე დახასიათებით, რომლებიც მის საანგარიშსწოებო-სალაროს მომსახურებას ახორციელებენ.

5. დირექტორების შემადგენლობა (Principals). მონაცემები დირექტორთა საბჭოს, უმაღლესი რგოლის მენეჯერების, მდივნების შემადგელობის შესახებ.

6. ფინანსური ინფორმაცია (Financial information). მოიყვანება ბუღალტრული ბალანსისა და მოგებისა და ზარალის შესახებ მონაცემები ანგარიშგების ბოლო თარიღისათვის.

7. ფინანსური მაჩვენებლების შედარება (Financial comparison and key performance). შედარება ხორციელდება ძირითადი ფინანსური მაჩვენებლებისა და საკვანძო კოეფიციენტების ბოლო სამი წლის განმავლობაში (ცხრ. 1.1). მითითებული მაჩვენებლების საფუძველზე მსესხებელს რეიტინგი D&B მიენიჭება. სამწუხაროდ, რეიტინგის გაანგარიშების (კოეფიციენტების წონების, კრიტერიალური მნიშვნელობების და ა.შ.) მეთოდიკა არ მჟღავნდება. შემდეგ მაქსიმალურად შესაძლო კრედიტის თანხები, ანუ დაკრედიტების ლიმიტები განისაზღვრება.

8. საანგარიშო პოლიტიკა (Paument habits). D&B-ს საშუალოსტატისტიკური დარგობრივი მონაცემების საფუძველზე განისაზღვრება ვადაგადაცილებული დავალიანების საშუალო ხანგრძლივობა და საწარმოს ბალების (ქულების) გარკვეული რაოდენობა მიეკუთვნება. მაგალითად, 78 ბალი (ქულა) ნიშნავს, რომ საწარმოს დაშვებული ვადაგადაცილებული დავალიანების ხანგრძლივობის მიხედვით ადგილი პირველ სეგმენტში უკავია, ანუ ანგარიშსწორებებში 3 დღეზე მეთი დღით შეკავებას არ უშვებს. ანგარიშსწორებების 3-დან - 16 დღემდე ვადით შეკავებისას ბალების რაოდენობა 69-ის ტოლია, ხოლო ვადაგადაცილებული დავალიანების უფრო მნიშვნელოვანი ხანგრძლივობის არსებობის შემთხვევაში - 58 ბალი.

9. საწარმოს სტრუქტურა (Corporate structure). მოცემულ განაყოფში საწარმოს აქციონერების, ფილიალების, მართვის სისტემების შესახებ მონაცები მიეთითება.

ცხრილი 1.1. ძირითადი მაჩვენებლებისა და საკვანძო კოეფიციენტების შედარების მონაცემები

მაჩვენებელი (კოეფიციენტი):	**31. 12. 14**	**31. 12. 15**	**31. 12. 16**
ამონაგები რეალიზაციიდან დღგ-ს გამოკლებით			
სუფთა მოგება			
საკუთარი კაპიტალი (Net worth)			
ძირითადი საშუალებები (fixed assets)			
საბრუნავი აქტივები (Current assets)			
აქტივები - სულ (Total assets)			
მოკლევადიანი პასივები (Current liabilities)			
საბრუნავი კაპიტალი (Working capital)			
გრძელვადიანი პასივები (long debt)			

კრედიტუნარიანობის ანალიზისას D&B მეთოდიკა იყენებს მაჩვენებლების შემდეგ სამ ჯგუფს: მოგებიანობის, ფინანსური მდგომარეობისა (ლიკვიდობა, ლევერიჯი) და აქტივების ბრუნვადობის (ცხრ. 1.2).

ამრიგად, კომპანიის საკრედიტო დოსიეს ზემოთ განხილული მეთოდიკით შედგენის თანახმად, მსესხებელს საკრედიტო რეიტინგი მიენიჭება **შემდეგი კოეფიციენტების** საფუძველზე: **მოგებიანობა, ლიკვიდობა, ლევერეჯი და ბრუნვადობა.** მოცემული მეთოდიკა კიდევ ერთხელ მოწმობს საწარმოს რეიტინგული შეფასების ძირითადი პრობლემის - **რეიტინგში შემავალი კოეფიციენტებისათვის** და **რეიტინგის კრიტერიალური მნიშვნელობებისათვის** (რომლების მეშვეობით მსესხებლის

საიმედობის ამა თუ იმ ჯგუფზე მიკუთვნებადობა განსაზღვრება) **ოპტიმალური წონების შერჩევის შესახებ**.

ცხრილი 1.2. მაჩვენებელი მსესხებელის კრედიტუნარიანობის ანალიზისათვის

მაჩვენებელი:	**31. 12. 14**	**31. 12. 15**	**31. 12. 16**
მოგებიანობა			
მოგების ნორმა (Profit margin) = =გადასახადდასაბეგრი მოგება : :ამონაგები დღგ-ს გარეშე			
ფინანსური მდგომარეობა			
K მყისიერი ლიკვიდობის (Acid test) = =მაღალიკვიდური აქტივები ::მოკლევადიანი პასივები			
K გადაფარვის (Current ratio) = =საბრუნავი აქტივები ::მოკლევადიანი პასივები			
K ლევერეჯის (Solvency ratio) = პასივები: : საკუთარი კაპიტალი			
ძირითადი საშუალებები : საკუთარი კაპიტალი			
აქტივების ბრუნვადობა			
მარაგების ბრუნვადობა (Stock turnover rate) = ამონაგები დღგ-ს გარეშე: :მარაგები და დაუმთავრებელი წარმოება			
დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის პერიოდი (Collection period-days) = დებიტორული დავალიანება x 365 : ამონაგები დღგ-ს გარეშე			

II. მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდი მისი გაკოტრების წინასწარგანჭვრეტის მიზნით:

გადახდისუნარიანობის წინასწარგანჭვრეტის მოდელები, რომლებიც კოეფიციენტი **Z (Z-score techniqure)** საფუძველზეა შემუშავებული, აღნიშნულმა მოდელებმა აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში ფართე გავრცელება მოიპოვეს. მოცემული მოდელის

მიზანია - ფინანსური სიძნელეებისა და გაკოტრებასთან სიახლოეს განცდადი კომპანიების წინასწარ გამოყოფის მარტივი, ოპერატიული და ზუსტი მეთოდის შემუშავება. მოდელის ფორმირების მეთოდიკის საფუძველში დევს საწარმოების განაწილება ორ კლასად: საწარმოები - პოტენციალურად გაკოტრებულები და დანარჩენი საწარმოები (ითვლება, რომ აღნიშნული ჯგუფი - სტაბილურად ფინქციონირებადი ორგანიზაციებია). Z-ანგარიში ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი **ედვარდ ალტმანის** მიერ დისკრიმინანტული მეთოდის მეშვეობით 1968 წელს იქნა შემუშავებული. ანალიზის მოცემული მეთოდი XX საუკუნეში მსესხებელის კრედიტუნარიანობის შეფასებისას უფრო მეტად და ყველაზე ფართედ გამოყენებადს წარმოადგენს, ხოლო ალტმანი სამართლიანობის მიხედვით საწარმოების კრედიტუნარიანობის ჯგუფებად კლასიფიცირების საკითხებში პიონერად ითვლება. ასეულობით კომპანიების ანგარიშგებების გაანალიზებით, მან საწარმოს გაკოტრების პროგნოზირებისათვის შემდეგი სახის ფორმულა გამოიყვანა:

$$Z = 1,2\ X_1 + 1,4\ X_2 + 3,3\ X_3 + 0,6\ X_4 + 1,0\ X_5,$$

სადაც: X_1 - საბრუნავი კაპიტალის თანაფარდობაა აქტივების ჯამთან;

X_2 - გაუნაწილებელი მოგების თანაფარდობაა აქტივების ჯამთან;

X_3 - საოპერაციო მოგების თანაფარდობაა აქტივების ჯამთან;

X_4 - აქციების საბაზრო ღირებულების თანაფარდობაა კრედიტორული დავალიანების ჯამთან;

X_5 - ამონაგების თანაფარდობაა აქტივების ჯამთან.

- მაჩვენებელი Z-ის მნიშვნელობა - ნაკლები 1,81-ზე წარმოადგენს იმის მანიშნებელს, რომ საწარმო გარკვეულ სიძნელეებს განიცდის, ხოლო
- მაჩვენებელი Z-ის მნიშვნელობა - 2,7 და მეტი, გაკოტრების მცირე ალბათობის შესახებ მიანიშნებს.

1983 წელს ალტმანმა საკუთარი ფორმულის მოდიფიცირებული ვარიანტი მიიღო იმ კომპანიებისათვის, რომელთა აქციები არ კოტირდებოდა ბირჟაზე:

$$Z = 0,717\ X_1 + 0,847\ X_2 + 3,701\ X_3 + 0,42\ X_4 + 0,995\ X_5,$$

სადაც: X_4 - აქციების საბალანსო, და არა საბაზრო ღირებულებაა.

მოცემული ფორმულისათვის სასაზღვრო მნიშვნელობა - 1,23-ის ტოლია.

1972 წელს რ. ლისმა მიიღი შემდეგი ფორმულა დიდი ბრიტანეთისათვის:

$$Z = 0,063\ X_1 + 0,092\ X_2 + 0,057\ X_3 + 0,001\ X_4,$$

სადაც: X_1 - საბრუნავი კაპიტალის თანაფარდობაა აქტივების ჯამთან;

X_2 - საპერაციო მოგების თანაფარდობაა აქტივების ჯამთან;

X_3 - გაუნაწილებელი მოგების თანაფარდობაა აქტივების ჯამთან;

X_4 - საკუთარი კაპიტალის თანაფარდობაა ნასესხებ კაპიტალთან.

აქ ზღვრული მნიშვნელობა 0,037-ის ტოლია.

1977 წელს ტაფფლერმა შმოგვთავაზე შემდეგი ფორმულა:

$$Z = 0,53\ X_1 + 0,13\ X_2 + 0,18\ X_3 + 0,16\ X_4,$$

სადაც: X_1 - საოპერაციო მოგების თანაფარდობაა მოკლევადიან ვალდებულებებთან;

X_2 - საბრუნავი აქტივების თანაფარდობაა ვალდებულებების საერთო თანხასთან;

X_3 - მოკლევადიანი ვალდებულებების თანაფარდობაა აქტივების ჯამთან;

X_4 - ამონაგების თანაფარდობაა აქტივების ჯამთან.

- მაჩვენებელი Z-ის მნიშვნელობა - ნაკლები 0,3-ზე მიანიშნებს, რომ საწარმოს გრძელვადიანი პერსპექტივები ცუდი არ არის;
- მაჩვენებელი Z-ის მნიშვნელობა - ნაკლები 0,2-ზე მიანიშნებს, რომ საწარმოს გაკოტრება უფრო მეტი ალბათობისაა.

მოცემული მეთოდიკის საფუძველში - ფინანსურ მაჩვენებლებსა და გაკოტრების ფაქტს შორის ხაზობრივი კავშირია ჩადებული. მოცემულ საკითხში ძირითადი ამოცანა კი - ფორმულაში მაჩვენებლებს შორის ისეთი კავშირის მოძიებაში მდგომარეობს, რომელიც გაკოტრების ყველაზე სრულად ასახვის (განჭვრეტის) შემძლე იქნება. ასე, მაგალითად, პირველ ეტაპზე, სტაბილური და გაკოტრებული საწარმოების პირველი ჯგუფის ანგარიშგებების ანალიზის შემდეგ, ღებულობენ ფორმულას შემდგმი გაანგარიშებებისათვის. შემდეგ, ფორმულას საწარმოების ანგარიშგებების მეორე ჯგუფზე ამოწმებენ. ადრე მიღებული დამოკიდებულების დადასტურებისას Z-ანგარიში შეიძლება შემდგომი კლასიფიცირებისათვისაც იქნას გამოყენებული.

III. მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების საკრედიტო სკორინგული მეთოდი, შემუშავებული ავსტრალიის ბანკი „კრედიტანშტალტის“ მიერ:

მსესხებელის კრედიტუნარიანობის შეფასებისას ბანკი იყენებს სამ საბალანსო მაჩვენებელს (ცხრ.1.3), რომლებიც ბუღალტრული ანგარიშგეგეგის საფუძველზეა გაანგარიშბული. მოცემული მაჩვენებლები მნიშვნელობის ხარისხის მიხედვით შეიწონება, და, დაგროვებულ ბალებზე (ქულებზე) დამოკიდებულებაში, საწარმო რისკის ოთხი ჯგუფიდან ერთში ხვდება.

მსოფლოოს წამყვანი სარეიტინგო სააგენტოების მიერ საკრედიტო რეიტინგების მიკუთვნების აკგორითმი ბოლო პერიოდამდე არ იხსნებოდა. მაგრამ საზოგადოებისა და ბაზრის მონაწილეების ზეწოლის ქვეშ სარეიტინგო სააგენტოები იძულებულები გახდნენ საკრედიტო რეიტინგის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმები გამოექვეყნებიათ.

1.3. მსესხებელის კრედიტუნარიანობის შეფასების საბალანსი მაჩვენებლები

მაჩვენებელი:	**საზღვრები, % :**	**წონა:**
კაპიტალის ეფექტიანობა	2 – 15	50
ლიკვიდობის კოეფიციენტი	15 – 40	20
აქციონერული კაპიტალი	2 – 35	30

ცხრილი 1.4. კრედიტუნარიანობის კლასი / რისკის ჯგუფები

კრედიტუნარიანობის კლასი:	**ბალური (ქულები) შეფასება:**
A	90 ბალზე მეტი
B	40-დან - 90 ბალამდე
C	20-დან - 40 ბალამდე
D	20 ბალზე ნაკლები

შედგენილია „Standard & Poor›s“ მეთოდიკის მიხედვით.

ქვემოთ ჩამოყალიბებული ფაქტორები სარეიტინგო სააგენტოების მიერ მსესხებელის კრედიტუნარიანობის შეფასების ძირითადი სფეროებს გამოვლენის შესაძლებლობას იძლევიან.

ხარისხობრივი ფაქტორები: დარგის განვითარების ანალიზი და პროგნოზი; დარგში ტექნოლოგიური სიახლეები; საწარმოს მდგომარეობა დარგის ბაზარზე;მენეჯმენტის დონის შეფასება; გამოშვებადი პროდუქციის ასორტიმენტი; კონკურენცია; დაბრკოლებები დარგში შეღწევასთან მიმართებასი; ადმინისტატიული რეგულირება; საქმიანობის დივერსიფიკაცია; საკუთრების სტრუქტურა, მესაკუთრეებზე დამოკიდებულების ხარისხი; დანახარჯების სტრუქტურა.

რაოდენობრივო ფაქტორები: ფულადი ნაკადისა და ლიკვიდობის მაჩვენებლები; საწარმოს კაპიტალის სტრუქტურა ()ლევერიჯოს მაჩვენებლები, დაფინანსების გრძელვადიანი

წყაროები, გარესაბალანსი ვალდებულებები; მოგებიანობის მაჩვენებლები; ფინანსური დამოუკიდებლობა (შეისწავლება საქმიანობის შესაძლო შეზღუდვები, რომლებიც დაზღვევასთან, მიღებულ კრედიტებთან, ობლიგაციებთან და ა.შ. მიმართებაში თავის თავზე აღებულ ვალდებულებთანაა დაკავშირებული).

საკრედიტო რეიტინგის მინიჭება მოცემულ შემთხვევაში თავისთავად უშუალოდ ექსპერტული შფასების მოდელს წარმოადგენს, რამდენადაც რეიტინგის მნიშვნელობაში თითოეული მაჩვენებლის რეალური წვლილი სააგენტოს შეხედულების მიხედვით განისაზღვრება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. - თბილისუ, გამომცემლობა: შპს „სეზანი“, 2014 - 548 გვ.
2. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ. - ფული, ფულის მომოქცევა და კრედიტი. სასწავლო-პრაქტიკული სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2017. – 670 გვ.
3. ცაავა გ., ხანთაძე გ. - საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო . - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014. – 600 გვ.
4. ცაავა გ. - ფულის ფუნქციების გაფართოების რეალობა. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2016. – 36 გვ.
5. ასათიანი ვლ., ცაავა გ. - კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური ანალიზი (ტეორია, მეთოდები და პრაქტიკა). - თბილისა, ამომცემლობა „დანი“, 2014. – 500 გვ.
6. Векшина О.И. – Методы оценки кредитоспособности заемщика (Методические указания). – Ярославль, 2011. – 60 с.
7. Ковалев В.В. – Финансовый анализ* методы и процедуры. – Москва: Финансы и статистика, 2010. – 560 с.
8. Тавасиев А.М. – Банковское кредитование: учебник для студентов вузов. – Москва: Инфра-М, 2010. – 656 с.

ჩრდილოეთ კორეა და ჩრდილოეთ კორეელი ხალხის ინტეგრაციის პრობლემა სამხრეთ კორეაში, გეგმიური ეკონომიკის გავლენა საზოგადოებაზე

North Korea and North Korean people's integration problem in South Korea and how planned economy affecting them

ჯაბა ცენტერაძე - მაგისტრი,
ჩეხეთის აგრარული უნივერსიტეტი
Jaba Tsenteradze - Magister,
Czech University of Life Sciences Prague

რეზიუმე: ჩრდილოეთ კორეელებზე დაკვირვების და სტატიის დაწერის აუცილებლობა გამოიწვია მათი ცხოვრების სტილის და ეკონომიკური მოდელის სხვაობის არსებობამ ჩრდილოეთ კორეასა და სხვა განვითარებულ თუ განვითარებად სახელმწიფოებს შორის, სტატიაზე მუშაობის პროცესში შესწავლილი იქნა სხვა და სხვა სოციოლოგების მიერ დაწერილი თუ წაკითხული სტატიები და ლექციები, მოხდა მათი ცხოვრების სტილის შედარება თანამედროვე ადამიანთან, სტატიაზე მუშაობის პროცესში დაისვა კითხვა, რამდენად არიან მზად ისინი თანამედროვე ცხოვრებისათვის და გაჩნდა შეკითხვა, როგორია ცხოვრობდე მკაცრი რეჟიმის პირობებში სადაც პირადი და ეკონომიკური თავისუფლება სრულიად შეზღუდულია და როგორია ესეთი რეჟიმიდან გადასვლა თავისუფალი, საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანაში? რამდენად მისაღებია 21 ე საუკუნეში გეგმიური ეკონომიკის არსებობა და როგორ გავლენას ახდენს ის ადამიანზე? ესეთი ეკონომიკის ანალიზმა და ხალხის ყოფა ცხოვრებაზე დაკვირვებამ ჩრდილოეთ კორეაში ცხადყო კორუფციის არსებობა და საკუთარი ბიზნესის ქონის სურვილი, აჩვენა ის რომ გეგმიური ეკონომიკა მოუქნელი დიდი მაქინაა რომელიც ვერ ახერხებს ადამიანების მოთხოვნაზე მიყოლას, მის დაკმაყოფილებას და ზოგადად, სახელმწიფოს ერთადერთი ფუნქციის შესრულებას, ადამიანის ბედნიერების

დაკმაყოფილებას, რა თქმა უნდა ამის ნათელი მაგალითი უკვე არსებობს საბჭოთა კავშირის დაშლით, მაგრამ საჭიროა კიდევ ერთხელ შევახსენოთ საზოგადოებას სახელმწიფოს ფუნქცია და დანიშნულება რათა მათ მოთხოვონ სახელმწიფოს ის რაც დაბადებიდან ეკუთვნის, თავისუფლება!

საკვანძო სიტყვები: ჩრდილოეთ კორეა, გეგმიური ეკონომიკა, საბაზრო ეკონომიკა, ჩინეთი, სამხრეთ კორეა

Abstract: Importance of this topic was caused by the interest of researchers and ordinary people about the planned economy and lifestyle of South Korean people. As you know global world is going in a different way, by the road of free, market economy, when South Korea it's practically last bastion of closed economy country with planned economic system, where government planning everything and trying to predict demand on products from people, but as practice from Communist Korea shows and also past experience from soviet union for government is almost impossible to predict peoples wishes and demand on products, it is why in South Korea and similar countries we have corruption and "illegal business" manufacturing of products out from the system. Main idea of this topic and conclusion is that government can't predict demand and they can't product enough product for society, of course, we have a nice example from the Soviet Union but before we have North Korea, China, and similar countries, before, in some places people still want Soviet Union and Communism era, we need to remember to people, we need to explain and show how it is to live in planned economy system where freedom existing in minimal amount and government controlling everything as big brother from 1984.

Key Words: North Korea, Planned economy, Market economy, China, South Korea

შესავალი: ჩრდილოეთ კორეა ერთ-ერთი ყველაზე დახურული და მიუწვდომელი სახელმწიფოა ამჟამად ჩვენს პლანეტაზე, იქ მცხოვრები ხალხი მათი ცხოვრების წესი და კულტურა თანამედროვე სოციოლოგების და ეკონომისტების შესწავლის და დაკვირვების საგანია. ის იწვევს დიდ ინტერეს სოციოლოგებსა და ეკონომისტებში რადგან იქ არსებული რეჟიმი და ეკონომიკის ტიპი (გეგმიური ეკონომიკა) განსხვავდება სხვა ღია ქვეყნების ტიპიური საზოგადოებებისაგან თუ ეკონომიკისაგან რომელიც არის უფრო გახსნილი, გლობალური და დაკავშირებული ერთმანეთთან, სტატიის მიზანიც სწორედ ეს არის, დაანახოს ადამიანს სხვაობა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკას შორის რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და გეგმიურ ეკონომიკას შორის რომელშიც ცხოვრობენ ჩრდილოეთ კორეელები.

ძირითადი ტექსტი: ადამიანების ცხოვრება ჩრდილოეთ კორეაში მკაცრად კონტროლირებადია სახელმწიფოს მიერ და ხდება უხეში ჩარევა მასში, პიროვნული განვითარება და ადამიანების ურთიერთ ქმედება სახელმწიფოს მხრიდან დაკვირვების და ზემოქმედების ობიექტია. მაგალითად, სახელმწიფოს მხრიდან უხეში ჩარევის ერთ-ერთი მარტივი მაგალითი კერძო ბიზნესის წარმოების შესაძლებლობის არ ქონაა, ასევე კორეელები ვერ ფლობენ პირად ქონებას და ვერ გადაადგილდებიან თავისუფლად ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგალითად, ქალაქის ან რაიონის დასატოვებლად საჭიროა ადგილობრივ კომისარიატში ქალაქის, ან ტერიტორიის დატოვების უფლების მიღება, ამისათვის კი თქვენ სხვა რეგიონიდან ან ქალაქიდან ოჯახის ნათესავის მოწვევის მიღება მოგიწევთ ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზის ქონა რათა წარუდგინოთ ადგილობრივ კომისარიატს. თუმცაღა როგორც საბჭოურმა გამოცდილებამ გვაჩვენა, არ არსებობს სრულყოფილი სისტემა, სისტემა ვერ ახერხებს ადამიანური ფაქტორის უარყოფას, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში, ჩრდილოეთ კორეაშიც არსებობს კორუფცია, არსებობს სახელმწიფოს მიერ მართული ბიზნესი და არსებობს პრაქტიკა როდესაც

ჩინოვნიკები ქრთამის სანაცვლოდ ბიზნესის მმართველობას აბარებენ კერძო პირებს და ქრთამის სახით იღებენ შემოსავლის ნაწილს ბიზნესისგან, მაგალითად რესტორნიდან. გარდა ამისა არსებობს ე. წ „დახლქვეშა“ ბიზნესის არსებობის ფაქტებიც, როდესაც სოფლის მოსახლეობა ახორციელებს სხვა და სხვა წარმოების გამართვას ფარულად და შემდეგ წარმოებული პროდუქციის მალულ რეალიზაციას, მის გაცვლას ფულზე ან სხვა საქონელზე, ესეთი პროდუქციის მაგალითი არის სხვა და სხვა ტანსაცმელი, აქსესუარები ან და საყოფაცხოვრებო ნივთები, ეკონომიკური გადმოსახედიდან ნათელია გეგმიური ეკონომიკის პრობლემა, პრობლემას კი ბაზარზე დეფიციტი წარმოადგენს. სახელმწიფო ვერ ახერხებს მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებას რაც იწვევს ე. წ „არალეგალური“ ბიზნესი არსებობა, კორუფციას და სხვა გვერდითი ეფექტებს. მაშ გამომდინარე ზემო აღნიშნული მაგალითებიდან ისმის შეკითხვა, რამდენად ართმევს გეგმიური ეკონომიკა თავის საქმეს თავს და რამდენად აკმაყოფილებს მოთხოვნას? ესეთი უხეში ჩაერევა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის ცხოვრებაში იწვევს ეკონომიკის სრულიად განსხვავებული მოდელის არსებობას და ინტერესს მეცნიერებში გეგმიური ეკონომიკის კვლევისათვის და თანამედროვე, ღია საბაზრო ეკონომიკასთან შედარების კარგ შესაძლებლობა იძლევა. ჩრდილოეთ კორეაში ცხოვრებაში ჩარევის სხვა საინტერესო მაგალითი არის სახელმწიფოს მხრიდან ქორწინებაში და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევის მაგალითი, ჩრდილოეთ კორეაში განქორწინებულ ადამიანებს უჭირთ მეორედ დაოჯახება ხოლო განქორწინების შემდეგ კარიერაში პრობლემები ექმნებათ, ხშირ შემთხვევაში განქორწინება სამსახურის დაკარგვას, ან წინსვლის პერსპექტივის გაქრობას ნიშნავს. კომუნიზმში მოცულ კორეაში უფრო რთული სიტუაციაა ღალატთან დაკავშირებითა. ღალატი ჩრდილოეთ კორეაში ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით და სერიოზული შედეგების გამოწვევა შეუძლია „დამნაშავისათვის“, გარდა ამისა ჩრდილოეთ კორეაში არსებობს სხვა

უამრავი სენსიტიური და მკაცრი აკრძალვა რაც რა თქმა ადამიანებზე დიდ გავლენას ახდენს და განვითარების რიტმს თუ დინამიკას (მათ შორის ეკონომიკური) სხვა ქვეყნებში მცხოვრები ადამიანებისგან მკვეთრად განასხვავებს, ჩრ. კორეაში არსებული ეკონომიკური თუ პირადი თავისუფლების შეზღუდვები აიძულებს ადგილობრივ მოსახლეობას ემიგრაციაში წავიდეს, თუნდაც რისკის ფასად.

როგორც განვითარებულ ქვეყნებში ხდება ხოლმე, ჩრდილოეთ კორეაშიც ბავშვის შეძენა დღესასწაულია, თუმცა აქ არის სხვაობაც ჩრდილოეთ კორეაში ბავშვის დაბადება ნიშნავს მშობლებისათვის დამხმარის არსებობას ყოველდღიურ ცხოვრებაში და სიბერეში. იქაური ტრადიციის თანახმად შვილი რომელიც ქმნის ოჯახს ტოვებს სახლს, მაგრამ ერთზე მეტი შვილის არსებობისას მეორე შვილი აუცილებლად უნდა დარჩეს სახლში მშობლებზე დასახმარებლად და მოსავლელად სიბერემდე, სხვათა შორის ესეთი მიდგომა საოჯახო მეურნეობაში დამახასიათებელია განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის და არანაირი პოზიტიური ნიშნის მომცემი არაა, ანუ რომ ვთქვათ ეს ტრადიცია ძალიან ლამაზიაო არ იქნება სიმართლე, სიმართლე ის არის რომ საპენსიო სისტემის დაბალი განვითარება და სიღარიბე აიძულებს ადამიანებს განვითარებად ქვეყნებში და მათ შორის ჩრდილოეთ კორეაშიც გააჩინონ ბევრი შვილი რათა სიბერე უფრო უზრუნველყოფილი იყოს და მეტი სამუშაო ძალა ყავდეს ოჯახს, რა თქმა უნდა ეს ქვეცნობიერად ხდება და არანაირ არა ჰუმანურობასთან არ გვაქვს საქმე მაგრამ მაინც, დასაფიქრებელია რამდენად დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ქვეცნობიერებაზე ეკონომიკა და მისი განვითარების დონე.

კომუნისტურ კორეაში, ადამიანების ცუდი საყოფაცხოვრებო პირობების, განათლების დაბალი დონის და თავისუფლების შეზღუდვის, განსაკუთრებით კი ქალების თავისუფლების შეზღუდვის გამო, ქვეყნის პერიფერიებზე მცხოვრები ადამიანები და მათ შორის გამორჩეულად ქალები, ცდილობენ გადაკვეთონ

საზღვარი ჩინეთში ან კიდევ სამხრეთ კორეაში, თუმცა მათი ეს მცდელობა ხშირად სავალალო შედეგით, მათი ესეთი მოქმედება შეიძლება დასრულდეს ემიგრანტის ოჯახის დასჯით ან თვითონ ემიგრანტის სიკვდილითაც კი. სხვათა შორის ის პრობლემები რაც არსებობს ჩრდილოეთ კორეაში არის თანამედროვე ეკონომიკის შესწავლის საგანი და მთელი განვითარებული სამყარო ცდილობს ქალების უფლებების დაცვას, უთანასწორობის აღმოფხვრას და ამით ეკონომიკური თანასწორობის მიღწევას, ეკონომიკური თანასწორობა თავის მხრივ ნიშნავს სტაბილურ და მდგრად განვითარებას. განსხვავებით კომუნისტური კორეისგან საიდანაც გაქცევა ან კიდევ პირიქით, ტერიტორიაზე შესვლა არალეგალურად მკაცრად ისჯება (ხშირად სიკვდილით) სამხრეთ კორეაში აქტიურად მიმდინარეობს მათი ინტეგრაციის პროცესი საზოგადოებაში, მაგრამ სამწუხარო სხვაობა ადამიანების განვითარებას შორის იმდენად დიდია, რომ ჩრდილოეთ კორეელებს უჭირთ და ფაქტიურად ვერც ვერასოდეს ვერ ახერხებენ სრულ ინტეგრაციას სამხრეთ კორეულ საზოგადოებაში, ეს გამოწვეულია რიგი პრობლემებით რომლებთაგანაც აღსანიშნავია: დაბალი განათლების დონე, სახელმწიფო წყობის სხვაობა, თანამედროვე ტექნოლოგიებს უცოდინრობა, შიში, ჩაკეტილობა და სხვა მრავალი რაც მოსდევს ხოლმე დიქტატორულ რეჟიმში ცხოვრებას, გარდა ამისა მნიშვნელოვან პრობლემაა საერთო ენა, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეელები ვერ ახერხებენ საერთო ენის გამონახვას ერთმანეთთან კომუნიკაციისათვის, მათ არ აქვთ საერთო ინტერესები რადგან სხვაობა ცხოვრების სტილსა და დონეს შორის ძალიან დიდია, ჩრდილოეთ კორეელები ვერ იწყებენ სამსახურს გარდა დაბალ ანაზღაურებადი სამსახურებისა, ესეთი სამსახური შეიძლება იყოს დამლაგებლობა სკოლაში ან ოჯახში, ან მეეზოვე და სხვა ესეთი, რომელიც არ ითხოვს კვალიფიკაციას და მაღალ უნარ ჩვევებს. საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში სამხრეთ კორეელები ჩრდილოეთ კორეელებს დაკვირვებით უყურებენ და არ შედიან

მათთან სიღრმისეულ ურთიერთობაში, იშვიათად ქმნიან ერთად ოჯახებს, როგორც სხვა და სხვა კვლევამ აჩვენა, ჩრდილოეთ კორეელები ცუდად გრძნობენ თავს სამხრეთ კორეაში და ხშირად განიცდიან დეპრესიას, მონატრებას, მათ არ აქვთ კონტაქტი ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან, არ იციან რა ბედი ეწიათ მათ და მარტოობის, დაკარგულობის განცდა ეუფლებათ, თუმცა ესეთი პრობლემა მათ არამარტო სამხრეთ კორეაში ექმნებათ, იგივე პრობლემის წინაშე ისინი ჩინეთში დგებიან, ჩინეთში მათ უწევთ პროსტიტუციით დაკავება ან სახლში ძიძებად მუშაობა, ისევ არა კვალიფიციური შრომის გაწევა, თუმცღა ჩინეთში არის ერთი სხვაობა სამხრეთ კორეისგან, ჩრდილოეთ კორეელები ქალები პოპულარობით სარგებლობენ ჩინელებში, განსაკუთრებით კი სოფლებში სადაც ქალების დეფიციტია და ოჯახის შექმნა რთულია.

დასკვნა: მიუხედავად სამხრეთ კორეის მთავრობის დიდი და აქტიური მცდელობისა ინტეგრაცია მოახდინოს ჩრდილოეთ კორეელები სხვადასხვა სოციალიზაციის პროგრამების თუ სოციალური დახმარებების გამოყენებით, როგორიცაა ყოველ თვიური შემწეობის დანიშვნა და საცხოვრებლით უზრუნველყოფა, კორეელები ვერ ახერხებენ ინტეგრირებას საზოგადოებაში და ისინი მარტოობაში ატარებენ ცხოვრებას, დეპრესიით სავსე, უცხო ქალაქებში თუ სოფლებში დაკარგულები. ესეთი სწრაფი ცვალ ცხოვრების ტემპის, სტილის და სხვა ფაქტორების შოკში აგდებს გამოქცეულ ადამიანებს დახურული რეჟიმიდან და აიძულებთ მათ იყვნენ ჩაკეტილები, ასე რომ აქ კიდევ სხვა დილემა წარმოიშვება, რამდენად არიან მზად ისინი თავისუფლებისათვის და რამდენად არის მორალური, მცდელობა მათი გადაკეთებისა თანამედროვე, ღია საბაზრო ეკონომიკისათვის? თუმცა რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან ეს მოხდება და უნდა მოხდეს კიდეც, მაგრამ ალბათ უფრო ნელა, დროთა განმავლობაში რადგან გეგმიური ეკონომიკა როგორც 90 იანების მაგალითმა გვაჩვენა აუცილებლად განიცდის კრახს რადგან

ის ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას, სწრაფვას თავისუფლებისაკენ, სახელმწიფოს ერთადერთი ფუნქცია კი უნდა იყოს ადამიანის ბედნიერების უზრუნველყოფა, მხარდაჭერა, ბედნიერების ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწილი კი თავისუფლებაა, თავისუფალი ადამიანი მუდამ შექმნის უკეთეს საზოგადოებას და მათ შორის ჯანსაღ ეკონომიკასაც რისთვისაც ეკონომისტები დიდი ხანია იბრძვიან.

გამოყენებული ლიტერატურა

[1]. Lankov A., The Real North Korea: Life and Politics in the Failed Stalinist Utopia, „ Oxford University Press “, 2014.

სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ინფორმაციული ურთიერთქმედების თანამედროვე მოდელები

Modern models of information interaction between the state and society

ელისო გაბეჩავა – დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Eliso Gabechava, PhD student
Georgian Technical University

რეზიუმე: ინფორმაციულ-საკომუნიკაციო პროცესები სულ უფრო მეტად ხდება თანამედროვე ცივილიზაციის ბირთვი, ხოლო ინფორმაცია პოლიტიკაში თანდათანობით გადაიქცა პოლიტიკური ძალაუფლებისა და მართვის გადამწყვეტ ფაქტორად. დღეისათვის პოლიტიკოსები ცდილობენ ააწყონ პოლიტიკურ ხელისუფლებასა და მასებს შორის ურთიერთქმედების ახალი კონსტრუქციული მექანიზმები, რომლებიც შეიძლება განვითარდეს ინფორმაციულ საზოგადოებაში მხოლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით, რომელთაც გადამწყვეტი როლი ენიჭება საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში.

პოლიტიკური კომუნიკაციების თანამედროვე თეორია ახდენს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო პროცესების ინტერპრეტირებას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ადამიანების მიერ ინფორმაციის სუბიექტურ აღქმაზე ურთიერთქმედების პროცესში, რაც უნდა გაითვალისწინონ საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებმა.

მონაცემები საზოგადოებრივი ცნობიერების მდგომარეობის შესახებ წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მგრძნობიარე ბარომეტრს და, იმავდროულად, სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან აღნიშნული

გადაწყვეტილებების შეფასების შედეგს, საზოგადოებრივი პოზიციის გამოხატულებას.

კომუნიკაციების თანამედროვე თეორია ითვლის კომუნიკაციის პროცესის ანალიზის დაახლოებით ასამდე მოდელს, თუმცა ყველა როდი გამოიყენება საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის. კომუნიკატივისტიკის ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური მოდელები შეიძლება ფართოდ გამოიყენებოდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების მიერ.

Resume: Information-communication processes is increasingly becoming the core of modern civilization, and information has become a key factor in political power and management. Nowadays politicians seek to build new constructive mechanisms for interaction between political authorities and the masses that may develop in the information community through the use of information technologies that play a crucial role in shaping public opinion. Modern theory of political communication is interpreted by information-communication processes and focuses specifically on the subjective interaction of information by people, which should be taken into account by public relations specialists. The data on the state of public awareness is the sensitive barometer of political decisions taken by the state and, at the same time, the outcome of the assessment of the decisions made by the civil society and the public opinion. The modern theory of communications calculates approximately one hundred models of communication process analysis, although not all are used for communication. Psychological and sociological models of commutative theory can be widely used by public relations specialists.

ძირითადი ტექსტი: საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად პრინციპულად შეიცვალა ადამიანთა კომუნიკაციის ყველა საშუალება და ფორმები. თანამედროვე

კომპიუტერული და თანამგზავრული სისტემების წყალობით შეიქმნა *გლობალური საინფორმაციო გარემო,* რომელიც დღეისათვის გავლენას ახდენს საზოგადოების პოლიტიკურ სფეროზე. კომუნიკაციის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, კანადელი მეცნიერი მარშალ მაკლუენი (1911-1980) გლობალურ საინფორმაციო გარემოს ხატოვნად უწოდებდა კაცობრიობის ცენტრალურ ნერვულ სისტემას, რომლის წყალობითაც ჩვენ ყველას შეგვიძლია რეაგირება სამყაროზე, როგორც ერთიან მთლიანზე.

მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ *ინფორმაციის, როგორც პოლიტიკური რესურსის ახალ თვისებებს.* ჯერ ერთი, ბუნებრივი, შრომითი და ფულადი რესურსებისგან განსხვავებით, ინფორმაციული არ არის მილევადი გამოყენებისას, ამიტომაც მისი პოლიტიკური გავლენა საკმარისია ნებისმიერი აუდიტორიისთვის. მეორე, ინფორმაცია გაუსხვისებელია და ახალი ინფორმაციის შეძენა არ ამცირებს ჩვენს უნარს - შევიძინოთ ამდენივე. მესამე, ინფორმაცია მყისიერად ვრცელდება სივრცეში და იგი ერთდროულად შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა პოლიტიკურმა აქტორმა.

საზოგადოების პოლიტიკური მობილიზაციის თვალსაზრისით ინფორმაციულ რესურსს აქვს ყოვლისმომცველობისა და ზემოქმედების თანადროულობის უპირატესობა, რაც საინფორმაციო რევოლუციამდე პრაქტიკულად განუხორციელებელი იყო.

თუმცა, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ყველა ცნობას ვერ ვუწოდებთ ინფორმაციას.

ამერიკელი პოლიტოლოგი კ. შენონი ხაზს უსვამდა, რომ ინფორმაცია მხოლოდ ისეთ გზავნილებს უნდა დავარქვათ, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის მიერ თავისი ქცევის ალტერნატივებიდან სიტუაციის შერჩევას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინფორმაცია შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმ გზავნილებს, რომლებიც გავლენას ახდენენ გადაწყვეტილებათა მომზადებასა და მიღებაზე,ამასთან, ინფორმაციის ნებისმიერ შეფასებას წინ უძღვის მისი შერჩევა.

მაგალითად, სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაწყვეტილებათა მისაღებად სპეციალურად შეგროვილი ინფორმაციის მასივიდან ფაქტობრივად გამოიყენება მხოლოდ 5-7 %. დღეისათვის, სპეციალისტების გაანგარიშებით, გავრცელებული და ათვისებული ინფორმაციის თანაფარდობა შეადგენს 10 000 000:1.[2]

მაგრამ თუ ინფორმაციის მნიშვნელობის საკითხში მეცნიერები საკმაოდ ერთსულოვანი არიან, ტერმინ „კომუნიკაციის“ ინტერპრეტაცია დისკუსიის საგანია.

კომუნიკაციას (ლათ. Communico - ვასაჯაროებ) უწოდებენ როგორც თავად ურთიერთობის აქტს, ასევე კონტაქტების დამყარების საშუალებასაც და ვერბალური სფეროს არავერბალურად და, პირიქით, არავერბალური სფეროს ვერბალურად კოდირების პროცესს.

ეს მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია იმასთან, რომ კომუნიკაციის ზოგად თეორიას ქმნიდნენ ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგების მეცნიერები. ასე, მაგალითად, ლინგვისტებმა შეიმუშავეს კომუნიკაციის სემიოტიკური მოდელები, სადაც ამ ცნების ძირითადი მნიშვნელობა გულისხმობს ტექსტის თარგმანს ჩემი „მეს“ ენიდან შენი „შენ“-ს ენაზე (ი. ლოტმანი). ფენომენოლოგიის წარმომადგენლებმა კომუნიკაცია შეაფასეს ინტერსუბიექტურობის, როგორც რთული სუბიექტთაშორისი ურთიერთობის ცნების მეშვეობით, რომლის პროცესშიც ინდივიდუალური ცნობიერება გადის სხვა ადამიანის გამოცდილებაზე და ამის მეშვეობით - გამოცდილების უნიერსალურ ჰორიზონტამდე (ე. გუსერლი). პერსონალიზმის მომხრეები კომუნიკაციაში პირველ რიგში ხედავენ ერთი აქტორის უნარს აღმოაჩინონ სხვა აქტორის გრძნობები (ფ. შლეიერმახერი). თუმცა, მიუხედავად „კომუნიკაციის“ცნების ინტერპრეტაციის მრავალფეროვნებისა, ავტორთა უმეტესობა ეთანხმება მ. მაკლუენის

[2]Почепцов Г.Г. Теория коммуникации. М.: Рефл-бук. 2001, გვ. 497

მოსაზრებას, რომ როგორც ოპერაციონალური, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, „კომუნიკაციის საშუალებაა გზავნილი“.[3]

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყველაზე გავარცელებული ფორმაა საზოგადოებასთან ურთიერთობა, ბეჭდური მედია, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი, რეკლამა, ტელეფონი, ტელეგრაფი, კინო, თეატრი, ასევე მიტინგები, მანიფესტაციები, საარჩევნო კამპანიები და სხვა მასობრივი გამოსვლები და სანახაობები. კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების შინაარსს წარმოადგენს კომუნიკაციის სხვა საშუალება: მაგალითად, წერილის შინაარსია მეტყველება, ტელეგრაფისა - ბეჭდვა, ბეჭდური მედიის - წერილობითი ტექსტი.

შემუშავებულია *პოლიტიკური კომუნიკაციების* არაერთი *ტიპოლოგია,* რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია კომუნიკაციების დაყოფა:

ვერბალურ და *არავერბალურ* კომუნიკაციებად, რომლებიც იყენებენ ენობრივ და არაენობრივ მეთოდებს, მაგალითად, ჟესტებსა და მიმიკას;

ფორმალურ და *არაფორმალურ* კომუნიკაციებად, რომლებიც იყენებენ ინფორმაციისა და კონტაქტების ოფიციალურ და არაოფიციალურ წყაროებს;

ვერტიკალური და *ჰორიზონტალური,* რომლებიც იყენებენ კონტაქტებს ზემდგომ და ქვემდგომ პოლიტიკურ სტრუქტურებს შორის და კონტაქტებს ერთ სახელისუფლებო დონეზე;

ჯგუფური, შიდაჯგუფური და *მასობრივი* , რომელთაც ახასიათებთ კონტაქტები ჯგუფებს შორის, ჯგუფებში და მოიცავს ადამიანთა ფართო მასებს.[4]

---

[3] Политические коммуникации: учеб. Пособие для студентов вузов / под ред. А.И. Соловьева. М.: Аспект-Пресс, 2004. გვ. 12

[4]Почепцов Г.Г. Теория коммуникации. М.: Рефл-бук. 2001, გვ. 14

ამის პარალელურად, მ. მაკლუენი გვთავაზობდა კომუნიკაციების დაყოფას *ცივ* და *ცხელ* კომუნიკაციად. „ცხელი“ საშუალებებისათვის დამახასიათებელია აუდიტორიის მონაწილეობის დაბალი ხარისხი, „ცივისთვის“ კი, პირიქით, მონაწილეობის მაღალი ხარისხი, როცა საჭიროა საკუთარ წარმოსახვაში ინფორმაციის დეფიციტის „შევსება“. მაგალითად, ბეჭდვითი ორგანო, რადიო - „ცხელი“ კომუნიკაციებია, ხოლო ტელევიზია და ტელეფონი - საკმაოდ „ცივი“, სადაც მოცემულია ფრაგმენტარული ინფორმაცია, რომელიც მოითხოვს აქტიურ ინტერპრეტაციას.

კომუნიკაციების თანამედროვე თეორია ითვლის კომუნიკაციის პროცესის ანალიზის დაახლოებით ასამდე მოდელს, თუმცა ყველა როდი გამოიყენება საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის.

მაგალითად, **კიბერნეტიკული მოდელის (უ. უიერი, კ. შენონი)** თანახმად, ინფორმაციის გაზიარება საზოგადოებაში ხდება იმავე კანონებით, როგორც ბუნებაში, ამასთან, ყურადღების მიღმა რჩება საკუთრივ კომუნიკაციის პიროვნული ასპექტები: ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ცოდნა და წარმოდგენები. კომუნიკაცია უპირველესად აქ განიხილება როგორც თავად ინფორმაციის მოძრაობა: წყარო – გადამცემი – არხი – მიმღები – ადრესატი.

აღნიშნული მოდელის ევრისტიკული მნიშვნელობა საზოგადოებასთან ურთიერთობების ანალიზის პროცესში საკმაოდ დაბალია, რადგან ცხადია, რომ ინდივიდუალური ფსიქოლოგიური რეაქციები პოლიტიკური კონტაქტების დროს, ადამიანის უნარი აითვისოს და გააანალიზოს ინფორმაცია, - არანაკლებ როლს ასრულებს, ვიდრე თავად ინფორმაციის შინაარსი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ანალიზისთვის შედარებით მეტი ევრისტიკული პოტენციალი გააჩნია *სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მოდელებს.*

ფართო გავრცელება ჰპოვა **გ. ლასუელის „ჯადოსნური ტყვიის“ თეორიამ,** რომლის თანახმადაც, თუ ზედმიწევნით ზუსტად იქნება

გათვალისწინებული კომუნიკაციის ყველა ძირითადი სტრუქტურული მომენტი, ინფორმაცია, როგორც ჯადოსნური ტყვია, დააზიანებს რეციპიენტის ტვინს, აანთებს მას როგორც „ელექტრონულ ნათურას“, გარდაქმნის მის იდეებს და ამგვარად დამყარდება საჭირო კომუნიკაცია. თუმცა, დღეისათვის პოლიტიკური ფსიქოლოგები აკრიტიკებენ ასეთ სქემატურ წარმოდგენებს პოლიტიკური კომუნიკაციების შესახებ და ყურადღებას ამახვილებენ ადამიანის უნარზე დაიცვას თავი გარეშე ინფორმაციული გავლენისაგან.[5]

ინფორმაციული გავლენების გზაზე ბუნებრივ ბარიერს წარმოადგენს ადამიანთა საკუთარი ინდივიდუალური გამოცდილება, ასევე მისი პირადი კონტაქტები: ურთიერთობა ნათესავებთან, კოლეგებთან, ნაცნობ-მეგობრებთან. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად კონტრსუგესტიის ეფექტი ძლიერდება, ვინაიდან მასმედიის მიმართ მოსახლეობის ნდობის დონე თანდათანობით მცირდება და ეს არაეფექტიანს ხდის გაფაქიზებულ ვირტუალურ პოლიტიკურ მანიპულაციებს. თანამედროვე მკვლევარები გამოყოფენ *ინფორმაციული ზემოქმედებისგან პიროვნების დაცვის* რამდენიმე ძირითად *საშუალებას:* 1) დისტანციის გადიდებას; 2) კონტაქტის შეწყვეტას; 3) ზემოქმედების ობიექტის მოცილებას; 4) ზემოქმედების დაბლოკვას; 5) კონტროლს ზემოქმედების პროცესზე; 6) ინფორმაციის, როგორც მანიპულაციის საშუალების იგნორირებას.[6]

ამრიგად, პოლიტიკური კომუნიკაციების თანამედროვე თეორია უფრო ფაქიზად ახდენს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო პროცესების ინტერპრეტირებას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ადამიანების მიერ ინფორმაციის სუბიექტურ აღქმაზე

---

[5]Маклюэн М. Понимание медиа: внешние расширения человека. М., 2003,

[6] Политические коммуникации: учеб. Пособие для студентов вузов / под ред. А.И. Соловьева. М.: Аспект-Пресс, 2004.

ურთიერთქმედების პროცესში, რაც უნდა გაითვალისწინონ საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებმა.

პოპულარობით სარგებლობს ***„დუმილის სპირალი“,*** რომელიც აღმოაჩინა გერმანელმა სოციოლოგმა **ელიზაბეტ ნოელ-ნოიმანმა.** ეს თეორია ხსნის, თუ როგორ შეუძლია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება და უმრავლესობის ნაცვლად უმცირესობისთვის სიტყვის მიცემა. ნოელ-ნოიმანის მოსაზრების თანახმად, ის, ვინც თავს უმცირესობაში მოიაზრებს, ცდილობს გაჩუმდეს, არ გამოთქვას თავისი მოსაზრება. ამიტომაც იმ შემთხვევებში, როცა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები სიტყვას გადასცემენ უმცირესობას და იგი ხმამაღლა აცხადებს თავის მოსაზრებას, უმრავლესობა გაჩუმებულია.[7]

„მაცდურის მოდელი“,რომლის იდეა ეკუთვნის ამერიკელ ფსიქოლოგს **კურტ ლევინს** (1890-1974). იგი ხსნის, თუ როგორ იქმნება თანამედროვე ახალი ამბების ნაკადი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში. წამყვანი პოლიტიკური გამოცემების რედაქტორები და უმსხვილესი საკომუნიკაციო არხების ხელმძღვანელები ათასობით პოლიტიკური გზავნილიდან ირჩევენ მხოლოდ რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანს და გამოდიან „მაცდურის“ როლში, რომელიც „უშვებს“ ინფორმაციას სახლში. სწორედ ისინი აკონტროლებენ და ქმნიან პოლიტიკური ნიუსების ნაკადს. თანამედროვე მკვლევარების მონაცემებით, დღეს ახალი ამბების მხოლოდ 10 % გამოიყენება რეალურად კომუნიკაციის არხებში.[8]

აღნიშნულმა მოდელმა არსებითად შეცვალა თავდაპირველი წარმოდგენები მასობრივი კომუნიკაციების, როგორც ღია სისტემების

---

[7] Данилевский Г.Г. Социально-политическая психология: уч. М. 1994.

[8] Грачев Г.В. Информационно-психологическая безопасность личности: состояние и возможности психологмческой защиты. М., 1998. გვ. 99

შესახებ და გვაიძულა უფრო რეალისტურად წარმოგვედგინა ინფორმაციის ტრანსლაციის პროცესი.

ძალზე პოპულარულია ამერიკელი პოლიტოლოგის **ჰაროლდ ლასუელის** (1902-1978) **სოციოლოგიური მოდელი.** იგი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს სუბიექტის სოციალურ და პიროვნულ თვისებებზე კომუნიკაციის პროცესში. აღნიშნული მოდელის ფარგლებში კომუნიკაციური პროცესის ასახსნელად მნიშვნელოვანია პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს: *ვინ გვამცნობს? რა განზრახვით? რა სიტუაციაში? რომელი რესურსებით? რომელი სტრატეგიის არჩევით? რომელ აუდიტორიაზე ახდენს გავლენას? რა შედეგით?*[9]

ამრიგად, კომუნიკატივისტიკის ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური მოდელები შეიძლება ფართოდ გამოიყენებოდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების მიერ.

2000 წლის 22 ივლისს მიღებულ იქნა *ოკინავას გლობალური ინფორმაციული საზოგადოების ქარტია.* თანამედროვე წამყვანი სახელმწიფოების ლიდერებმა ხაზი გაუსვეს იმის აუცილებლობას, რომ სრულად იყოს რეალიზებული ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პოტენციალი დემოკრატიის განმტკიცების, ტრანსპარენტული (გამჭვირვალე) და პასუხისმგებლიანი მართვის სფეროში; ყოველ ადამიანს ჰქონდეს საინფორმაციო ქსელებთან წვდომის შესაძლებლობა. საინფორმაციო ტექნოლოგიების რევოლუციური როლი ასევე დაკავშირებულია სოციალური თანხმობის ახალი დონის მიღწევის შესაძლებლობასთან, მოქალაქეებისათვის ჯანდაცვის, განათლებისა და პროფესიული მომზადების, დასაქმების, სამუშაო ადგილების შექმნის, მეწარმეობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, გარემოს დაცვის, კატასტროფების თავიდან აცილების, კულტურის განვითარებისა და

---

[9]Ноэль-Нойман Э. Общественное мнение. Открытие спирали молчания. М., 1996ю გვ. 352-36

საზოგადოებრივი განვითარების სფეროში სხვა შეთანხმებული მიზნების მისაღწევად აქტუალური ინფორმაციის მიწოდებასთან.

2002 წლიდან *მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი* და ბიზნესის საერთაშორისო სკოლა INSEAD ყოველწლიურად გამოსცემენ **ქსელური სამყაროსათვის მზაობის ინდექსს** (*The Networked Readiness Index – NRI*). იგი აგებულია სამი ინდექსის-კომპონენტის (გარემო, მზაობა, გამოყენება) საფუძველზე. ყოველი მათგანი შედგება სამი ქვეინდექსისგან, რომლებიც ახასიათებენ:

- საბაზრო, პოლიტიკურ და ინფრასტრუქტურულ გარემოს;
- მოსახლეობის, ორგანიზაციებისა და ხელისუფლების ორგანოების მზაობას ქსელური ტექნოლოგიების გამოყენებისათვის;
- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას მოსახლეობის, ორგანიზაციებისა და მმართველობის ორგანოების მიერ

მონაცემები საზოგადოებრივი ცნობიერების მდგომარეობის შესახებ წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მგრძნობიარე ბარომეტრს და, იმავდროულად, სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან აღნიშნული გადაწყვეტილებების შეფასების შედეგს, საზოგადოებრივი პოზიციის გამოხატულებას. *არსებობს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთდამოკიდებულებების ოთხი ძირითადი მოდელი:*[10]

პრეს სააგენტოს მოდელი ანუ ფაბლისითი: იგი ორიენტირებულია ინფორმაციული ნაკადის მკაცრ მართვაზე, როცა ინფორმაცია საზოგადოებისათვის შემოდის დოზირებულად, მთავარი საშუალებაა პროპაგანდა, მიზანი კი - დაუყოვნებლივ შედეგის მიღწევა, დაშვებულია მანიპულაციური ზემოქმედების ნებისმიერი საშუალება;

---

[10]Почепцов Г.Г. Теория коммуникации. М.: Рефл-бук. 2001, გვ.50

მასობრივი ინფორმაციის მოდელი: ორიენტირებულია ინფორმაციის ოპერატიულ გავრცელებაზე სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობასთან მიმართებით. ამასთან, აქცენტი კეთდება სარწმუნო და პოზიტიური ინფორმაციის გამოყენებაზე, ნეგატიური ინფორმაცია არ განიხილება, კომუნიკაციას აქვს ცალმხრივი, ნაწილობრივ მანიპულაციური ხასიათი, უკუკავშირი არ არსებობს.

ორმხრივი ასიმეტრიული მოდელი: ორიენტირებულია მიზნობრივი აუდიტორიის შესწავლაზე ფარული მანიპულაციის გამოყენების მიზნით; ვითარდება კომუნიკაციის ორმხრივი პროცესი; არსებობს უკუკავშირი, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივი აზრის შესწავლას; ასიმეტრიულობა ვლინდება იმაში, რომ კომუნიკაციისგან იგებს მხოლოდ ორგანიზაცია და არა საზოგადოება;

ორმხრივი სიმეტრიული მოდელი: ორიენტირებულია ორგანიზაციასა და მის საზოგადოებას შორის ურთიერთგაგების მიღწევაზე; ვითარდება მუდმივი ორმხრივი კომუნიკაცია; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზოგადოების რეაქციას ყველა პოლიტიკურ აქციაზე, ინტერაქტიური მუშაობის ფორმების გამოყენებას; სიმეტრიულობა ვლინდება იმაში, რომ კომუნიკაციური ზემოქმედების ობიექტი გვევლინება კომუნიკაციის სრულუფლებიან მონაწილედ.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო, საზოგადოება, ინფორმაციული ურთიერთქმედება , თანამედროვე მოდელები.

დასკვნა:

სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთდამოკიდებულებების ოთხი ძირითადი მოდელიდან უფრო ეფექტიანი და დემოკრატიულია ორმხრივი სიმეტრიული მოდელი, რაც უნდა დაინერგოს სახლემწიფო მმართველობაში. თუმცა, ამჟამად, ურთიერთდამოკიდებულებები სახელმწიფოსა და

საზოგადოებას შორის უმეტესწილად ვითარდება მასობრივი ინფორმაციის მოდელის მიხედვით.

სახელმწიფო პოლიტიკა უფრო მეტად უნდა იყოს გაშუქებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, რათა მიიღოს სათანადო საზოგადოებრივი რეზონანსი და საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა. ეს მითუმეტეს აქტუალურია თანამედროვე პირობებში, ხელისუფლებას ზოგჯერ უწევს კადრების შემცირებასთან, პრემიებისა და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის შეღავათების მოხსნასთან დაკავშირებული არაპოპულარული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. ეს მოითხოვს დაწვრილებით და არგუმენტირებულ განმარტებებს მასმედიაში, რათა მას არ მოჰყვეს საზოგადოების აღშფოთება. სწორედ ამიტომ დღეს ასე მნიშვნელოვანია უახლესი მეცნიერული პროექტების გამოყენება სახელმწიფო პოლიტიკის ინფორმაციული თანხლების სფეროში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დარსანია ნ. - ,,პოლიტიკური ინსტიტუტები“ - თბილისი 2011.
2. კეჭაყმაძე მ. „საჯარო დაწესებულებების საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია“თებერვალი 20, 2013 by eparticipationge
3. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2017“
4. Почепцов Г.Г. Теория коммуникации. М.: Рефл-бук. 2001, გვ. 497
5. Политические коммуникации: учеб. Пособие для студентов вузов / под ред. А.И. Соловьева. М.: Аспект-Пресс, 2004. გვ. 12
6. Маклюэн М. Понимание медиа: внешние расширения человека. М., 2003, გვ.9
7. Ноэль-Нойман Э. Общественное мнение. Открытие спирали молчания. М., 1996ю გვ. 352-365

ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, როგორც მენეჯმენტის ინოვაციური ტექნოლოგია

Human resources management as an Innovative Technology for Management

მერაბ გეჯუა - ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Merab Gejua - Doctor of Economics. Associated Professor.
Sokhumi State University

რეზიუმე: ქართული კომპანიების ფუნქციონირების ეკონომიკური პირობები დღეს რადიკალურად არის შეცვლილი, რაც იწვევს პერსონალის მართვისადმი ინოვაციური მიდგომების დანერგვას. წინამდებარე სტატიაში განხილულია პერსონალის ეფექტური მართვის ინოვაციური სისტემების აგების ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ეფუძნება თანამედროვე ტექნოლოგიას Human Resource Management. ავტორის აზრით, კეთილმოსურნე ინოვაციური ატმოსფეროს შექმნა გულისხმობს იმ ფაქტორთა გამოვლენას, რომლებიც ზემქმედებს ორგანიზაციებში სიახლეების დანერგვაზე. გარდა ამისა, ავტორები თვლიან, რომ HR-მენეჯერის მიერ პერსონალთან მუშაობის პროცესში ამ ფაქტორთა გათვალისწინება აუცილებელია.

Abstract: The economic conditions of the functioning of Georgian companies are altered today radically, which leads to the introduction of innovative approaches to personnel management. The present article deals with the basic directions of building innovative systems for efficient management of personnel based on modern technology "Human Resource Management". In the opinion of the author, creation of an innovative atmosphere implies the identification of factors that supervise innovation in organizations. In addition, the author considers that HR-manager should take consideration into these factors in the process of working with staff.

საკვანძო სიტყვები: პერსონალის მენეჯმენტი, ინოვაციები, საკადრო მენეჯმენტი, საკადრო ტექნოლოგიები, HR-მენეჯმენტი.
Key Words: Personnel Management, Innovations, Personnel Management, HR Technologies, HR Management.

შესავალი. რუსეთის მიერ საქართველოსთვის ეკონომიკური სანქციების დაწესების შემდეგ გაჩნდა ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების ობიექტური რეალობა, რომელიც აუცილებელია ქვეყანის მიერ პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის. ეკონომიკის დარგთა სრულყოფა დღეს წარმოუდგენელია მენეჯმენტის ტექნოლოგიებში არსებული უახლესი ტენდენციების გათვალისწინების გარეშე. მენეჯმენტის შიდა მახასიათებლების ფართო სპექტრი და ეკონომიკის სხვა ელემენტებთან დისციპლინათაშორისი ურთიერთკავშირები ახალ ტენდენციებსა და მიმართულებებს წარმოშობს. ერთერთ ასეთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს პერსონალის მენეჯმენტი.

ძირითადი შინაარსი. საზოგადოების განვითარებასთან ართად, მართვის სპეციალისტები სულ უფრო მეტს გებულობდნენ იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც ახდენს ზეგავლენას კომპანიის მუშაობის ეფექტიანობაზე. დღეს მართვის მეცნიერებაში გამოყოფენ რამდენიმე ძირითად მიდგომას: სიტუაციურს, სისტემურს, პროცესულს და ეკლექტურს, ანუ რამოდენიმე სკოლის თვალსაზრისის გათვალისწინებით. ეს უკანასკნელი აერთიანებს საკუთარ თავში:

- მეცნიერული მართვის სკოლას (ამერიკელი ინჟინერი ფრედერიკ ტეილორი, მენეჯმენტისა და შრომის მეცნიერული მართვის ფუძემდებელი),
- კლასიკურ, იგივე ადმინისტრირების სკოლას (განიხილავდა რა ორგანიზაციას, როგორც მართვის ობიექტს, ეს სკოლა ცდილობდა ორგანიზაციის სართო ეკონომიკური მახასიათებლების გამოყოფას და ბიზნესის ძირითადი ფუნქციების - წარმოება, ფინანსები, მარკეტინგი, - განსაზღვრას და მართვის უნივერსალური პრინციპების დადგენას ;
- ადამინური ურთიერთობის, იგივე ბიჰევიორისტული სკოლა

(კრის არჯირის და დაგლას მაკ-გრეგორის მიერ გამოვლენილ იქნა სწავლისადმი წინააღმდეგობის ტენდენცია);

- მართვის რაოდენობრივი სკოლა (ლუდვიგ ფონ ბერტალანფის „სისტემათა საერთო თეორია“);
- სოციალურ სისტემათა სკოლა (ტოლკოტტ პარსონსი, რობერტ მორტონი).

მოცემულ მიმართულებათა თეორიულმა დასკვნებმა დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვე მართვის თეორიაში. სფეროში უმნიშვნელოვანესს მიეკუთნება დ.ულრიხის, მ. მეკსონის, მ. არმსტრონგის, ო. სვერგუნის, ი. პასსისა და სხვათა ნაშრომები.

თანამედროვე ქართულ სინამდვილეში ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის, კომპანიებს უწევთ ბაზრის დინამიკაზე ადექვატური რეაგირება, რაც შეუძლებელია პერსონალის მართვაში ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე.

საკადრო მენეჯმენტის ტექნოლოგიები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების ახალი ინსტრუმენტი, ადამიანური რესურსების მართვის ერთერთი ხერხი, კერძოდ - საკადრო მენეჯმენტის ინოვაციური ტექნოლოგია. ეს არის სასაზღვრო ზონა ინოვაციურ მენეჯმენტსა და პერსონალის მართვას შორის. საკადრო მუშაობაში ინოვაციური მენეჯმენტის ობიექტს წარმოადგენს განვითარებისა და განახლების პროცესები, საწარმოს ანდა სხვა სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების კადრებისა და საკადრო სისტემების მოთხოვნილებები. ინოვაციური მენეჯმენტის სუბიექტს აქ წარმოადგენს საწარმოს საკადრო და შრომითი სამსახურების ინოვაციური მდგენელი [1; გვ. 432].

შრომის ინოვაციური მართვა ხარისხობრივად განსხვავდება მართვის ადრე არსებული ტექნოკრატული პრინციპებისგან. საფუძვლად მას უდევს ინტენსიური ჰორიზონტალური

ურთიერთქმედებების შენარჩუნება, კრეატიული საქმიანობის გააქტიურება და პერსონალის სხვადსხვა ჯგუფის გაერთიანება.

საკადრო სამსახურებში ინოვაციური მენეჯმენტის მიზანს წარმოადგენს პერსონალის ინოვაციური მართვი ეფექტიანი სისტემის აგება. HR-მენეჯერის ძალისხმევა ამ მიზნის მიღწევაზეა მიმართული, ამიტომაც მას გააჩნია ვალდებულებათა მთელი რიგი, რომელიც დაკავშირებუ;ია თანამშრომლების შერჩევა-სწავლება-განვითარებასთან, საკადრო საქმის წარმოებასა და აუდიტთან.

ორგანიზაციის პერსონალის მართვისადმი ინოვაციური მიდგომა წარმოადგენს წარმატებული ბიზნესის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მდგენელს. საკადრო ინოვაციები გენერირდება, როგორც თანამედროვე მართვისადმი ტრადიციული მიდგომა, რაც პირველ რიგში აისახება ახალი საკადრო ტექნოლოგიების შემუშავებაში; მაგრამ ყველაზე დიდი ინოვაციური ეფექტი მიიღწევა დღეს კადრებთან და პერსონალთან ისეთ მუშაობაში, რომელიც ეფუძნება HR-მენეჯმენტის ტექნოლოგიას [4].

HRM (Human Resource Management), ან HR-მენეჯმენტი - ეს არის ადამიანური რესურსების მართვის კონცეფცია, რომელიც წარმოიშვა მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, ხოლო ფართო გავრცელება 90-იანებში შეიძინა. კონცეფცია წარმოიქმნა პერსონალის მართვის მეთოდებისა და პრინციპების სრულყოფასთან, აგრეთვე კონკურენტული გარმოს გართულებასთან ერთად, რომლებშიც უწევთ არსებობა თანამედროვე ორგანიზაციებს იმ მოთხოვნათა გათვალისწინებით, რომელთაც აყენებს გართულებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესები. საერთო ჯამში, HR-მენეჯმენტი ორიენტირებულია თითოეული თანამშრომლის მიერ კომპანიის პროდუქტიულობაში შეტანილ წვლილზე, ამიტომაც ჩართულობის სხვადსხვა ფორმის მეშვეობით მოტივაციისა და ეფექტიანობის ამაღლება არის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულება. მუშაკებისათვის თანამდებობრივი ვალდებულებების ნაწილობრივი დელეგირება ხელმძღვანელებისაგან გარკვეულ

უნარებსა და მეტ ლოიალობას მოითხოვს, ვიდრე ეს იყო მიღებული ჩვეული მართვის მეთოდების გამოყენების დროს, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს დადებითად აისახება ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობაზე.

პრაქტიკაში HR-მენეჯმენტს შეუძლია ითამაშოს აქტიური როლი, რომელიც:

- ხელს უწყობს ორგანიზაციის კომპლექსური სტრატეგიების შემუშავებას;
- მონაწილეობას ღებულობს საქმიანი საკითხების გადაწყვეტაში და ხაზობრივ ხელმძღვანელთან მუშაობაში;
- ხელს უწყობს ორგანიზაციის ერთერთი მნიშვნელოვანი თვისების - ეფექტიანად მუშაობის შესაძლებლობის განვითარებას [5] .

ორგანიზაციების უმრავლესობას, სადაც HR ფუნქციონირებს, თავის მნიშვნელოვან ფუნქციად მიაჩნია ისეთი მომსახურბის მიწოდება, რომელიც მოიცავს ტრანზაქციურ ღონისძიებებს (რეკრუტინგი, სწავლება, კონსალტინგი და სხვა). ჩვენ ვიზიარებთ ექსპერტთა უმრავლესობის აზრს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ კომპანიის წარმატების ლომის წილს იზიარებს HR-მენეჯერი, რომელიც მიყვება ორგანიზაციის ძირითადი სტრატეგიის მოთხოვნებს, ეძებს და პოულობს თითოეული თანამშრომლის შრომის ეფექტიანობის მაქსიმალური ამაღლების საშუალებებს. იგი ახორციელებს კადრებთან მუშაობის მთელ ციკლს, დაწყებული შრომის ბაზრის შესწავლით, თანამშრომლების მოზიდვა-დაქირავებით, საკადრო საქმის წარმოებით, საკადრო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებით, დამთავრებული პერსონალის დაგეგმვით, სწავლებითა და წინ წაწევით [3; გვ.5-25].

ინოვაციური მიზნის მიღწევისათვის მნიშვნელოვანია ორგანიზაციის პერსონალის დამოკიდებულება ინოვაციების

დანერგვისადმი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ორგანიზაციაში ინოვაციური ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ზემოქმედებს თვით ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობაზე. დადებითი ინოვაციური ატმოსფეროს შექმნა გულისხმობს ისეთი ფაქტორების გამოვლენას, რომელსაც უნდა ითვალისწინებდეს HR-მენეჯერი. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ორგანიზაციის სტრუქტურის შიდა ფაქტორების გამოვლენა. მათ მივაკუთნებთ:

- პოლიტიკურ და სამართლებრივ,
- ორგანიზაციულ-ეკონომიკურ,
- სოციალურ-ფსიქოლოგიურ,
- ტექნიკურ ფაქტორებს.

უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია: სტარეოტიპულ ქცევებს შეგუებული თანამშრომლების მიერ სიახლეებისადმი წინააღმდეგობას, ელმძღვანელებსა და თანამშრომლებს შორის გაუარესებულ ურთიერთობას, თვითრეალიზაციის პირობების არქონას, პირადი კეთილდღეობის გაუარესებას, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების უკმარისობას და სხვა მსგავსს.

ორგანიზაციაში რაიმე ინოვაციის დანერგვისათვის აუცილებელია კადრების გადამზადება და განვითარება. ინოვაციური მიდგომის სახით დღეს სულ უფრო მეტი კომპანია იყენებს პროაქტიურ მიდგომას როგორც HR-მენეჯმენტის, ასევე PESTEL-ანალიზი, რომელიც მიმართულია სტრატეგიის კომპანიაზე ზემოქმედი გარე ფაქტორების გამოვლენაზე [2; გვ. 399].

მრავალი ქვეყნის კომპანიები და ორგანიზაციები ეფექტიანობის შესაფასებლად იყენებენ ანალიზია სხვადასხვა სისტემას, ისეთს, როგორიცა Management by Objectives (მართვა მიზნების შესაბამისად), Key Performance Indicators (ეფექტიანობის საკვანძო მაჩვენებლები), Balanced Scorecard (მაჩვენებელთა დაბალანსებული სისტემა) და სხვა. ამდენად, HR-მენეჯერი, არის რა

პირველ რიგში სტრატეგი, უნდა ფლობდეს სტრატეგიული დაგეგმვისა და სისტემური აზროვნების უნარს, შეიმუშავებდეს ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია ორგანიზაციის მიზნებისა და საკვანძო მაჩვენებელთა მიღწევაზე.

დასკვნა: უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე შეიმჩნევა ორგანიზაციის საკადრო მუშაობაში მენეჯმენტის როლისა და მნიშვნელობის ძირეული ცვლილება. ადამიანური პოტენციალი გამოტანილ იქნა დანახარჯების იმ ნუსხიდან, რომლის ოპტიმიზირება შეკვეცა-შემცირების ხარჯზე ხდებოდა. საკადრო რესურსის ოპტიმიზირება განიხილება მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და ეფექტური შრომის პროცესის თვალსაზრისით. მსხვილი თანამედროვე კომპანიები ხშირად ახორციელებენ პერსონალის მენეჯმენტს ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის ანდა გარეშე ორგანიზაციის მეშვეობით, რომლებიც პასუხისმგებლობას იღებენ პერსონალის ძებნაზე, მოზიდვაზე, თანამდებობაზე სოციალურ-შრომით ადაპტირებაზე, თანამშრომელთა შორის არსებული ურთიერთობების დარეგულირებაზე, ინდივიდუალური სამუშაოს შეფასებაზე, გუნდის შექმნაზე და პერმანენტულ პროფესიურ ტრენინგებზე.

ქართული კომპანიების ფუნქციონირების ეკონომიკური პირობების ცვლილებამ დღეს მოიტანა პერსონალთან ურთიერთობაში ინოვაციური მიდგომის დანერგვის აუცილებლობა. პერსონალის მართვის ინოვაციური სისტემები იძლევა მართებული და ეფექტიანი მუშაობის დანერგვისა და ორგანიზაციის შიგნით კომუნიკაციის აწყობა-დალაგების საშუალებას, რაც, თავის მხრივ, დადებითად მოქმედებს კომპანიის შემოსავლებსა და რენტაბელობაზე. HR-ტექნოლოგიის გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვნად აამაღლოს მართვის ეფექტიანობა როგორც ცალკეულ რგოლებში, ისე მთლიანად ორგანიზაციაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Armstrong M. Armstrong's essential human resource management practice: a guide to people management; Kogan Page, 2010, - 432 p.
2. Storey J. Human Resource Management: A Critical Text. London: Routledge Revivals, 2010, 399 p. (ჟურნალი);
3. Guest D. Human Resource Management: the workers' verdict // Human Resource Management Journal. 2017. No 9(2). P. 5 – 25. ინტერნეტ-რესურსი:
4. Armstrong's Handbook of Human Resource Management Practice; https://otgo.tehran.ir/Portals/0/pdf/Armstrong's%20Handbook%20of%20Human%20Resource%20Management%20Practice_1.pdf გადამოწმებულ იქნა: 19.11.2018
5. Torrington D., Hall L., Taylor S. Human Resource Management https://www.thehousekeepingdirector.com/uploads/6/8/2/6/6826042/18959996-human-resource-management-6th-edition.pdf გადამოწმებულ იქნა: 19.11.2018

მუნიციპალური მართვის ხარისხის მენეჯმენტის თეორიული საფუძვლები

Resume about the Theoretical Principles of Quality Management of Municipal Governance

ეკა ბერაია - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Eka Beraia - PhD student
Georgian Technical University

რეზიუმე: სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობის ყველა დონეზე ხელისუფლების სტრუქტურების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა დასავლეთის ქვეყანებში ადმინისტრაციული რეფორმების გატარების ერთ-ერთი მიზეზია. ამასთან დაკავშირებით შევისწავლეთ საჯარო მმართველობის ორგანიზაციისადმი თანამედროვე მიდგომები იმ ქვეყნებში, რომლებმაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიაღწიეს მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის მაღალ ხარისხს. ასევე განვსაზღვრეთ რიგ ქვეყნებში ადმინისტრაციული რეფორმების განხორციელების კონცეპტუალური წყაროები, რადგან სწორედ აღნიშნულმა რეფორმებმა უზრუნველყვეს სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის მაღალი ხარისხი კონკურენტული ბაზრის მექანიზმების ოპტიმიზაციის ѕამოცანის გადაჭრის პროცესში და იმავდროულად მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მიღწევა.

Abstract: The necessity of solving the problem of quality of government structures at all levels of state and municipal governance is one of the reasons for implementing administrative reforms in Western countries. In this regard, we studied modern approaches to the public administration organization in the countries that have achieved high level of well-being and quality of life in the market economy. We also identified the conceptual sources of implementation of administrative reforms in a number of countries, as these reforms provided high quality of state and municipal management in the process of optimizing the competitive market mechanisms and at the same time achieving economic and social welfare of the population

შესავალი: საბაზრო გარდაქმნებმა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში გამოიწვია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის ახალი როლის თანდათანობითი აღქმა, მისი მიზნების, ამოცანებისა და პრინციპების შეცვლა. ამასთან, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა არა მხოლოდ სახელმწიფოსა და ბაზრის თანაფარდობის საკითხები, არამედ ეკონომიკის საზოგადოებრივი სექტორის ეფექტიანობისა და საჯარო მმართველობის პრობლემები.

ძირითადი ტექსტი: საჯარო და მუნიციპალური მართვის ხარისხის თანამედროვე კონცეფციის შემუშავებას საფუძვლად უდევს თეორიული წყაროები, რომლებიც წარმოადგენენ კონცეპტუალური მრავალფეროვნებით გამორჩეულ ფართო ინტელექტუალურ სფეროს. მათ შორის უმნიშვნელოვანესია მიღწევები ეკონომიკის თეორიის, ზოგადი და საჯარო მენეჯმენტის სფეროში, ასევე კვლევები პოლიტიკური მეცნიერებების დარგში.

საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ყველა გარდაქმნის კონცეპტუალური საფუძველი გახდა კეთილდღეობის თეორიები. თანამედროვე კეთილდღეობის თეორიაში უნდა გამოვყოთ საზოგადოებრივი სიკეთის არსის შესახებ საკითხის გადაჭრისადმი ორი მიდგომა. პირველი მიდგომის თანახმად, არსებობს მაჩვენებელები ან მიზნობრივი ფუნქციები, რომლითაც ხასიათდება ოპტიმიზაციას დაქვემდებარებული საზოგადოებრივი სიკეთე. მეორე მიდგომა განიხილავს საზოგადოებრივ სიკეთეს როგორც ინდივიდების თვალსაზრისით საუკეთესო მდგომარეობას. სახელმწიფო მართვის ძირითადი მიზანია „უმაღლესი ბედნიერება რაც შეიძლება მეტ ადამიანს“.

კეთილდღეობის თეორიას დაეფუძნა სახელმწიფო მმართველობის თეორია და პრაქტიკა. ერთი მხრივ, კეთილდღეობის

ზრდა მიიღწევა კონკურენტული ბაზრის მექანიზმების ოპტიმიზაციის საფუძველზე, როცა უმნიშვნელოვანესი ამოცანა ხდება ყოველი ადამიანის ინდივიდუალური კეთილდღეობის მაქსიმიზაცია, რაც წარმოადგენს საერთო კეთილდღეობის საუძველს და მიიღწევა ვ. პარეტოს ოპტიმუმი.მეორე მხრივ, კეთილდღეობის თეორია ვითარდებოდა საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევის გზით. ა. პიგუს მოსაზრებით, საჭიროა კეთილდღეობის შეფასება არა ინდივიდის, არამედ მთელი საზოგადოების პოზიციიდან. ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი კეთილდღეობის განაწილების პრინციპებისა და პირობების განსაზღვრის საკითხი.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ჩამოყალიბებას ასევე ხელს უწყობდა მიკროეკონომიკის ინტენსიური განვითარება, რომელმაც გამოიწვია 1950-იან წლებში ნობელის პრემიის ლაურეატის პ. სამუელსონის მიერ საზოგადოებრივი სიკეთეების მწყობრი კონცეფციის შექმნა. სწორედ მას ეკუთვნის საზოგადოებრივი სიკეთის კლასიკური განმარტება.

XX საუკუნის 20-30-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის პირობებში ხდებოდა „კეთილდღეობის სახელმწიფოების“ ჩამოყალიბება, როცა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია გახდა სოციალური და ეკონომიკური სფეროების რეგულირება სრული დასაქმების, შემოსავლების მაღალი დონის, ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ასევე საზოგადოების უღარიბესი ფენების სოციალური მხარდაჭერა.

ჯ. მაკ კეინზმა დაასაბუთა თეორია, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ვრცელდება საკუთარი წევრების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად მთელი საზოგადოების პასუხისმგებლობამდე, ხოლო სახელმწიფოს საქმიანობის მიზანია ყველა მოქალაქისათვის სოციალური, პოლიტიკური და

იურიდიული უფლებების მინიჭება შემოსავლების განაწილებაში სამართლიანობის პრინციპის დაცვის ხარჯზე.

კეთილდღეობის თეორიამ შემდგომი განვითარება ჰპოვა XX საუკუნის 50-იან წლებში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ლ. ერჰარდის სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია რეალიზებულ იქნა მთელი რიგი ეკონომიკური ზომების გატარების გზით, რომლებიც მიმართული იყო მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის ამაღლებისკენ. უმნიშვნელოვანესი პრინციპი გახდა სახელმწიფო მმართველობის პრინციპი.

ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის ამგვარი გაგების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ინდივიდუალური და საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონე. თუმცა, გასული საუკუნის 80-იანი წლებისათვის თანდათანობით დაგროვდა ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, რომლებიც წარმოქმნა ისეთმა არახელსაყრელმა ტენდენციებმა, როგორიცაა შობადობის შემცირება, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილის შემცირება და მოსახლეობის დაბერება; ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ვალის გადიდება; უმუშევრობის ზრდა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის, უძრაობის პერიოდის უმუშევრობის დონის ზრდა; მოქალაქეების ზოგჯერ ფუჭი სამომხმარებლო მოლოდინები ცხოვრების დონის და საჯარო მომსახურებების სტანდარტებთან მიმართებით.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ცნობილმა ეკონომისტებმა დ. ოსბორნმა და ტ. გებლერმა შემოგვთავაზეს კლიენტების გადაქცევა თავისუფალ მომხმარებლებად, რათა მათ ჰქონდეთ არჩევანის საშუალება, ახლებურად დაგვანახეს განმარტება „სახელმწიფო ორგანიზაციის კლიენტი“, გვაჩვენეს მომსახურებათა ინდივიდუალიზების, რეგულირების ხარისხის უზრუნველყოფის გზები.

კონცეფციას უწოდეს „ახალი საჯარო მმართველობა“ (New public management) (შემდგომ - NPM), რომელიც ორიენტირებულია სახელმწიფო მმართველობის სისტემის ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ შედეგიანობასა და ეფექტიანობაზე.

NPM-ის კონცეფციაში გამოყოფენ ორ მიმართულებას:

- ეკონომიკურს - მარკეტიზაციას;

- ორგანიზაციულს - დებიუროკრატიზაციასა და დეცენტრალიზაციას.

NPM კონცეფციის ძირითადი ელემენტები ასახავენ კორპორაციული მართვის საბაზო პრინციპებს (ნახ. 1).

ნახ.1. NPM კონცეფციის ძირითადი ელემენტები[13]

NPM-ის ერთ-ერთი საკვანძო მომენტი გახდა განსხვავებების აღმოჩენა „ადმინისტრირებისა“ და „მართვის“ ცნებებს შორის.

თანდათან ჩამოყალიდა საჯარო მმართველობის ახლებური გაგება, რომელიც გულისხმობს არა საზოგადოებრივი მომსახურებების გაწევას, არამედ ამ პროცესის რეგულირებას და მასში საზოგადოების ძალებისა და რესურსების ჩართვას.

NPM-ის კონცეფცია კიდევ ერთ რთულ პრობლემად განიხილავს პირდაპირი მმართველობითი კონტროლის დონის დაქვეითებას და იმავდროულად ანგარიშგების სრულყოფას, მონიტორინგისა და პასუხისმგებლობის მექანიზმების განვითარებას. მომხმარებელი აღიქმება საზოგადოებრივი სიკეთეების მყიდველად, რაც გულისხმობს სახელმწიფო მმართველობის სისტემის კლიენტზე ორიენტაციას. სახელმწიფო მმართველობის ეფექტიანობა გულისხმობს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონის ამაღლებას. NPM-ის კონცეფცია არაერთ ქვეყანაში იქცა ადმინისტრაციული რეფორმირების მეთოდოლოგიურ ბაზად.

NPM-ის კონცეფციის მნიშვნელოვანი ელემენტია რესურსებზე პასუხისმგებლობის დეცენტრალიზაცია.

მთელს მსოფლიოში მომხმარებელთა სხვადასხვა გაერთიანებების მიერ საყოველთაო წვდომის რესურსების (commom-pool recources), საზოგადოებრივი საკუთრების მართვის კვლევისას ე. ოსტრომმა დაამტკიცა, რომ აღნიშნული რესურსები (საცხოვრებელი ინფრასტრუქტურა, ადგილობრივი გზები, წყალმომარაგების სისტემები და ა.შ.) ძალიან ნელა კარგავენ განვითარების პოტენციალს და შედარებით უკეთ ხდება მათი ადაპტაცია ნებისმიერი ცვლილებისადმი, ვიდრე ინდივიდუალურ და სახელმწიფოებრივზე ორიენტირებულის შემთხვევაში.

ე. ოსტრომმა გვიჩვენა ლოკალური საზოგადოებრივი სიკეთეების მართვის ეფექტიანი მექანიზმი იმ პირობებში, როცა ვერც სახელმწიფო და ვერც ბაზარი ვერ აღწევს მნიშვნელოვან წარმატებებს ბუნებრივი რესურსების სისტემების წარმოებრივი გამოყენების გზით მოქალაქეებისათვის მდგრადი განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფაში. საკუთარი ინსტიტუტების, ერთგვარი კოოპერატივების შექმნისა და მართვის პროცესში ადამიანები

შეიმუშავებენ მეურნეობრიობის ისეთ მექანიზმებს, რომლებიც, ერთი მხრივ, ზრუნავენ მათ მიერ გამოყენებული რესურსის შენარჩუნებაზე და, მეორე მხრივ, ეფექტურად ჭრიან რესურსის ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილ დავებს და კონფლიქტებს. ე. ოსტრომის აზრით, მსოფლიო ეკონომიკის მომავალი თანამედროვე პირობებში ყველაზე ეფექტიანი მეურნე სუბიექტების - სხვადასხვა სახის მცირე კოლექტიური საზოგადოებების განვითარებაშია და არა კერძო კაპიტალის გლობალიზაციასა და ექსპანსიაში.

ახალ საჯარო მმართველობას ბევრი აქვს საერთო ძველ სახელმწიფო მმართველობასთან, თუმცა ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება მისგან. ამის შესახებ ვიგებთ რ. ლოურენსის, ჯ. და ფ. ტომპსონების ნაშრომებიდან.

მათი აზრით, ახალი საჯარო მმართველობა აქცენტს აკეთებს პროცესებზე, დავალებებსა და შესრულებულ სამუშაოებზე, მაშინ როცა ძველი მმართველობა ხაზს უსვამდა ფუნქციების, შესრულებისა და ამოცანების მნიშვნელობას. ძველი სახელმწიფო მმართველობის სამშენებლო ბლოკებს წარმოადგენდა ბიუროკრატია და იერარქია. ახალი საჯარო მმართველობის ძირითადი ინსტრუმენტი გახდა მულტიპროფესიონალური გუნდი, რომლის წევრები მუშაობენ ერთად დასაწყისში და გარკვეული დავალების შესრულებამდე. მეორე, ახალი საჯარო მმართველობისას გადაწყვეტილებების მიღების დელეგირება ხდება იმ გუნდისთვის, რომელიც ორგანიზებას უწევს სამუშაოების წარმოებას და აკონტროლებს პროექტის რეაალიზაციას. მესამე, ახალი საჯარო მმართველობა განსაზღვრავს ეკონომიასა და ეფექტიანობას მხოლოდ მომხმარებლის დაკმაყოფილების დონის შესაბამისად. მეოთხე, ახალი საჯარო მმართველობა ყველაზე ნაკლებადაა დაინტერესებული ორგანიზაციებით, იგი ეყრდნობა ინსტიტუციონალურ დიზაინსა და არჩევანს.

NPM-ის თეორიის საფუძველზე გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ჩატარდა ადმინისტრაციული რეფორმები მრავალ ქვეყანაში (დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, საფრანგეთში, გერმანიაში და ა.შ.). აღნიშნული რეფორმების შედეგების და მიღებული გამოცდილების ანალიზმა გვიჩვენა, რომ NPM-ის კონცეფცია თავისუფალი კონკურენციის პირობებში უზრუნველყოფს მოსახლეობის ინდივიდუალური კეთილდღეობის შენარჩუნებას როგორც ცხოვრების დონის, ასევე საზოგადოებრივი სიკეთეებისა და მომსახურებების მისაწვდომობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა მაკლებად ხარჯიანი ხდება და მიზნად ისახავს კონკრეტულად გაზომვადი რაოდენობრივი და თვისებრივი შედეგების მიღწევას, რაც უზრუნველყოფს შეთავაზებული საზოგადოებრივი სიკეთეებით მოქალაქეთა დაკმაყოფილების მაღალ ხარისხს. მთლიანობაში NPM-ის გამოყენება სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის პრაქტიკაში ხელს უწყობდა მისი ეფექტიანობის ამაღლებას, მომსახურებების რენტაბელობისა და ხარისხის ზრდას.

NPM ითვალისწინებდა ხელისუფლების ორგანოების სისტემაში ხარისხის სისტემური, პროცესული მართვის კონცეპტუალური მიდგომების, ბიზნესის სფეროში არსებული მართვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ორგანიზაციული სქემების გამოყენებას, ამიტომ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ საჯარო მმართველობის შემდეგი ტრანსფორმაციების წყარო და ნიადაგი შეიძლება გახდეს ხარისხის საყოველთაო მართვის კონცეფცია.

მეთოდოლოგიურად ხარისხის საყოველთაო მართვის კონცეფცია (შემდგომ - TQM) ჩამოყალიბდა ბიზნეს-მენეჯმენტში გასული საუკუნის 80-იან წლებში პირველ რიგში ხარისხის მენეჯმენტის მიმართულებების საფუძველზე, რომელიც მოიცავს: ხარისხის საყოველთაო კონტროლის კონცეფციას (ა. ფეინგენბაუმი),

ხარისხის მართვას კომპანიის მასშტაბით (CWQC) (კ. ისიკავა), ტაგუტის მეთოდებს (QC-circles) და სხვ.

იმავდროულად, სწორედ ამ პერიოდში იწყება ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდების აქტიური დაახლოება ზოგადი მენეჯმენტის წარმოდგენებთან. საზღვარგარეთ ყველაზე სანიმუშო მაგალითი, ჩვენი აზრით, არის ნულოვანი დეფექტების სისტემა (Zero Defects) (ფ. კროსბი). თუმცა, ხარისხის ყველა სხვა სისტემა იწყებს „მენეჯმენტის მეცნიერების“ ინსტრუმენტარიუმის გამოყენებას. დაიწყო ზოგადი მენეჯმენტისა და ხარისხის მენეჯმენტის ურთიერთშეღწევა. ეს პროცესი, ერთი მხრივ, ობიექტურად დაემთხვა შიდასაფირმო მენეჯმენტის სისტემის განვითარებას, მეორე მხრივ კი მასზე ზემოქმედების ხარისხისა და საშუალებების შესახებ წარმოდგენების გაფართოებას.

ხარისხის საყოველთაო მართვის კონცეფციის კიდევ ერთი წყარო გახდა ა. ფაიოლას, მართვის კლასიკური სკოლის წარმომადგენლის სამეცნიერო ნაშრომები. მან შემოგვთავაზა უნივერსალური ფუნქციონალური მოდელი, მოქმედებების მართვა და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია მ. ვებერის კვლევები, სადაც ბიუროკრატია მიჩნეულია „ეფექტიანად“. მან შეიმუშავა მართვის ბიუროკრატიული მოდელი, რომელიც აქცენტს აკეთებდა მართვის წესზე, სტერეოტიპებისადმი მიდრეკილებებზე და ა.შ.

მეორე მხრივ, TQM-ის მნიშვნელოვანი წყაროა ბიჰევიორისტული (ქცევითი) მეცნიერებები), რადგან მასში აქცენტი კეთდება მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, პირველ რიგში, საუბარია ა. მასლოუსა და ჯ. მაკ-გრეგორის ნაშრომებზე, რომლებშიც გამოკვლეული და იერარქიულად სტრუქტურირებულია ადამიანის მოთხოვნილებები.

მესამე, TQM-ის წყარო გახდა სისტემური (რაციონალური) მიდგომები მართვისადმი, რომლებიც შემუშავდა 1960-1970-იან წლებში. (ლ. ფონ ბერტალანფი და სხვ). აღნიშნული მიდგომები გულისხმობს ბიზნესის ორგანიზაციას გარეგანი და შინაგანი თავისებურებების გათვალისწინებით.

თეორიული და პრაქტიკული საშუალებების ასეთი მძლავრი ნაკრების საფუძველზე კონცეპტუალურად გაფორმდა ხარისხის საყოველთაო მართვა და ხარისხის მართვის სისტემებისა და მეთოდების კარგად კოორდინირებული გამოყენება საქმიანობის ყველა სფეროში - კვლევებით დაწყებული და გაყიდვისშემდგომი მომსახურების ჩათვლით, რომელშიც მონაწილეობს ხელმძღვანელობა და ყველა დონის მოსამსახურე. აღნიშნულ საქმიანობაში რაციონალურად არის გამოყენებული ტექნიკური შესაძლებლობები.

TQM-ის კონცეფციის ძირითადი ელემენტები გადმოცემულია ნახ. 2.



ნახ. 2 – TQM-ის კონცეფციის ძირითადი ელემენტები

(შემუშავებულია ავტორის მიერ).

TQM-ის კონცეფცია ეყრდნობა თავდაპირველად ედვარდ უ. დემინგის „იაპონური ეკონომიკური სასწაულის“ ერთ-ერთი შემქმნელის მიერ ჩამოყალიბებულ უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, რომლებიც შემდგომ განავითარეს თავიანთ კვლევებში ისეთმა

მეცნიერებმა, როგორებიცაა ე. ლოფლერი, ბ. დეილი, ა. ვან დერ ვილი, ა. ვილკინსონი, ჰ. ვილმონტი, ჯ. იანგი და სხვ.

ამრიგად, ხარისხის საყოველთაო მართვის კონცეფციამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საჯარო მმართველობის ხარისხის თანამედროვე პრინციპების ჩამოყალიბებაში.

ევროპაში გასული საუკუნის 90-იან წლებში„მონაწილეობითი მენეჯმენტის“ მოდელები განვითარდა ადმინისტრაციული აპარატის მოდერნიზაციის ხარჯზე ჰორიზონტალური სტრუქტურების სახით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის კონტაქტების გაუმჯობესების მიზნით. ასეთმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო ბიუროკრატიული სახელმწიფოს გარდასახვას „ქსელურ მთავრობად“ (e-government).

„ახალი საჯარო მმართველობის“ კონცეფციის ცვლილება დაასაბუთეს კ. კარაპეტომ და ფ. ფანსესკომ გასული საუკუნის 90-იან წლებში, მათ ჩამოაყალიბეს ე.წ. „რეცეფციულიმართვა“, რომელშიც ადმინისტრაცია უნდა ყოფილიყო გულისხმიერი სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებისა და მოთხოვნილებების მიმართ, ეაზროვნა სტრატეგიულად, ემოქმედა დემოკრატიულად, ეღიარებინა სამოქალაქო საზოგადოებისა და საზოგადოებრივი მომსახურებების მნიშვნელობა და ფასეულობა, ემსახურა საზოგადოების, პირველ რიგში კი მოქალაქეებისთვის, რომლებთანაც აწარმოებდა პირდაპირ დიალოგს.

ადმინისტრაცია ღია უნდა იყოს საზოგადოების აქტიური წევრებისთვის, რათა მისცენ მათ საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა, გადააქციონ უბრალო მოქალაქეები უფლებამოსილ პირებად (ცხრილი 1).

ამრიგად, საზოგადოებრივი სექტორის კვლევის სხვადასხვა მიმართულებების სინთეზის შედეგად იქმნება საჯარო

მმართველობის ხარისხის ახალი ფილოსოფია, რომლის მეთოდოლოგიური წყაროები გახლავთ ეკონომიკური თეორია, ზოგადი მენეჯმენტი, TQM, NPM კონცეფციები და მისი მოდიფიკაციები. საჯარო მმართველობის ახალი ფილოსოფია წარმოადგენს მუნიციპალური მართვის ხარისხის მენეჯმენტის პრინციპების თეორიულ საფუძველს (ნახ. 3).

ცხრილი 1. მოქალაქის როლი იერარქიულ და რეცეფციულ მოდელებში.[11]

სახელმწიფოს იერარქიული მოდელი	**სახელმწიფოს რეცეფციული მოდელი**
მოქალაქე - გადასახადის გადამხდელი	მოქალაქეები, როგორც საზოგადოების აქტიური წევრები
მოქალაქე - მომხმარებელი	მოქალაქეები, როგორც უფლებამოსილი პირები
მოქალაქე - ამომრჩეველი	მოქალაქეები, როგორც მართვის აქტორები
მოქალაქე - კლიენტი	მოქალაქეების პირდაპირი მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავებაში

[11]Гличев А.В. Качество, эффективность, нравственность: Учебное пособие. - М: Премиум Инжиниринг, 2009. - 358 с.

ნახ. 3. მუნიციპალური მართვის ხარისხის მენეჯმენტის თეორიული წყაროები (საავტორო ნამუშევარი)



ავტორის მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა NPM-ისა და TQM-ის ძირითადი პრინციპების შედარებადობა და შეთანხმებულობა, რაც, „რეცეფციული მენეჯმენტის“ კონცეფციის, საყოველთაო წვდომის რესურსების (commom-pool management) მართვისადმი მიდგომების, საქმიანი სრულყოფილების მოდელების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს მუნიციპალური მართვის ხარისხის მენეჯმენტის საკვანძო პრინციპების შინაარსის წვდომას, განმარტების ჩამოყალიბებას და დასაბუთებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.Витт П., Мёллер Й., Ревенко Л.А., Савранская О.Л. Оказание и организация муниципальных услуг // Материалы проекта TAS1S. Сбор. Актуальные проблемы развития федеративных отношений в РФ. - М., 2006. - 23 с.

2.Авдеева Т.Т., Решетняк Т.А. Концептуальные подходы к определению направленности и оценки качества государственного и муниципального управления // Вестн. Том. гос. ун-та. 2012. № 364. С. 107-112.

3.Деминг Э. Выход из кризиса. Новая парадигма управления людьми, системами и процессами. - М.: Альпина Бизнес Букс, 2007. - 418 с.

4.Дракер П.Ф. Управление в обществе будущего. — М.: «Вильяме», 2007.- 320с.

კომპანიის „უზარალობის წერტილის“ მაკროეკონომიკური კონცეფციის საფუძველზე ბანკის მსესხებლის კრედიტუნარიანობისა და საინვესტიციო პროექტის შეფასების პრობლემატიკა

Problem Assessment of Credit Bankability and Investment Project Borrower based on the macroeconomic concept of the company's "point of break-even"

გიორგი ცაავა - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,
ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი
ვალერი მოსიაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,
ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი
Giorgi Tsaava – Doctorof Economics. Profesor.
Georgian Technikal University
Valeri Mosiashvili – PHD of Economics, professor.
Georgian Nationasl University

თეზისები: საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბიზნეს-სუბიექტის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სამეურნეო პროცესების მართვასა და რეგულირებაში თანამედროვე მიდგომების გამოყენება. საქართველოში ბიზნეს-გარემო მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, ამიტომ ხარისხიანი პროგნოზირების შესაძლებლობა მნიშვნელოვანია ბიზნეს-სუბიექტის ფინანსური სტაბილურობისათვის და ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად.

კვლევაში განვითარებულია მოსაზრება, რომ ქართული ბიზნეს-გარემოს რეალობების გათვალისწინება წარმოშობს პროგნოზირების ისეთი მოდელების და ინსტრუმენტების გამოყენებას, რომელიც სრულყოფილად უპასუხებს ბიზნეს-სუბიექტის წინაშე მდგარ ყველა გამოწვევას მენეჯერულ გადაწყვეტილებათა მიღების კუთხით.

კერძოდ, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ანალიზისა და პროგნოზირების თანამედროვე მეთოდების საფუძველზე ბიზნეს

ერთეულების ფინანსური ანალიზისა და ბიუჯეტის შედგენის საკითხებში არსებული პრობლემების გამოვლენა და მისი გადაჭრისათვის რეკომენდაციების მომზადება.

გამოსაკვლევი ობიექტის ეკონომეტრიკული ანალიზის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა მრავლობითი რეგრესიის მოდელის შექმნა, რომელიც ადეკვატურად აღწერს შესასწავლ ობიექტს და გვაძლევს სხვადასხვა ფინანსური მაჩვენებლების პროგნოზირების საშუალებას. ამ ამოცანის გადაწყვეტისას უმთავრესია მოდელის ზუსტად შერჩევა, რადგანაც შერჩეული მოდელის ხარისხზე არის დამოკიდებული პროგნოზის სიზუსტე.

ობიექტის ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია შემოსავლები, რომელიც სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებზეა დამოკიდებული. ეს ფაქტორები შეიძლება იყოს რესურსები, სტრუქტურა, მომხმარებლები, მომწოდებლები, აქციონერები, კონკურენტები, ტექნოლოგიები, გეოგრაფიული გარემო და უამრავი სხვა.

კვლევისთვის შერჩეულ იქნა პროგნოზირების ის მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებენ სეზონურობას. განხილულ იქნა დეკომპოზიცია პროგნოზირებაში, სეზონური მონაცემების პროგნოზი რეგრესიის გამოყენებით, ტრენდის შეფასება სხვაობებით, ჰოლტ-ვინტერსის ტრენდ-სეზონური მოდელი და ARIMA მოდელი. ფაქტორებიდან შერჩეულ იქნა: ტურისტების რაოდენობა, მარკეტინგული ხარჯი, ჰაერის საშუალო ტემპერატურა და საცალო ფასების ინდექსი. ნაშრომში შეფასებულია პროგნოზირების სიზუსტე და ადეკვატურობა. პროგნოზირების მეთოდების დამახასიათებელი მაჩვენებლების საფუძველზე შეფასებულია სხვადასხვა პროგნოზირების მეთოდების ეფექტურობა და გამოვლენილია ოპტიმალური მეთოდი საუკეთესო პროგნოზირებისათვის, რომელიც ადეკვატურად და მაღალი სიზუსტით აღწერს პროცესს.

Theses: The break-even analysis describes the variable and predictable costs and profit margins. The company has a loss before the sales (and production) of a certain size - "the point of misfortune" will not reach. Over the volume of the sales, the company will cover permanent and changing costs and earns profits.

Analysis of the Company's "Point of break-even " is one of the main concepts of microeconomics studying and studying courses. It is known that the activities of any company are related to certain risks and the phenomenon of economic uncertainty requires adequate recognition, study and consideration. No entrepreneurial project has been fulfilled at the outset of the risk phenomenonIn order not to be in the future of the hard economic situation, the company should be comprehended to calculate the company's "point of break-even ", in the language of market economics, the peculiarity of creating a stability. Entrepreneurs are not able to increase market prices on the output products, as the market mechanism regulates the issue. Entrepreneurs only have the ability to cut costs and thus have the ability to "down" the "underemployment" work. Those enterprises that successfully calculate this situation will have some stock of stable work.

საკვანძო სიტყვები: უზარალობის ანალიზი, მუდმივი დანახარჯი, ცვალებადი დანახარჯი, მაკროეკონომიკური კონცეფცია, შემოსავალი, ამორტიზაციული ანარიცხები, კაპიტალი.

Key Words: break-even analysis, constant flow rate, macroeconomic conception, income, amortization charges, capital, changing cost.

შესავალი. კომპანიის „უზარალობის წერტილის“ ანალიზი - მიკროეკონომიკაში აღრიცხვისა და ფინანსების კურსებზე შესწავლადი ერთ-ერთ ძირითადი კონცეფციათაგანია. ცნობილია, რომ ნებისმიერი კომპანიის საქმიანობა გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული და ეკონომიკური გაურკვევლობის აღნიშნულ ფენომენს სათანადო შეცნობა, შესწავლა და გათვალისწინება

ჭირდება. არც ერთ სამეწარმეო პროექტს როსკის ფენომენის გაუთვალისწინებლობით თავიდანვე შესრულება არ უწერია. იმისათვის, რომ კომპანია მომავალში მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაში არ აღმოჩნდეს, მან კომპანიის „უზარალობის წერტილის“ გაანგარიშების, საბაზრო ეკონომიკის ენაზე რომ ვთქვათ, სიმყარის (სტაბილურიბის) შექმნის თავისებურებაში უნდა ერკვეოდეს. გამოშვებულ პროდუქციაზე საბაზრო ფასების უსაზღვროდ ზრდა მეწარმეებს არ ძალუძთ, რამდენადაც აღნიშნულ საკითხს საბაზრო მექანიზმი არეგულირებს. მეწარმეებს მხოლოდ დანახარჯების შემცირება და ამ გზით „უზარალოდ“ მუშაობის ზღვარის ქვემოთ „ჩამოწევის“ შესაძლებლობები გააჩნიათ. იმ საწარმოებს, რომლებიც აღნიშნულ გარემოებას წარმატებით გაიანგარიშებენ, მათ სტაბილური მუშაობის გარკვეული მარაგიც ექნებათ (1, გვ. 569-578).

კომპანიის დანახარჯები შემდეგ ორ კატეგორიად დაიყოფა:

- **მუდმივი დანახარჯები,** რომელიც წარმოების დონეზე არ არის დამოკიდებული, როგორებიცაა: პერსონალზე ზოგიერთი დანახარჯები, გადასახადები ელექტროენერგიაზე, შენობის იჯარაზე და ა.შ.;
- **ცვალებადი დანახარჯები,** რომლებიც წარმოების პროცესთან პირდაპირ დამოკიდებულობაშია, როგორებიცაა: დანახარჯები ნედლეულზე, ხარჯები ძირითადი მუშა პერსონალის ხელფასებზე და ა.შ.

„უზარალობის წერტილი“ წარმოების ისეთ მოცულობას შეესაბამება, რომლის დროს საწარმო - არც მოგებას ღებულობს, მაგრამ არც ზარალსაც განიცდის. ამდენად **„უზარალობის წერტილი“** საქმიანობის ისეთ დონეს შეესაბამება, როდესაც რეალიზაციის მოცულობა მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამის ტოლია.

კომპანიის **„უზარალობის წერტილის“** გრაფიკის შედგენის წინპირორად დავუშვათ, რომ:

- დანახარჯების გრაფიკი პირობითად - სწორი ხაზით იქნება წარმოდგენილი;

➢ გაყიდვების მოცულობაც ასევე - სწორი ხაზით იქნება აღნიშნული, ანუ ისეთი სიტუაცია გვექნება გათვალისწინებული, როდესაც რეალიზაციის მცირე მოცულობით ზრდა, ფასების შემცირების გარეშეც შეიძლება იქნას მიღწეული.

„უზარალობის წერტილის“, ანუ რენტაბელობის ზღვარის გრაფიკულად მოძიება შემდეგი თანმიმდევრობით ხორციელდება (იხ. სქენა 1): აბსცისას ღერძზე - **წარმოებისა და გაყიდვების მოცულობა** (FC) ერთეულებში აისახება, ხოლო ორდინატას ღერძზე კი - **დანახარჯები და შემოსავლები** (AC) ლარებში აღირიცხება.

სწორი ხაზი **FC** – აბცისას ღერძის პარალელურია და იგი დანახარჯებს ასახავს და წარმოების ნებისმიერი მოცულობისათვის - უცვლელია.

სწორი ხაზი **AC** - გაყიდვების მოცულობას გამოხატავს, ხოლო სწორი ხაზი **TC** - დანახარჯების საერთო ჯამს (მუდმივი დანახარჯები + ცვალებადი დანახარჯები) ასახავს.



სქემა 1. „უზარალობის წერტილის“ გრაფიკი

წარმოდგენილ სქემაზე წერტილი **S,** რომელიც **TC და AC** სწორი ხაზების გადაკვეთაზე მდებარეობს, „უზარალობის წერტილს“ შეესაბამება.

თუ წარმოების მოცულობა Q_s-ზე მეტია, მაშინ საწარმო მიიღებს მოგებას, ხოლო თუ წარმოების მოცულობა Q_s -ზე ნაკლებია, მაშინ საწარმო მიიღებს ზარალს, რომელიც **AC და TC** სწორი ხაზების ორდინატას შესაბამისი მნიშვნელობების სხვაობის ტოლი იქნება.

თუ Q_s -ის მნიშვნელობა წარმოების მოცულობის ტოლი მნიშვნელობისაა, საწარმოს არც მოგება და არც ზარალი ექნება და Q_s **„უზარალობის წერტილის“** შეესაბამებოდეს იქნება.

ადვილად შესამჩნევია, რომ **AC** ხაზის დახრის კუთხე (აბსცისას ღერძთან მიმართებაში) უფრო დიდია **TC** ხაზის დახრილობასთან შედარებით, რაც სავსებით რეალურია, რამდენადაც თითოეული გაყიდული პროდუქციის ფასი მისი წაემოების საერთო დანახარჯებთან მიმართებაში უფრო მეტი უნდა იყოს, ვინაიდან გაყიდვების მოცულობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე დანახარჯების საერთო მოცულობა (3, გვ. 103-108).

„უზარალობის წერტილის“, ანუ რენტაბელობის ზღვარის ანალიზი ერთ-ერთი ძირითადი კონცეფციაა, რომელიც მიკროეკონომიკაში აღრიცხვისა და ფინანსების სასწავლო პროგრამით შეისწავლება და მისი გამოყენება **ბანკების მსესხებელის კრედიტუნარიანობის და საინვესტიციო პროექტების შეფასების ანალიზისათვისაც** არის უპრიანი, ვინაიდან საწარმო უშუალოდ ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე გეგმავს წარმოების მოცულობის გადსიდებას; შეისწავლის წარმოებაში ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში, გაყიდვების მოცულობის ზრდის შესაბამისად, ფასების შემცირების ტენდენციებიჩ შეიმჩნევა და გაყიდვების მოცულობის მრუდის სწორხაზოვნობა ყოველთვის მართებული ვერ იქნება.

თვალსაჩინოების მიზნით შემდეგი სახის პრაქტიკული მაგალითი განვიხილოთ:

დავუშვათ, კომპანიის მუდმივი დანახარჯები - 500 ათ. ლარის ტოლია, ცვალებადი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე კი - 125 ლარს შეადგენს, ხოლო ერთი ნაკეთობის გასაყიდი ფასი - 150 ლარის ოდენობით (პროდუქციის ერთეულზე ცვალებადი დანახარჯების 20%-იანი ნაზარდი) დავგეგმოთ და, აღნიშნული მონაცემების საფუძველზე საწარმოს „უზარალობის“, ანუ რენტაბელობის ზღვარის მნიშვნელობის გაანგარიშება განვახორციელოთ.

ცხრილი 1. კომპანიის „უზარალობის წერტილის“ გრაფიკული ხერხით გაანგარიშების მონაცემები (ათ. ლარებში)

წარმოების მოცულობა (ათ. ერთე-ულებში) **Q**	**ცვალებადი დანახარჯები VC**	**მუდმივი დანახარჯები FC**	**საერთო დანახარჯები (4) = (3) +(2) TC**	**გაყიდვების მოცულობა AC**	**მოგება (ზარალი) (6) = (5)-(4)**
1	**2**	**3**	**4**	**5**	**6**
10	1 250	500	1 750	1 500	(250)
20	***2 500***	***500***	***3 000***	***3 000***	***0***
30	3 750	500	4 250	4 500	250
40	5 000	500	5 500	6 000	500
50	6 250	500	6 750	7 500	750

გაანგარიშებისათვის შემდეგი ორი ხერხი - გრაფიკული და ალგებრული ხერხები განვიხილოთ/

1. **გაანგარიშების გრაფიკული ხერხი:**

სქემა 1-ზე ასახულია - მუდმივი დანახარჯების სწორი ხაზი **FC,** რომელსაც განსახილველი მაგალითის მონაცემების თანახმად 500 ლარის სიდიდე შეესაბამება და საერთო დანახარჯების სწორი ხაზი **TC,** რომელიც ცვალებადი და მუდმივი დანახარჯების საერთო ჯამს წარმოადგენს.

ცხრილი 2-ის მონაცემებიდან გამომდინარე, „უზარალობის წერტილი“ პროდუქციის 20 ათ. ერთეულის წარმოების მოცულობას (არც მოგება და არც ზარალი) შეესაბამება.

2. **გაანგარიშების ალგებრული ხერხი:**

ა) წარმოების მოცულობა „უზარალობის წერტილში“: „უზარალობის წერტილის“ ანალიზის ძირითადი ფორმულა, რომელიც შემოსავლიდან პროცენტებისა და გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი **სუფთა მოგების** (**EAIT**) განმსაზღვრელია, თავისთავად შემოსავლების შესახებ ანგარიშგების ძირითად შემადგენელს წარმოადგენს. კომპანიის სუფთა მოგების გაანგარიშების ფორმულას შემდეგი სახე აქვს (4, გვ. 29):

$$\text{სუფთა მოგება} = EAIT = (Q\,(P - VC) - FC)\,(1 - k_c),$$

სადაც: EAIT - არის შემოსავალი პროცენტებისა და გადასახადები გადახდის შემდეგ;

Q – არის გაყიდული პროდუქციის რაოდენობა;

P – არის ფასი გაყიდული პროდუქციის ერთეულიზე ;

FC – არის მუდმივი დანახარჯების საერთო ჯამი;

VC – აროს ცვალებადი დანახარჯების სიდიდე გაყიდული პროდუქციის ერთეულზე;

k_c - არის კორპორაციუკი გადასახადის განაკვეთი.

გამომდინარე იქედან, რომ „უზარალობის წერტილში“ როდესაც სუფთა მოგება ნულის ტოლია, წარმოებული და გაყიდული პროდუქციის მოცულობა სწორედ წარმოების დანახარჯებს

(წარმოების მოცემული მოცულობისათვის მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამს) გადაფარავს. რამდენადაც კომპანია არ „აწარმოებს“ შემოსავალს, მას არ უწევს გადასახადების გადახდა, ასე რომ „უზარალობის წერტილში“ გამოსახულება (1 - k_c) - ის მნიშვნელობა 1-ის ტოლად გარდაიქმნება, ხოლო თვით განტოლება (ფორმულა) შემდეგ სახეს მიიღებს:

სუფთა მოგება = EAIT = Q (P - VC) – FC, ანუ

Q* = EC / (P - VC),

სადაც: Q* - არის წარმოებული პროდუქციის ერთეულების რიცხვი, რომლის დროს კომპანიის მოგება ნულის ტოლია.

აღნიშნული განტოლებას უზარალობის უზრუნველმყოფელი წარმოების მოცულობის გაანგარიშებისათვის იყენებენგა. სქემა 1-ზე მუდმივი დანახარჯები 500 ლარის ტოლია, ცვალებადი დანახარჯები - 125 ლარია ერთეულზე, ხოლო გასაყიდი ფასი - 150 ლარია ერთეულზე. წარმოებული პროდუქციის ერთეულებოის რიცხვი ტოლი იქნება:

Q* = 500 ლარი / (150 ლარი /ერთეულზე - 125 ლარი / ერთეულზე)

=

= 20 ათ. ერთეულს.

არსებობს უზარალობის გრაფიკის ორი სახაობა - ხაზობრივი და არახაზობრივი. ნახაზი 1-ზე უზარალობის წერტილი, წარმოების დანახარჯების 3000 ათ. ლარის სიდისისას, პროდუქციის 20 ათ. ერთეულის დონეზე იმყოფება. აღნიშნული წერტილის ქვევით წარმოება ზარალიანია. აღნიშნულ წერტილში კი კომპანიის შემოსავალი დანახარჯების ტოლია. აღნიშნული წერტილის ზევით იგი ღებულობს მოგებას.

უზარალობის წერტილების სიმრავლის არსებობა ბაზრების არასრულყოფილებით აიხსნება. წარმოებისა და გაყიდვების მოცულობის ზრდასთან ერთად კომპანია შეიძლება იძულებული გახდეს გაყიდვების ფასი შეამციროს, ასევე შესაძლოა სიტუაცია, როდესაც მოცულობების ზრდასთან ერთად, მაგალითად,

ზენორმატიული სამუშაოს გადახდის აუცილებლობიდან გამომდინარე, წარმოების ფაქტორების (ნედლეული და მასალები, შრომა, კაპიტალი) ფასებიც იზრდება. ან ფასების, ან დანახარჯების ფუნქციების, ანდა ორივე მათი აღნიშნული არახაზობრიობა უზარალობის არახაზობრივი გრაფიკების არსებობით აიხსნება.

უზარალობის ხაზობრივი და არახაზობრივი გრაფიკების არსებობიდან გამომდინარეობენ მნიშვნელოვანი ეკონომიკური დასკვნები, როგორებიცაა:

- გაყიდვების მრუდის ხაზობრიობა ნიშნავს, რომ კომპანიის პროდუქციის გასაღებითი ბაზარი სრულყოფილია;
- ჯამური დანახარჯების მრუდის ხაზობრიობა მიუთითებს იმის შესახებ, რომ მატერიალური და შრომითი რესურსების ფასები მუდმივებია, და ასეთივეა წარმოების მასშტაბებზე ეკონომიის ბუნებაც;
- თუ პირობები ზემოთაღნიშნულების შესაბამისობაშია, მაშინ უზარალობის გრაფიკების ანალიზი სიძნელეს არ წარმოადგენს;
- მაგრამ თუ პირობები განსხვავებულია, მაშინ ხაზობრივი ანალიზი კომპანიის უზარალოდ საქმიანობის პირობების მხოლოდ მიახლოებით აღწერილობას იძლევა.

„ფინანსების სფეროში ჩვენ უფრო გვაინტერესებს **შემოსავალი გაყიდვებიდან,** ვიდრე **წარმოებული და გაყიდული ერთეულების რიცხოვნობა**. იმისათვის რომ მოძიებული იქნას შემოსავალი გაყიდვებიდან, ზემოთაღწერილი წარმოებული პროდუქციის ერთეულების **რაოდენობის გაანგარიშების ფორმულა** (**Q* = EC / (P - VC) ფულად ერთეულებში - ლარებში** უნდა იქნას გამოსახული**:**

$$Q^{\wedge} = PQ^* = FC / (1 – VC / P),$$

სადაც: Q^ - უზარალობის წერტილია ლარებში;

FC - მუდმივი დანახარჯებია პროდუქციის ერთეულზელ

VC - ცვალებადი დანახარჯებია პროდუქციის ერთეულზე;

P - გასაყიდი ფასია პროდუქციის ერთეულის.

არსებობს კომპანიის დამახასიათებელი **მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირი** - **„უზარალობის წერტილისა“** და **საოპეწრაციო „ბერკეტის“** (ლევერაჯეს) **ხარისხს (degree of operating leverage (DOL)) შორის. საოპერაციო „ბერკეტის“ (ლევერაჯეს)** ხარისხი DOL განისაზღვრება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

DOL = ცვლილება მოგების (%-ში) **/ ცვლილება ამონაგრბის** (%-ში)

=

= Q (P - VC) / Q (P - VC) – FC.

მოცემულ განტოლებაში **პირველი ნაწილი** - არის **საოპერაციო „ბერკეტის“ (ლევერაჯეს) ხარისხის** - DOL-ის ძირითადი განსაზღვრა: **მოგების სიდიდის პროცენტული ცვლილების თანაფარდობა ამონაგების სიდიდის პროცენტულ ცვლილებასთან.** განტოლების **მეორე ნაწილი** მიღებულია ზემოთაღწერილი სუფთა მოგების გაანგარიშების ფორმულიდან (სუფთა მოგება = Q (P - VC) – FC) მოგებისა და ამონაგების სიდიდის გამოსახულების ჩასმის შედეგად. უზარალობის ცნების განსაზღვრიდან და განტოლება ($Q^* = EC / (P - VC)$-დან გამომდინარე, შეიძლება საოპერაციო „ბერკეტის“ (ლევერაჯეს) განტომება შემდეგი სახით იქნას ჩამოყალიბებული:

DOL = 1 / (1 – Q* / Q).

აღნიშნული განტოლებიდან გამომდინარეობს, რომ:

- თუ $Q > Q^*$, მაშინ DOL > 0. ამ შემთხვევაში მოგება ცვლილებას განიცდის იმავე მიმართულებით, როგორსაც განიცდიან გაყიდვებიც (გაყიდვების მოცულობის გადიდების შესაბამისად მოგების სიდიდეც იზრდება).
- თუ $Q < Q^*$, მაშინ DOL < 0. ამ შემთხვევაში ზარალის ცვლილება საპირისპიროა გაყიდვების ცვლილებისადმი (თუ გაყიდვები იზრდება, ზარალი მცირდება).

მაჩვენებელი **DOL** მნიშვნელოვანია ფინანსური მენეჯერისათვის. რამდენად უფრო დიდია საოპერაციო „ბერკეტის“ ძალა, იმდენად მეტია, გაყიდვების მოცემული გადიდებისას, მოგების ზრდა. ავიღოთ, მაგალითად, ორი დარგობრივი კომპანია - A და B. წარმოება

A კომპანიაში ძალიან კაპიტალტევადია და DOL-ის მაჩვენებელი დიდია, ხოლო კომპანია B - შრომატევადია და DOL-ის მაჩვენებელი დიდი არ არის. სტრატეგიული განსაზღრულობას გაყიდვების მოცულობის გადიდებაზე მეტი ზემოქმედება ექნება A კომპანიას მოგებიანობაზე, ვიდრე კომპანია B-ზე.

ბ) გაყიდვების მოცულობა „უზარალობის წერტილში“: ფინანსების სფეროში მომუშავე მენეჯერებისათვის უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია **შემოსავალი გაყიდვებიდან,** ვიდრე წარმოებული და გაყიდული პროდუქციის რაოდენობა. ცნობილია, რომ „უზარალობის წერტილის“ რეალიზაციის მოცულობა მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამის ტოლია:

$$ACs = EC + (VC \times Qs).$$

იმასთან დაკავშირებით, რომ **ცვალებადი დანახარჯები** გაყიდვების მოცულობიდან **მუდმივ წილს შეადგენს,** ზემოთმოყვანილმა ფორმულამ შეიძლება შეწმდეგი სახეც მიიღოს:

$$ACs = FC + \{(VC \times Qs) / ACs\} \times Acs,$$

სადაც: მნიშვნელობა **{(VC x Qs) / ACs}**, პროდუქციის ერთეულზე გასაყიდ ფასსა და ცვალებად დანახარჯებს შორის **მუდმივ თანაფარდობის** შენარჩუნებისას (5, გვ. 51-56). **მუდმივი სიდიდე იქნება** (მაგალითად, თანაფარდობა 1,1-თვის - 0,9090; 1,2-თვის - 0,8333; 1,3-თვის - 0,7692 და ა.შ.).

$$ACs\,(1 - (VC \times Qs)) / ACs = FC,$$

საიდანაც:

$$ACs = FC / (1 - (VC \times Qs) / ACs)) = FC / (-(VC \times Qs) / (P \times Qs)) =$$
$$= FC / (1 - VC / P),$$

ანუ:

$$ACs = FC / (1 - VC / P).$$

ამ უკანასკნელი ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ „უზარალობის წერტილში“ რეალიზაციის მოცულობა ტოლია: მუდმივი დანახარჯები გაყოფილი ერთს მინუს ცვალებადი

დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე შეფარდებული გასაყიდ ფასთან.

აღნიშნულ ფორმულაში რიცხობრივი მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ „უზარალობის წერტილში“ რეალიზაციის მოცულობის სიდიდეს, რომელიც ტოლი იქნება:

ACs = 500 000 / (1 – 125 / 150) = 3 000 000 ლარს.

ზემოთაღნიშნულთან ერთად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ **„სუფთა დაყვანილი ღირებულების (NPV)“ ანალიზისა და „უზარალობის წერტილის“ ანალიზის გაერთიანების აუცილებლობა,** საინვესტიციო პროექტის სასიცოცხლო ვადის ხანგრძლივობის გათვალისწინების მიზნით განგვეხილა. უზარალობის ტრადიციულ ანალიზში „უზარალობის წერტილი“ განიხილება პროდუქციის ერთეულების რაოდენობით (Q), რომელთა წარმოებისაგან შემოსავალი, პროცენტებისა და გადასახადების გადახდის შემდეგ, ნულის ტოლია. აღნიშნული თანაფარდობების აღწერისათვის ტრადიციული ფორმულა შმდეგი სახისაა:

$$0 = \{Q (P - V) - F\} (1 - r_c),$$

რაც შეიძლება შემდეგი სახითაც წარმოვიდგინოთ:

$$Q^* = F / (P - V),$$

სადაც: Q^* - არის პროდუქციის რაოდენობა, რომელიც „უზარალობის წერტილის“ განმსაზღვრელია;

F - არის მუდმივი დანახარჯების ჯამი;

P - არის პროდუქციის ერთეულის ფასია;

V - არის ცვალებადი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე;

r_c - არის კორპორატიული გადასახადის ზღვრული განაკვეთი.

დავუშვათ, რომ ფირმა განიხილავს ახალი საწარმოო ხაზის მშენებლობის პროექტს, რომლის მიხედვით მოითხოვება - საწყისი დაბანდებები (მუდმივი ხარჯები (F)) 2 მლნ ლარის ოდენობით; პროდუქციის ერთეულის ფასი (P) შეადგენს 8 ლარს; ცვალებადი

დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე (V) ტოლი იქნება 6 ლარის; საექსპლოატაციო ვადა - 10 წელია.

წარმოების მოცულობა, რომელიც პროექტის უზარალობას უზრუნველყოფს, ტოლია:

Q* = F / (P - F) = 2 000 000 ლარი / (8 ლარი - 6 ლარი) =

= 1 000 000 ერთეულს.

მაგრამ აღნიშნული განტოლება პროექტის სასიცოცხლო ვადას (10 წელი) არ ითვალისწინებს. აქედან კი გამომდინატრეობს, რომ ჩვენს მიერ განსაზღვრული „უზარალობის წერტილი“ (1 000 000 ერთეული) - არის სტატისტიკური მაჩვენებელი, რამდენადაც იგი პროდუქციის ღირებულების დინამიკას არ ითვალისწინებს (4, გვ. 125-129).

თუ კი დასაწყისში ინვესტირებული კაპიტალის ფასი - 2 მლნ ერთეული - ნულოვანი იქნებოდა (მაგალითად, უპროცენტო კრედიტი), მაშინ 1 მლნ პროდუქციის წარმოება წლების მიხედვით თანაბრად - 100 ათ ერთეულის ოდენობით წელიწადში იქნებოდა განაწილებული, და მეათე წლის ბოლოსათვის 1 მლნ ერთეულს მიაღწევდა.

მაგრამ კაპიტალის ნულოვანი ღირებულება პრაქტუკაში ალბათ არ არსებობს, და აქედან გამომდინარე, უზარალობის ანალიზში ინვესტირებად კაპიტალზე საფასური უნდა იქნას შეყვანილი. სწორედ იმისათვის, რომ ასეთი სახის ინვესტირებადი პროექტების შეფასების შესაძლებლობა გვქონდეს, ჩვენ უზარალობის ანალიზს სუფთა დაყვანილი ღირებულების (NPV) ანალიზთან ვაერთიანებთ. თუ ჩვენს მაგალითში კაპიტალის ღირებულება ნულზე მეტი იქნება, მაშინ 100 ათ ერთეული პროდუქციის წარმოება წელიწადში არ პასუხობს პროექტის უზარალობის პირობებს. უზარალობის ანალიზისა და სუფთა დაყვანილი ღირებულების ანალიზის გამაერთიანებელი მიდგომის საფუძველზე ქვემოთ მოყვანილ განტოლებაში შეიყვანება შემდეგი მაჩვენებლები: ამორტიზაციული ანარიცხები (dep), გადასახადის განაკვეთი (r_c) კორპორაციის

შემოსავლებზე და კაპიტალის ღირებულება (k). შედეგად ვღებულობთ შემდეგ განტოლებას:

$$NPV = \{(Q(P - V) - dep)(1 - r_c) + dep\} (\text{ჯამი } 1 / (1 + k)^t) - I_0,$$

სადაც: Q – არის წარმოების მოცულობა, რომელიც უზარალობის კრიტერიუმებს სუფთა დაყვანილი ღირებულების გათვალისწინებით პასუხობს;

P – არისპროდუქციის ერთეული ფასი;

V- არის ცვალებადი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე;

r_c – არის კორპორატიული გადასახადის განაკვეთი;

dep – არის ამორტიზაციული ანარიცხები;

k – არის კაპიტალის ღირებულება;

I_0 - არის საწყისი ინვესტიციები (მუდმივი ხარჯები).

თუ ავიღებთ, რომ NPV = 0, მაშინ ზემოთმოყვანილი განტოლება შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

$$NPV = 0 = (1 - r_c) Q(P - V) (\text{ჯამი } 1 / (1 + k)^t) + dep (r_c) (\text{ჯამი } 1 / (1 + k)^t) - I_0,$$

საიდანაც ვღებულობთ:

$$(1 - r_c) Q(P - V) (\text{ჯამი } 1 / (1 + k)^t) = I_0 - dep (r_c) (\text{ჯამი } 1 / (1 + k)^t).$$

$$Q^* = I_0 / (P - V) (\text{ჯამი } (1 - r_c) / (1 + k)^t) - (dep) r_c / (P - V)(1 - r_c).$$

ისიც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ საერთო შემთხვევაში k არ არის ნულის ტოლი და მნიშვნელოვანია ასევე გვახსოვდეს, რომ k ზემოქმედებას ახდენს Q^*-ზე. ზემოთმოყვანილი Q^* განტოლების მეშვეობით შეიძლება k და Q^* მნიშვნელობების თანაფარდობის ცხრილი იქნას გაანგარიშებული (იხ. ცხრ. 3). აღნიშნული გაანგარიშებებისათვის აღებულია ცვალებადების შემდეგი მნიშვნელობები: P = 8 ლარს; V = 6 ლარს; dep = 0,10; r = 0,50; N = 10 წელს; I0 = 2 მლნ ლარს; NPV = 0(უზარალობის წერტილი). PVIFA (present value interest factor for annuity) - არის ანუიტეტის მიხედვით საპროცენტო განაკვეთის დაყვანილი ღირებულება.

ცხრილი 2. მაჩვენებლები k და Q თანაფარდობა

	$Q^* = I_0 / (P - V)$ (ჯამი $(1 - r_c) / (1 + k)^t$) – (dep) $r_c / (P - V) (1 - r_c)$ = = 2 მლნ ლარი / (2) PVIFA – - (0,10 x 0,50) / (2)	
Q^*		k (%)
100 000		0
129 505		5
162 744		10
199 251		15
238 521		20

როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, არსებობს უშუალო ურთოერთკავშირი k და Q^* მნიშვნელობების: k-ს ზრდისას დიდდება უზარალობის კრიტერიის შესაბამისი გამოშვების მოცულობა Q^*. ასევე საინტერესოა k, NPV და Q^* მაჩვენებლების ურთიერთკავშირი. შესაბამისი მონაცემები ცხრილი 4-შია მოყვანილი:

- კავშირი Q და NPV შორის k-ს დასახული მნიშვნელობისას: როდესაც კაპიტალის ღირებულება (k) დაფიქსირებულია, თვალსაჩინო ხდება Q^* და MPV მნიშვნელობებს შორის კავშირების არსებობა. წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად სუფთა დაყვანილი ღირებულებაც (MPV) იზრდება;
- კავშირი K დაNPV შორის Q^*-ს ფიქსირებულიობისას: კაპიტალის (k) ღირებულების ზრდისას NPV-ს მნიშვნელობა მცირდება.

ცხრილი 4. მაჩვენებლები K, NPV და Q* ურთიერთკავშირი

	NPV = Q (P - V) (ჯამი 1 / (1 + k)^t) + dep (r_c) (ჯამი 1 / (1 + k)^t) – I_0 = = Q (2)(PVIFA) + + (0,10x0,50)(PVIFA)- – 2 000 000 ლარი	
$k_{5\%}$, PVIFA (7,7217) Q NPV (ლარებში)		$k_{10\%}$, PVIFA (6,1446) Q NPV (ლარებში)
0 - 2 000 000 100 - 1 998 455 1000 - 1 984 556 10 000 - 1 845 566 100 000 - 455 660 200 000 +1 088 680 300 000 + 2 633 020 400 000 + 4		0 - 2 000 000 100 - 1 998 771 1000 - 1 987 711 10 000 - 1 877 108 100 000 - 771 080 200 000 +457 840 300 000 + 1 686 760 400 000 + 2

177 360 500 000 + 5 721 700		915 680 500 000 + 4 144 600
$k_{15\%}$, PVIFA (5,0180) **Q NPV (ლარებში)**		**$k_{20\%}$, PVIFA (4,1925)** **Q NPV (ლარებში)**
0 - 2 000 000 100 - 1 998 996 1000 - 1 989 962 10 000 - 1 899 624 100 000 - 966 240 200 000 +7 520 300 000 + 1 011 280 400 000 + 2 015 040 500 000 + 3 018 800		0 - 2 000 000 100 - 1 199 162 1000 - 1 991 615 10 000 - 1 916 150 100 000 - 1 161 500 200 000 - 323 000 300 000 + 515 000 400 000 + 1 354 000 500 000 + 2 192 500

კაპიტალი ღირებულების k = 5%-იანი მნიშვნელობისას პროდუქციის 100 000 ერთეულის წარმოებისას ფირმა უზარალობის

წერტილისაკენ უფრო ახლოს მიყავს, ვიდრე იგივე მოცულობა k-ს 10, 15 და 20%-ის ტოლობისას. აი რატომ არის, რომ კაპიტალის ღირებულების ზრდასთან ერთად უზარალობის წერტილი (NPV = 0) სულ უფრო წარმოების მეტი მოცულობისას მიიღწევა.

აღნიშნული ურთიერთკავშირების არსებობა მიუთითებს იმის შესახებ, რომ უზარალობის წერტილი - არის დისკონტირების განაკვეთის ფუნქცია. რამდენად უფრო მაღალია კაპიტალის ღირებულება, იმდენად მეტი შემოსავალი (და იმდენად მეტი გაყიდვების მოცულობა) არის საჭირო საწყისი დაბანდებების გადასაფარავად. დისკონტირების განაკვეთი უზარალობის დინამიური ანალიზის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

მოცემულ ნაშრომში ავტორების მიერ განხორციელებული თეორიული და პრაქტიკული კვლევების საფუძველზე, წარმოების „უზარალობის წერტილის“ სიდიდის დაზუსტებისა და გარკვეული კანონზომიერებების გამოვლენის მიზნით, განხილულია პრაქტიკული ცხრილური სხვადასხვა ვარიანტებიანი მაგალითი პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასის ცვალებად დანახარჯებთან მიმართებაში გარკვეული პროცენტული მეტობით (ნაზარდით) დაგეგმვასთან დაკავშირებით, რაც ჩვენი აზრით, დასმული პრობლემის ირგვლივ მნიშვნელოვანი კანონზომიერებების ჩამოყალიბების შესაზლებლობას იძლევა (იხ. ცხრ. 2), როგორებიცაა:

- წარმოდგენილი ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასის ცვალებად დანახარჯებთან მიმართებაში განსაზღვრული პროცენტული მეტობით (მაგალითად 10%, 20%, 30%, 40%, 50% და ა.შ.) დაგეგმვისას „უზარალობის წერტილში“ ცვალებადი დანახარჯების საერთო მოცულობა მუდმივი დანახარჯების ჯერადია (შესაბამისად 10 – 5 - 3,3 - 2,5 – 2-ის ჯერადი) და აღნიშნული ჯერადობა პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასის პროპორციული ნამატიდან (ნაზარდიდან) გამომდინარეობს;

➢ პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასის ცვალებად დანახარჯებთან მიმართებაში განსაზღვრული პროცენტული მეტობის შენარჩუნებისას:

ა) „უზარალობის წერტილში“ წარმოების მოცულობა (ერთეულებში) - გაიანგარიშება როგორც - მუდმივი დანახარჯები შეფარდებული პროდუქციის ერთეულის გასაყიდ ფასსა და ცვალებად დანახარჯებს შორის სხვაობის მნიშვნელობაზე: Qs = FC / (P - VC);

ბ) ხოლო „უზარალობის წერტილში“ რეალიზაციის მოცულობა ფულად ერთეულებში (ლარებში) გაიანგარიშება როგორც - მუდმივი დანახარჯები შეფარდებული ერთს მინუს პროდუქციის ერთეულის ცვალებადი დანახარჯები გაყოფილი პროდუქციის ერთეულის გასაყიდ ფასთან მნიშვნელობაზე: ACs = FC / (1 – VC / P);

გ) საიდანაც „უზარალობის წერტილში“ პროდუქციის გასაყიდ ფასსა და ცვალებად დანახარჯებს შორის ნაზარდის მუდმივი პროპორციის შენარჩუნებისას, მოცემულ წერტილში რეალიზაციის საერთო მოცულობის გაანგარიშების ფორმულაში ACs = FC / (1 – VC / P) მნიშვნელის (1 – VC / P) სიდიდე შესაბამისი ვარიანტებისათვის მუდმივი სიდიდე იქნება.

ზემოთ აღნიშნულების გათვალისწინებით ბანკის მსესხებელის კრედიტუნარიანობის წარმოების „უზარალობის წერტილის“ საფუძველზე განსაზღვრისათან მიმართებაში შემდეგი სახის დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. გაანგარიშებული უნდა იქნას წარმოების მუდმივი დანახარჯები (FC) და პროდუქციის ერთეულზე ცვალებადი დანახარჯები (VC) და დადგენილი იქნას ერთეული პროდუქციის გასაყიდი ფასის ცვალებად დანახარჯებთან მიმართებაში პროცენტული წანამატის (ნაზარდის) სიდიდე (P / VC) პროცენტებში;

2. „უზარალობის წერტილში“ რეალიზაციის მოცულობა ფულად ერთეულებში (ლარებში) გაიანგარიშება როგორც - მუდმივი დანახარჯები შეფარდებული ერთს მინუს პროდუქციის ერთეულის

ცვალებადი დანახარჯები გაყოფილი პროდუქციის ერთეულის გასაყიდ ფასთან მნიშვნელობაზე ACs = FC / (1 – VC / P) გასაანგარიშებელი ფორმულის გარდა, იგი გამარტივებული ხარხითაც შეიძლება იქნას გაანგარიშებული: გამომდინარე იქედან, რომ „უზარალობის წერტილში“ პროდუქციის გასაყიდ ფასსა და ცვალებად დანახარჯებს შორის ნაზარდის მუდმივი პროპორციის შენარჩუნებისას, მოცემულ წერტილში რეალიზაციის საერთო მოცულობის გაანგარიშების ფორმულაში ACs = FC / (1 – VC / P) მნიშვნელის (1 – VC / P) სიდიდე შესაბამისი ვარიანტებისათვის მუდმივი სიდიდეა, ავტორების მოსაზრებით მისი მნიშვნელობა შეიძლება ჯერადობის კოეფიციენტი K_1 - ით იქნას აღნიშნული და მისი მნიშვნელობა განხილული ვარიანტებისათვის ტოლი იქნება: „ა“ ვარიანტისათვის = 0,0910; „ბ“ ვარიანტისათვის = 0,1667; „გ“ ვარიანტისათვის = 0,2308; „დ“ ვარიანტისათვის = 0,2857; „ე“ ვარიანტისათვის = 0,333 და ა.შ.

3. „უზარალობის წერტილში“ წარმოების მოცულობა (ერთეულებში) - გაიანგარიშება როგორც - მუდმივი დანახარჯები შეფარდებული პროდუქციის ერთეულის გასაყიდ ფასსა და ცვალებად დანახარჯებს შორის სხვაობის მნიშვნელობაზე: Qs = FC / (P - VC). გამომდინარე იქედან, რომ „უზარალობის წერტილში“ პროდუქციის ერთეულის გასაყიდ ფასსა და ცვალებად დანახარჯებს შორის მუდმივი პროცენტული ნაზარდის შენარჩუნებოსას, აღნიშნულ წერტილში ცვალებადი დანახარჯების საერთო მოცულობა (ლარებში) შეიძლება გაანგარიშებული იქნას: მუდმივი დანახარჯები გამტავლებული ჩვენს მიერ შეთავაზებული ჯერადობის კოეფიციენტ K_1 -ზე და ფორმულა მიიღებს სახეს: (VC x Qs) = (FC x K_1), სადაც ჯერადობის კოეფიციენტი K_1— პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასის (P) ცვალებად დანახარჯებთან (VC) მიმართებაში დაგეგმილი პროცენტული ნაზარდის მნიშვნელობის სიდიდის წილის ტოლია, კერძოდ:

ბანკის მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის (წარმოების „უზარაღლის წერტილის“ დადგენის) პრაქტიკული მაგალითის ცხრილებში მოცემული სხვადასხვა ვარიანტებისათვის

ცხრილი 3

№	ბანკის მსესხებლები	ვარიანტი "ა"			ვარიანტი "ბ"			ვარიანტი "გ"			ვარიანტი "დ"			ვარიანტი "ე"		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
1.	ხარჯის ფასმაკონი: ა) მუდმივი ფასმაკონი (FC) (ათ. ლარები)	500	400	300	500	400	300	500	400	300	500	400	300	500	400	300
2.	ცვალებადი ფასმაკონი ერთეულზე (VC) (ლარებში)	125			125			125			125			125		
3.	ერთეულის ერთეულის გასაყიდი ფასის ცვლადი ფასმაკონებიან ბრუნვებში ზრდით ფასვლა	10 %-ით			20 %-ით			30 %-ით			40 %-ით			50 %-ით		
4.	ბაზარ ერთეულის ერთეულის გასაყიდი ფასი (P) ბალი ლარის (ლარებში)	137,5			150,0			162,5			175,0			187,5		
5.	"ეკონომიის წერტილში" ერთეულის ფასვლა (ათ. ლარებში) Q_s=FC/(P-VC)	40	32	24	20	16	12	13,3	10,7	8,8	10	8	6	8	6,4	4,8
6.	"ეკონომიის წერტილში" ფასვლა ფასვლა (ათ. ლარებში) AC_s=FC/(1 - VC/P)	5495	4396	3297	3000	2400	1800	2166	1733	1300	1750	1400	1050	1500	1200	900
7.	ფასდაკ (1 - VC/P) ტოლია	(1-0,9090)=0,0910			(1-0,8333)=0,1667			(1-0,7692)=0,2308			(1-0,7143)=0,2857			(1-0,6667)=0,3333		
8.	"ეკონომიის წერტილში" ფასვლის ფასვლა (ათ. ლარებში) ამოვა გაყიდვიდან (4) გაყიდვიდან ფასვლა (5)	5500	4400	3300	3300	2400	1800	2167	1733	1300	1750	1400	1050	1500	1200	900
9.	"ეკონომიის წერტილში" ცვლადი ფასმაკონის საერთო ფასვლის გაყიდვიდან (5) (ათ. ლარებ)	5000	4000	3000	2500	2000	1500	1667	1333	1000	1250	1000	750	1000	800	600
10.	"ეკონომიის წერტილში" ცვლადი ფასმაკონის საერთო ფასვლის ფასვლა ფასმაკონებიან ბრუნვებზე ზრდა (K):	10-%-ით (100-ის 10%)			5-%-ით (100-ის 20%)			3,3-%-ით (100-ის 30%)			2,5-%-ით (100-ის 40%)			2,0-%-ით (100-ის 50%)		
11.	"ეკონომიის წერტილში" ფასვლის ბალი ფასმაკონებიან ბრუნვებზე (K):	0,0910-ზე			0,1667-ზე			0,2308-ზე			0,2857-ზე			0,3333-ზე		

ამრიგად საბოლოო ჯამში ნაშრომში ავტორების მიერ გამოკვლეული პრობლემატიკა, კერძოდ - „კომპანიის „უზარალობის წერტილის“ მაკროეკონომიკური კონცეფციის საფუძველზე ბანკის მსესხებლის კრედიტუნარიანობისა და საინვესტიციო პროექტების შეფასების პრობლემატიკა“ საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური მექანიზმის დახვეწისა და მისი პრაქტიკული გამოყენებისათვის იქნება გამოსადეგი, რამდენადაც წარმოდგენილი მეთოდოლოგია პრაქტიკულასდ ადვილად გამოყენებად ფორმებშია შეთავაზებული (მისი კომპიუტერული წესით პროგრამულად ჩამოყალიბებაც არის შესაძლებელი) და იგი ბანკის მსესხებელის კრედიტუნარიანობის დადგენის, მსესხებელის ბიზნეს-გეგმაზე გამარტივებული ხედხით რეალური დაზკვნის გაკეთების ფინანსურ ინსტრუმენტად შეიძლება იქნას გამოენებული.

რეზიუმე

უზარალობის ანალიზი (break-even analysis) ცვალებადი და მუდმოვი დანახარჯებისა და მოგების თანაფარდობას აღწერს. კომპანიას გააჩნია ზარალი მანამ, სანამ გაყიდვების (და წარმოების) მოცულობა გარკვეულ სიდიდეს - „უზარალობის წერტილს“ არ მიაღწევს. გაყიდვების მოცულობის მეტობისას კომპანია გადაფარავს მუდმივ და ცვალებად დანახარჯებს და ღებულობს მოგებას.

კომპანიის „უზარალობის წერტილის“ ანალიზი - მიკროეკონომიკაში აღრიცხვისა და ფინანსების კურსებზე შესწავლადი ერთ-ერთ ძირითადი კონცეფციათაგანია. ცნობილია, რომ ნებისმიერი კომპანიის საქმიანობა გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული და ეკონომიკური გაურკვევლობის აღნიშნულ ფენომენს სათანადო შეცნობა, შესწავლა და გათვალისწინება ჭირდება. არც ერთ სამეწარმეო პროექტს როსკის ფენომენის გაუთვალისწინებლობით თავიდანვე შესრულება არ უწერია. იმისათვის, რომ კომპანია მომავალში მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაში

არ აღმოჩნდეს, მან კომპანიის „უზარალობის წერტილის“ გაანგარიშების, საბაზრო ეკონომიკის ენაზე რომ ვთქვათ, სიმყარის (სტაბილურიბის) შექმნის თავისებურებაში უნდა ერკვეოდეს. გამოშვებულ პროდუქციაზე საბაზრო ფასების უსაზღვროდ ზრდა მეწარმეებს არ ძალუძთ, რამდენადაც აღნიშნულ საკითხს საბაზრო მექანიზმი არეგულირებს. მეწარმეებს მხოლოდ დანახარჯების შემცირება და ამ გზით „უზარალოდ“ მუშაობის ზღვარის ქვემოთ „ჩამოწევის“ შესაძლებლობები გააჩნიათ. იმ საწარმოებს, რომლებიც აღნიშნულ გარემოებას წარმატებით გაიანგარიშებენ, მათ სტაბილური მუშაობის გარკვეული მარაგიც ექნებათ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ინგოროყვა ა., ცაავა გ. - ფინანსური მენეჯმენტი (თეირია, მეთიდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო, ტომი II, - თბილისი, გამომცემლობა „გრაალი“, 2011. – 702 გვ. (გვ. 569-578).

2. ქადაგიშვილი ლ. - ახალი სამეწარმეო საქმის ეკონომიკური შეფასება. თსუ-ს ეკონომიკის აქტუალური საკითხების სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, XVIII გამოშვება. - თბილისი , თსუ, 2001. - გვ. 83-89.

3. Жозет Перар. – Управление финансами с упражнениями. – Москва, «Финансы и статистика», 1999.

4. Ченг Ф.Ли., Джозеф И. Финерти. – Финансы корпорации: теория, методы и практика. Университетский учебник. – Москва: «ИНФРА-М», 2000.

5. Цаава Г.Ф. – Совершенствование анализа кредитоспособности заемщика коммерческого банка. – Тбилиси, Журнал «Социальная экономика». № 4, 2002., с. 51-56.

საბიუჯეტო და საგადასახადო დაგეგმვის როლი ტერიტორიული ერთეულების ფინანსების ორგანიზაციის პროცესში

Role of Budget and Tax Planning in Territorial Unions Financing Organization

ნათია ახალკაცი - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Natia Akhalkatsi - PHD Student
Georgian Technical University

რეზიუმე: ბიუჯეტის შედგენა, განხილვა, დამტკიცება და შესრულება, ყველა ქვეყნისათვის ფაქტობრივად, ერთნაირი ნიშნებით ხასითდება. განსხვავება თვისობრივად დამახასიათებელ თავისებურებებში ვლინდება. საერთო ის არის, რომ ბიუჯეტის შედგენაში პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით მთელი მთავრობა _ ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა ღებულობს მონაწილეობას. მოთხოვნათა აღრიცხვა ფინანსურ რესურსებზე ჩვეულებრივად იწყება ქვევიდან. მმართველობითი ორგანოები ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნის შესახებ განაცხადს წარუდგენენ ზემდგომ ორგანოებს და ეს უკანასკნელნი - სამინისტროებს. თითოეული სამინისტრო აერთიანებს ასეთ მოთხოვნებს და წარუდგენს ფინანსთა სამინისტროს. ფინანსთა სამინისტრო, თავის მხრივ, გააერთიანებს ამ მოთხოვნებს (საერთო ჯამი) და გამოიყვანს მთლიანად სახელმწიფო ხარჯებს. ვინაიდან ფინანსთა სამინისტრომ ხარჯები შემოსავლებთან შესაბამისობაში უნდა გამოიყვანოს, ამიტომ იგი ხშირად უმცირებს ხარჯებს ამა თუ იმ უწყებას. აღნიშნული შესწორებების შემდეგ ფიანსნთა სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს გადასცემს მთავრობას. შემდგომ პერიოდში მთავრობის მიერ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად დაზუსტებული ბიუჯეტი გადაეცემა განსახილველად პარლამენტს. პარლამენტის მხრიდან განხილვის შედეგად ბიუჯეტი მტკიცდება და პრეზიდენტის ხელმოწერის შემდეგ იგი შედის ძალაში და იწყება მისი შესრულება.

Budgeting,reviewing,approving and executing is actually done by the same signs for all countries. The difference is characteristic of qualitatively characteristic. Generally, that the whole government- central and local

governance is taking part in the drafting of the budget directly or indirectly. Requirements for accounting on financial resources usually begin from the bottom. The Governing Body submits the application on requesting financial resources to the superior authorities and the latter-ministries. Each Ministry unites these requirements and submits to the Ministry of Finance. The Ministry of Finance ,in turn, will unite these requirements (total sum) and bring out total state expenses. Since the Ministry of Finance should bring in expenditures with revenues,it often minimizes the costs of this agency. After this amendment , the Ministry of Fines will hand over the state budget to the government. In the next period,the budget of the government together with the Ministry of Finance will be passed to the Parliament for consideration. As a result of consideration from the Parliament the budget is approved and after the signing of the president it enters into force and starts its implementation.

საკვანძო სიტყვები: საბიუჯეტო დაგეგმვა, საგადასახადო დაგეგმვა, საბიუჯეტო პროცესი, მუნიციპალური ბიუჯეტი, საბიუჯეტო პროცესი.
Key Words: budget planning, tax planning, budgetary process, municipal budget, budgeting process

შესავალი. სახელმწიფო თუ ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულის დონეზე ბიუჯეტის ფორმირების წარმატებები და მისი შესაბამისი ადეკვატური საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის გატარების ეფექტიანობა დამოკიდებულია ფინანსური ინსტიტუტების სიმტკიცეზე, ბიუჯეტის სისტემასა და მის ანგარიშვალდებულებაზე.

დაგეგმვა და პროგნოზირება მეცნიერულად დასაბუთებული საბიუჯეტო პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომლის გარეშეც სახელმწიფოს საქმიანობა მხოლოდ ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებზე რეაგირებით იქნებოდა შემოფარგლული. საბიუჯეტო და საგადასახადო დაგეგმვის ამოცანაა ეკონომიკური და სოციალური მიზნების მიღწევად სხვადასხვა ვარიანტების განხილვის, შეფასებისა და ეფექტიანი ფინანსური პოლიტიკის განხორციელებისათვის შესაძლებლობების შექმნა.

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის

საქმიანობის სხვადასხვა დონეების დაგეგმვის საფუძველზე ხდება მთელი ქვეყნის, მისი სუბიექტების და მუნიციპალური დაწესებულებების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პროგნოზირება და მომდევნო წლების ყველა დონის ბიუჯეტთა პროექტების შედგენა. საბიუჯეტო-საგადასახადო დაგეგმვის შესახებ ავტორთა უმეტესობის შეხედულებებით საგადასახადო დაგეგმვა განიხილება, როგორც გადასახადებისა და საბიუჯეტო სისტემის სხვა შემოსავლების მაქსიმალურად შესაძლო ოპტიმიზაციისა და დაბეგვრის პრინციპების განხორციელების ღონისძიებათა ერთობლიობა.

ძირითადი ტექსტი. დაგეგმვის როლი საზოგადოების ცხოვრებაში განისაზღვრება მისი ცალკეულ ქვესისტემებისა და ელემენტების მდგომარეობით, რომელსაც იგი იკავებს მართვის სისტემაში. დაგეგმვის არსი გამომდინარეობს მართვის ძირითადი ფუნქციების არსის ანალიზიდან. მართვის ორმაგი ფუნქცია - “მმართველობითი გადაწყვეტილების მომზადება და მიღება” - უპირველეს ყოვლისა გულისხმობს მმართველი სუბიექტის დასახული მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტის ღონისძიებების შემუშავებას. თავისი შინაარსისთ მოცემული საქმიანობა არის დაგეგმვა. მართვის ორმაგი ფუნქცია მართვის ყველა ფუნქციათა შორის უმთავრესია, რადგან დაგეგმვა მართვის ორგანულად განუყოფელი სტრუქტურული ელემენტი და მისი უმთავრესი ფუნქციის ნაწილია. სავსებით დასაბუთებულად შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმვა მართვის სისტემის ცენტრალური რგოლია.

შესაბამისად, დაგეგმვა, როგორც მართვის სისტემის ცენტრალური რგოლი, საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც არის სახელმწიფოს და მისი ცალკეული სუბიექტების პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტი.

ზოგადად დაგეგმვას, კერძოდ კი საბიუჯეტო დაგეგმვას გააჩნია

ერთიანი თეორიული საფუძველი და საერთო პრინციპები, საერთო მეთოდოლოგია, რომელშიც შედის გეგმების, პროგრამების, პროგნოზების და სხვათა შემუშავების მეთოდები. საბიუჯეტო დაგეგმვას უდავოდ თავისი სპეციფიკა აქვს. ისტორიიდან ცნობილია, რომ დაგეგმვა და პროგნოზირება წარმოიშვა მრავალი საუკუნის წინ. გეგმა, როგორც დიდი თუ მცირე მეურნეობის ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემა, წარმოიშვა შრომის განაწილებასა და კოოპერაციასთან ერთად და არის დროის მოცემულ პერიოდში მეურნეობის გაძღოლის პროგრამა. წარსულში ჩვენს ქვეყანაში ფინანსური დაგეგმვის ძირითადი თავისებურება იყო დაგეგმილი ობიექტების მასშტაბურობა და ის, რომ ფაქტიურად გეგმას კანონმდებლობის ძალა ენიჭებოდა. ეს იყო ქვეყნის მეურნეობისა და მისი დარგების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფინანსური გეგმების შესრულების გარანტია. პერსპექტიული ფინანსური დაგეგმვის ნიმუშია ხუთწლიანი გეგმები, რომლებიც დაყოფილი იყო ერთწლიან ციკლებად. ყველა ფინანსური გეგმა დგებოდა დავალების საფუძველზე.

თანამედროვე ავტორების მოსაზრებები "საბიუჯეტო დაგეგმვისა" და "საგადასახადო დაგეგმვის" კატეგორიების შინაარსის შესახებ, აგრეთვე დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემადგენლობის შესახებ გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ლ. დრობოზინას თვალსაზრისი ასეთია: "საბიუჯეტო დაგეგმვა არის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის გეგმაზომიერი განაწილება და გადანაწილება ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და შესრულების პროცესში".[12]

საბიუჯეტო დაგეგმვა განიხილება როგორც საბიუჯეტო

---

[12] ლ. დრობოზინა, ი. კონსტანტინოვი, ლ. ოკუნევა. ფინანსების ზოგადი თეორია. - მოსკოვი: ბანკები და ბირჟები: ЮНИТИ, 2014. გვ. 164.

სისტემისა და ბიუჯეტთშორისი ურთიერთობების მართვის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ბიუჯეტების შედგენის დროს სახელმწიფოს საბიუჯეტო პოლიტიკიდან გამომდინარე პრინციპებისა და მეთოდების საფუძველზე.

გადასახადების დაგეგმვა მაკროდონეზე არის შესაბამისი დონის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ოდენობის დასაბუთებული გაანგარიშების ამოცანის გადაჭრის თანმიმდევრული და ამავდროულად განხორციელებული ურთიერთმოქმედი ღონისძიებების პროცესი დროის მოცემულ პერიოდში.

დაგეგმვის მეთოდოლოგია არის საგეგმო გადაწყვეტილებათა შემუშავებისას მიდგომების, პრინციპების, მაჩვენებლების, მეთოდიკებისა და მეთოდების სისტემა. დაგეგმვის მეთოდოლოგიის სტრუქტურული შემადგენლობა დაიყვანება იმ მეთოდების ერთობლიობამდე, რომლებიც ითვლება ობიექტური კანონზომიერების შეცნობის ინსტრუმენტებად და გამოიყენება პრაქტიკულ საქმიანობაში დაგეგმილი ხარჯების გაანგარიშების დროს.

არსებობს შეხედულება, რომელის მიხედვითაც განიხილავენ მეთოდოლოგიის ოთხ დონეს: ფილოსოფიურს, ზოგად-მეცნიერულს, კონკრეტულ-მეცნიერულს და ტექნოლოგიურს. მესამე და მეოთხე დონეების პროცედურების საშუალებით შესაძლებელია ემპირიული მასალის მოპოვება და თეორიული დასაბუთება. დაგეგმვის პროცესისათვის, რომელსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა და პრაქტიკული მიმართულება გააჩნია, ბოლო ორი დონე არის რეგიონული და ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოების ფინანსური რესურსების მართვის თავისებურებათა ამსახველი ელემენტების სისტემა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემული მიდგომები ითვალისწინებს დაგეგმვის მეთოდოლოგიური აპარატის საერთო შემადგენელ ელემენტებს. თუმცა, საჭიროა მათი დაზუსტება პერსპექტიული ფინანსურ-საბიუჯეტო დაგეგმვის პროცედურების სპეციფიკის გათვალისწინებით. დაგეგმვის მეთოდოლოგიაში სხვა ელემენტებთან ერთად უნდა აისახოს შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების თავისებურებები.

საბიუჯეტო დაგეგმვის მეთოდოლოგია, ჩვენი აზრით, შეიძლება, წარმოვადგინოთ შემდეგი კონცეპტუალური კატეგორიებისა და პროცესების სისტემის სახით:

- საბიუჯეტო დაგეგმვის პროცედურათა ორგანიზაციის პრინციპები, რომლებიც ეხება ტერიტორიული ერთეულებისა და მუნიციპალური დაწესებულებების საბიუჯეტო პროცესის დაპროექტებას;

- გეგმიური მაჩვენებლების შემუშავების მეთოდები, რომლებიც გამოიყენება როგორც ინდივიდუალურად, ისე კომპლექსურად;

- მარტივ და ანალიზურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ასახავს საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯვითი კატეგორიებით გამოხატულ საჭიროებათა სტრუქტურას;

- საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვასთან დაკავშირებულ ფინანსურ გადაწყვეტილებათა მიღების ხელშემწყობი გარემოს შექმნის პირობები;

- დაგეგმვის ლოგიკა, რომელიც ითვალისწინებს გეგმიურ-საანგარიშო პროცედურების ყველა ეტაპის ურთიერთკავშირს;

- საბიუჯეტო დაგეგმვის ხასიათი – მოკლევადიანი დაგეგმვა (1 წელი) ერთ საბიუჯეტო ციკლში და პერსპექტიული ფინანსურ-საბიუჯეტო დაგეგმვა სამწლიანი პერიოდისათვის;

- საბიუჯეტო დაგეგმვის ტაქტიკური და სტრატეგიული მიზნების სისტემა;

- საბიუჯეტო დაგეგმვის ხარისხისა და ეფექტიანობის მონიტორინგის სტრატეგია;

- საბიუჯეტო-საგადასახადო ანალიზის ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება ფულადი სახსრების ფონდების დაგეგმვის შედეგად ფინანსური და საბიუჯეტო პოტენციალის მართვის შეფასებისათვის.

საგადასახადო დაგეგმვის მეთოდოლოგია, ჩვენი აზრით, განისაზღვრება ისეთი ელემენტებით, რომლებსაც გააჩნიათ მსგავსი თვისებები, მაგრამ საკუთარ ობიექტად აქვთ დაგეგმვის უფრო ვიწრო მიმართულების საგადასახადო პოტენციალი. ესენია:

- საგადასახადო დაგეგმვის პროცედურათა ორგანიზების პრინციპები, რომლებშიც შედის ტერიტორიულ ერთეულებსა და მუნიციპალურ დაწესებულებებში საბიუჯეტო პროცესის ფარგლებში საგადასახადო შემოსავლების გეგმა;

- გეგმიური მაჩვენებლების შემუშავების მეთოდები, რომლებიც გამოიყენება როგორც ინდივიდუალურად, ისე კომპლექსურად;

- მარტივ და ანალიზურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ასახავს საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურას და ფისკალური პოლიტიკის მიმართულებებს;

- საგადასახადო პოტენციალის მართვასთან დაკავშირებულ ფისკალურ გადაწყვეტილებათა მიღების ხელშემწყობი გარემოს ფორმირების პირობები;

- დაგეგმვის ლოგიკა, რომელიც ითვალისწინებს გეგმიურ-საანგარიშო პროცედურების ყველა ეტაპის ურთიერთკავშირს;

- საგადასახადო დაგეგმვის ხასიათი. საგადასახადო შემოსავლების დაგეგმვა ერთწლიანი და სამწლიანი საბიუჯეტო ციკლით;

- საგადასახადო დაგეგმვის ტაქტიკური და სტრატეგიული მიზნების სისტემა;

- საგადასახადო დაგეგმვის ხარისხისა და ეფექტიანობის მონიტორინგის სტრატეგია;

- საგადასახადო ანალიზის ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება საგადასახადო პოტენციალის მართვის შეფასებისათვის ფინანსურ და საბიუჯეტო პოტენციალთან ერთად გადასახადის გადამხდელთა სავალდებულო ფულადი სახსრების შენატანების ფონდების დაგეგმვის გამოყენებით.

მოქმედების ვადის მიხედვით ანსხვავებენ გრძელვადიან გეგმებს: 5-10 და მეტწლიანი, საშუალოვადიან გეგმებს - 3-დან 5 წლამდე და მიმდინარე (წლიურ) გეგმებს. პრაქტიკაში დაგეგმვის სუბიექტთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით დაგეგმვა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა პერიოდებზეც.

დაგეგმვის პრინციპები – ეს არის ამოსავალი დებულებები, გეგმიური დოკუმენტების შექმნის, დასაბუთებისა და ორგანიზაციის წესები. ამასთან, მოცემული დებულებები არ არის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი და ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ საჭიროებენ დახვეწასა და განახლებას. ჩვენი შეხედულებით, დაგეგმვის ინსტრუმენტების გარდაქმნა უნდა დაიწყოს გეგმიურ-ანალიტიკური პროცედურების მეთოდოლოგიის შემადგენელი ელემენტით, რათა მიზნობრივი მაჩვენებლები და ღონისძიებები მოცემული იყოს თვით დაგეგმვის კონცეფციაში.

საგადასახადო და საბიუჯეტო დაგეგმვის მეთოდოლოგიური

პრინციპებიდან შეიძლება გამოიყოს ორი ჯგუფი, რომელთა აგებულებაც შეესაბამება ტერიტორიული ერთეულებისა და მუნიციპალური დაწესებულებების სახელისუფლებო ორგანოების ფინანსური რესურსების განვითარების მიზნებს:

1. ზოგადი პრინციპები (მიღებულია დაგეგმვის მეთოდოლოგიური აპარატის დებულებათა სისტემატიზაციის საფუძველზე).

2. ბიუჯეტის მდგრადობის უზრუნველყოფის პრინციპები.

პირველ ჯგუფს განეკუთვნება სიზუსტის, შეთანხმების, სისტემურობის, შეგუებადობის, მემკვიდრეობითობის, სოციალური სარგებლიანობის, ბიუჯეტის ეფექტიანობის პრინციპები. მეორე ჯგუფის პრინციპებს განეკუთვნება შემდეგი პრინციპები:

- საგადასახადო და საბიუჯეტო ავტონომიის დაცვის პრინციპი;

- საგადასახადო და საბიუჯეტო პოტენციალის მართვის ინსტრუმენტების ოპტიმიზაციის პრინციპი;

- საბიუჯეტო პროცესის მონაწილეთა ინტერესების ჰარმონიზაციის პრინციპი;

- საბიუჯეტო სახრებისა და მათი ლიკვიდობის გრძელვადიანი პირობებისა და თანაფარდობათა მოდელირების პრინციპი;

- საბიუჯეტო პროცესის ინოვაციურობის პრინციპი;

- დაგეგმვის ხარისხის შეფასების ინდიკატორული ხასიათის პრინციპი.

საგადასახადო დაგეგმვის განვითარების პერსპექტივები მჭიდრო კავშირშია საშუალო და გრძელვადიანი დაგეგმვის მეთოდების დანერგვასთან, რადგან საგადასახადო შემოსავლები, მათი კრებადობისა და საკმარისობის პრობლემების მიუხედავად,

არის რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ყველაზე სტაბილური წყარო და საბიუჯეტო გეგმების სტრუქტურის შემუშავების საფუძველი და ორიენტირი. პერსპექტიული დაგეგმვის სისტემაში საგადასახადო შემოსავლების გეგმების შესადგენად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გაიზარდოს საგადასახადო შემოსავლების დაგეგმვის გამოყენებული პროცედურების სანდოობა და სიზუსტე, რაც უკიდურესად მნიშვნელოვანია გრძელვადიანი დაგეგმვისას. იმისათვის, რომ დაგეგმვა შეესაბამებოდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგად პროგნოზებს, კორექტირებულ ფინანსურ გეგმას, საჭიროა გავითვალისწინოთ საგადახადო შემოსავლების პროექტების კორექტირებისთვის საჭირო მექანიზმები, წესები და ანგარიშსწორების აპარატი. ბიუჯეტში, როგორც შემოსავლების სხვადასხვა წყაროთა და ხარჯვის მიმართულებათა ურთიერთდაკავშირებული პარამეტრების სისტემაში მკაცრად განსაზღვრული თანაფარდობით იქმნება გეგმის ყველა ელემენტი. განსაზღვრული და უზრუნველყოფილი იქნება მათი შესაბამისობა ტერიტორიების საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის დებულებებთან და პერსპექტიული განვითარების სტრატეგიებთან. გარდა ამისა, აღნიშნული მოგვცემს ტერიტორიული ერთეულებისა და მუნიციპალური დაწესებულებების საგადასახადო პოტენციალის პროგნოზირებისა და გამოყენების ყველაზე დასაბუთებული მექანიზმის შექმნის საშუალებას, რომელიც შეესაბამება ტერიტორიების საკუთარი პოტენციალის სტიმულირების ამოცანებს.

იმ ქვეყნებში, სადაც საბიუჯეტო დაგეგმის პოლიტიკა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, ტერიტორიულ ერთეულებსა და მუნიციპალურ დაწესებულებებში გეგმიური საქმიანობის პროცესში არასრულყოფილი დაგეგმვის მიზეზია მართვის ყველა დონეს შორის საჭირო დონის ურთიერთკავშირის არარსებობა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საბიუჯეტო

პროცესების დაგეგმვა მეტად დაახლოებულია განვითარებულ ქვეყნებში დანერგილ სტანდარტებთან.

ადეკვატური საბიუჯეტო და საგადასახადო დაგეგმვისათვის საკმარისი მოცულობის საინფორმაციო ბაზის არარსებობა მთავარი პრობლემას წარმოადგენს. უმეტეს მუნიციპალურ დაწესებულებებში დაგეგმვის საფუძველია მუნიციპალური სტატისტიკა. გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობა ხშირ შემთხვევაში სწორედ იმის გამო ვერ უზრუნველყოფს სარწმუნო პროგნოზების შემუშავებას, რომ არ გააჩნია მონაცემები სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შესახებ. ამ დროს დაფინანსების ობიექტებისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობის მაჩვენებლებზე უბრალო დაკვირვებაც კი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა ადგილობრივი ფინანსების მართვას.

დასკვნა. ამგვარად, დაგეგმვის ფუნქციური და პროცედურული საფუძვლების შესწავლის შედეგად საბიუჯეტო დაგეგმვის სისტემაში პროგნოზულ-ანალიტიკური ქვესისტემის შესახებ შეიძლება გაკეთდეს კონცეპტუალური დასკვნა საგადასახადო-საბიუჯეტო პროცესის მიზნობრივი დანიშნულების შესახებ. ჩამოვთვლით იმ ამოცანებს, რომლებიც უნდა გადაწყდეს საგადასახადო-საბიუჯეტო ანალიზის მეთოდების გამოყენებით:

1) წინა საბიუჯეტო ციკლში გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო სამართალდარღვევების დაწვრილებითი ანალიზი;

2) გადამხდელთა ჯგუფების მიხედვით საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურული ანალიზი;

3) საგადასახადო დავალიანების დინამიკის შეფასება;

4) საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის მეთოდიკისა და პროცედურების დასაბუთებულობის მონიტორინგი;

5) საბიუჯეტო სისტემაში გადასახადების შეტანის ვადების მიხედვით ხაზინაში ფულადი სახსრების თანაბარზომიერი მოძრაობისა და ხარჯვის ვალდებულებათა ლიმიტების შესრულების ვადებთან შესაბამისობის დადგენა;

6) ტერიტორიის საგადასახადო პოტენციალის ფორმირებისა და გამოყენების ფაქტორების დადგენა ბიუჯეტის პოტენციალის განვითარების პრობლემებთან კავშირში;

7) საბიუჯეტო გეგმებისა და პროგრამების განხორციელების პირობების შეცვლის შეფასება;

8) იმ ფაქტორების სტრუქტურულ–დინამიური ანალიზი, რომლებიც განსაზღვრავს ტერიტორიის საგადასახადო შესაძლებლობებს რესურსების მობილიზაციის მიმართულებით ცალკეული გადასახადების ჭრილში;

9) იმ ინფორმაციული ნაკადების სისტემის ანალიზი, რომლებიც საგეგმო ორგანოებს აწვდიან ოპერატიულ ინფორმაციას ტერიტორიული ერთეულების ან მუნიციპალური დაწესებულების საგადასახადო სისტემისა და საბიუჯეტო ურთიერთობების შესახებ.

გარდა ამისა, რეგიონულ და ადგილობრივ ბიუჯეტთა შემოსავლების დაგეგმვა მოითხოვს მეთოდოლოგიის გაუმჯობესებას, ცნებების დაკონკრეტებას, აგრეთვე ფინანსური და საგადასახადო პოტენციალისა და გადასახადების აკრებადობის შეფასების აპარატის სრულყოფას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კაკულია რ., ბახტაძე ლ., ჯიბუტი ა. - საჯარო ფინანსები: სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დარბეგი“, 2010.
2. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ფინანსები, თბილის გამომცემლობა „დანი“ 2016.
3. ხანთაძე გ., ცაავა გ., საჯარო ფინანსები, (სახელმძღვ.), თბილისი. გამომცემლობა „დანი“ 2013.
4. Бабич А.М.- Финансы: Учебник. – Москва: ИД ФБК-ПРЕСС, 2014. – 760 с.
5. Балабанов А.И.- Финансы. – СПБ: Издательство «Питер», 2014. – 192 с.
6. Финансы: Учебник. Под ред. О.Р. Романенко, С.Я.Огородник, М.С. Зязюк, А.А. Славкова. – Киев: Знания, 2014. – 611 с.
7. Сакс Дж. Д., ЛарренФ.Б. – Макроэкономика: Глобальный подход: Пер. с англ. – Москва: Дело. 2006. – 848 с.
8. https://mof.ge/5161 გადამოწმებული იქნა 14.12.2018.
9. https://mof.ge/saxelmwifo_biujeti_wlebis_mixedvit გადამოწმებული იქნა 14.12.2018.
10. https://www.matsne.gov.ge/ გადამოწმებული იქნა 14.12.2018.

მწვანე ეკონომიკის როლი მდგრად განვითარებაში

The role of Green Economy in Sustainable Development

მარიამ ძებისაშვილი - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Mariam Dzebisashvili - Doctorate
Georgian Technical University

რეზიუმე: მარიამ ძებისაშვილის სტატიაში "მწვანე ეკონომიკის როლი მდგრად განვითარებაში" განხილულია, თუ როგორი ურთიერთდამოკიდებულებაა ადამინსა და ბუნებას შორის. ადამიანებმა ქვის ხანაშიც იცოდნენ, რომ ბუნება განსაზღვრავდა მათი არსებობის თითოეულ ეტაპს, თუმცა წარმოდგენაც კი არ ქონდათ იმის შესახებ, რომ საუკუნეების შემდეგ იარსებებდა ცნება „მწვანე ეკონომიკა", რომლის შენარჩუნებაც მთელი მსოფლიოსათვის ნომერ პირველი ამოცანა გახდებოდა. სტატიაში ნათლად ჩანს, როდის გაიაზრა საზოგადოებამ ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობა და დაიწყო მათი ეკონომიური გამოყენება. ამ ფაქტს კიდევ ერთი დატვირთვა ქონდა. ადამიანებმა დაიწყეს ზრუნვა მომავალ თაობებზე, რომლებიც შეიძლებოდა რესურსების გარეშე დარჩენილიყვნენ. სტატიაში აღწერილია მწვანე ეკონომიკის შემადგენელი უნიშვნელოვანესი ფაქტორების (ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, სოციალური კეთილდღეობა, ჯანდაცვა, ტურიზმი) გავლენა მდგად განვითარებაზე. ასევე ნაშრომი მკითხველს გააცნობს სხვადასხვა დარგში არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს.

Abstract: In Mariam Dzisashvili's article „The role of Green Economy in Sustainable Development" is discussed ,what kind of connection is between humans and nature. Humans of stone age already knew that nature defined each stage of their existence, But they did not even imagine that after the centuries there would be the concept of "green economy", whose preservation would become the number one goal for the whole world. The article clearly shows when society realized that natural resources are limited and began to use them economically. This fact had also one more aim. People begin to care about future generations which could remain without resources. In addition, the article

describes the most important factors in the green economy (Energy, Agriculture, Social Welfare, Health Care, Tourism)and their influence on Sustainable Development. The article will also introduce the reader the ways of solving problems in different fields.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, მწვანე ეკონომიკა, მაკროეკონომიკა, მთლიანი შიდა პროდუქტი, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, სოციალური კეთილდღეობა, ჯანდაცვა, ტურიზმი.
Keywords: Sustainable Development, Green Economy, Macroeconomics, Gross Domestic Product, Energy, Agriculture, Social Welfare, Health Care, Tourism.

ადამიანი მთელი თავისი არსებობის მანძილზე აქტიურ კონტაქტშია ბუნებასთან და სარგებლობს მისი შესაძლებლობებით. თანამედროვე პირობებში, კაცობრიობისათვის ადმაიანის ზემოქმედება გარემოზე დიდ პრობლემას წარმოადგენს, რაც ბუნებრივი რესურსების ჭარბად გამოყენებაში ვლინდება.

დედამიწაზე კლიმატი არაერთხელ შეიცვალა. ადამიანს თავის გადასარჩენად გარემო პირობებთან ადაპტაცია უწევდა. ამ პროცესში უდიდეს როლს ბუნებრივი კატასტროფები თამაშობდა: მეწყერი, წყალდიდობები, მიწისძვრები და სხვა, რაც შეუქცევად ცვლილებებს იწვევდა და განადგურებამდეც კი მიყავდა უძველესი ცივილიზაციები.

„სამრეწველო რევოლუციის“ დაწყებამ მე-18 საუკუნის 50-იან წლებში განაპირობა მოსახლეობისათვის საარსებო პირობების მკვეთრი გაუმჯობესება, ამ უკანასკნელმა კი თავის მხრივ ხელი შეუწყო სიცოცხლის გახანგრძლივებას და მოსახლეობის სწრაფ მატებას. რაოდენობის ზრდამ გამოიწვია ბუნებრივი რესურსების ინტენსიური გამოყენება. წარმოების პროცესმა უდიდესი მასშტაბები მიიღო. გაჩნდა საფრთხე, რომ

რესურსების ჭარბი რაოდენობით სარგებლობა, მომავალ თაობებს უდიდეს პრობლემებს შეუქმნიდა. ამის თავიდან ასაცილებლად კაცობრიობამ დასახა „მდგრადი განვითარების“ პრინციპი, რომელიც პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს და საფრთხის ქვეშ არ აყენებს მომავალი თაობების უნარს - დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილებები. უფრო კონკრეტულად კი **დღევანდელი კეთილდღეობის ზრდამ არ უნდა გამოიწვიოს ხვალინდელი კეთილდღეობის ზრდის ტემპის შემცირება.**

ტერმინი „მწვანე ეკონომიკა“ პირველად 1972 წელს სტოკჰოლმში ჩატარებულ კონფერენციაზე გაჟღერდა. იგი განაპირობებს ადამიანის კეთილდრეობას ეკოლოგიური პრობლემების რისკების შემცირებით. მწვანე ეკონომიკა ზრუნავს არამარტო კაპიტალის ზრდასა და შრომითი რესურსების განახლებაზე, არამედ განაახლებს მიწას (ბუნებრივ რესურსებს) როგორც წარმოების ფაქტორს.

მწვანე ეკონომიკა ექვს მთავარ სექტორს მოიცავს:

- ✓ **განახლებადი ენერგია** (მზის, ქარის, გეოთერმული, საზღვაო, მათ შორის ტალღების, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერგია);
- ✓ **მწვანე შენობები** (ენერგიის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები);
- ✓ **სუფთა ტრანსპორტი** (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი ჰიბრიდული და ყველა ელექტროსატრანსპორტო საშუალება);
- ✓ **წყლის მენეჯმენტი** (წყლის და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება);

- ✓ **ნარჩენების მენეჯმენტი** (მუნიციპალური ნარჩენი მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება);
- ✓ **მიწის მენეჯმენტი** (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება)

ჩამოყალიბდა ცხრა ძირითადი პრინციპი:

ღირსების პრინციპი - გულისხმობს კეთილდღეობის ზრდას და განაპირობებს საზოგადოების განვითარების მაღალ დონეს ყველა ქვეყანაში

მონაწილეობის პრინციპი - მწვანე ეკონომიკა საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მოქალაქეებს ჩაერთონ პრობლემის გადაწყვეტის საკითხში და ნებისმიერ დონეზე მიიღონ მონაწილეობა ბუნების გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში.

მოქნილობის პრინციპი - მწვანე ეკონომიკის მოდელი იმდენად უნივერსალურია, რომ ადვილად შეიძლება მოერგოს ნებისმიერი ქვეყნის სხვადასხვა კულტურულ, სოციალურ თუ გარემოს დაცვით თავისებურებებს.

მდგრადობის პრინციპი - მწვანე ეკონომიკა მოიცავს მდგრადი განვითარების ყველა ასპექტს: ეკოლოგიურს, სოციალურსა და ეკონომიკურს, რაც ხელს უწყობს კომპლექსური სტრატეგიების შემუშავებას, რითაც სამივე მიმართულებით მიიღწევა შედეგი.

სათანადო მმართველობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპი - მწვანე ეკონომიკა ცხადია გაზომვადია და აბსოლიტურად გამჭვირვალე. აქედან გამომდინარე ნებისმიერი წინსვლა ფასდება, როგორც მიკროეკონომიკური ისე მაკროეკონომიკური ფორმულებით.

სამართლიანობის პრინციპი - მწვანე ეკონომიკა მხარს უჭერს სამართლიანობას, თანასწორობას და ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დაცვას.

ჯანსაღი პლანეტის პრინციპი - მწვანე ეკონომიკა ზრუნავს ბიომრავალფეროვნებისა და იმ სისტემების აღდგენაზე, რომლებიც იწყებენ დეგრადირებას. ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ამასთან ერთად, არ უქმნის საფრთხეს მომავალი თაობების პერსპექტივებს.

ეფექტიანობისა და საკმარისობის პრინციპი - მწვანე ეკონომიკა ანხორციელებს პრინციპს - „დამბინძურებელი იხდის," რომლის ფარგლებშიც მრავალი პროექტი განხორციელდა. ასევე ცდილობს მიაღწიოს წყლისა და სხვა რესურსების ეფექტიან ხარჯვას.

თაობების პრინციპი - მწვანე ეკონომიკა უზრუნველყოფს სამართლიანობას თაობებს შორის. იგი ხელს უწყობს რესურსების რაოდენობისა და სიცოცხლის ხარისხის შენარჩუნებას გრძელვადიან პერსპექტივაში

რესურსების შემცირება და სტიქიური უბედურებები უდიდეს ზარალს აყენებს ეკონომიკას. გარდა რესურსისა, რაც ყოველწლიურად იხარჯება ეკოსისტემის აღდგენაზე, დიდი პრობლემები ექმნება ეკონომიკის მრავალი დარგს. კლიმატური პირობების ცვლილების პარალელურად მათ შეცვლილ გარემო პირობებზე გადაწყობა უწევთ, რასაც დიდი ფინანსური დანახარჯები ახლავს თან.

ენერგეტიკა ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა, თუმცა ამ დარგში ხშირად წარმოიქმნება მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი. ტემპერატურული

ცვლილებების გამო, იზრდება ენერგეტიკული რესურსების ხარჯვა. საფრთხის ქვეშაა თავად ენერგოუსაფრთხოებაც, ვინაიდან ელექტროსადგურების სიმძლავრე შეზღუდულია, დამატებითი მშენებლობა კი დამატებით დანახარჯებს მოითხოვს. გამოსავალი გაზრდილი მოთხოვნების გამო, თუ ვერ მოიძებნება გამოსავალი, ელექტროსადგურები ამ დატვირთვას ვეღარ გაუძლებენ და უდიდესი ზარალის წინაშე აღმოვჩნდებით. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ბუნებრივ აირთან დაკავშირებითაც.

სოფლის მეურნეობა ძლიერაა დამოკიდებული გარემო პირობებზე და კლიმატის ცვლილებების უდიდეს გავლენას განიცდის. ტენიანობის ცვლილებები, გვალვა, წყალმოვარდნები, ძლიერი ნალექები განაპირობებს ნიადაგის დეგრადაციას და გამოფიტვას. აქედან გამომდინარე ხდება პროდუქტიულობის დაქვეითება, როგორც მეცხოველეობის ისე მიწათმოქმედების განხრით, რაც აისახება საკვების რაოდენობასა და ხარისხზე.

ტურიზმი ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მსოფლიოში უამრავი ქვეყანაა, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტის ძირითადი წილი ტურიზმზე მოდის. სოფლის მეურნეობაში შექმნილი გამოწვევების გამო, თუ საკვებზე შეგვექმნება პრობლემა და ამ ყველაფერთან ერთად გაუარესებული იქნება კლიმატური პირობები, ეს საკურორტო ზონებს და მთლიანობაში ტურიზმს დიდ საფრთხეს შეუქმნის.

გაუარესებული კლიმატი უარყოფით ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ადამიანი საუკუნეების მანძილზე შეეგუა არსებულ გარემო პირობებს (სეზონებს, ტენიანობას, ტემპერატურას, კლიმატს) და დაუქვემდებარა თავისი ცხოვრების სტილი შეჩვეულ გარემოს. გარემო პირობების მკვეთრმა

ცვლილებამ ცოცხალ ორგანიზმებზე უდიდესი გავლენა მოახდინა. გამყინვარების და სხვა კლიმატური ცვლილებების პერიოდებმა ადამიანის და სხვა სახეობების სტრუქტურული ქცევითი სტერეოტიპების ცვლილება გამოიწვია (მაგ: ხორცისმჭამელობაზე გადასვლა, დინოზავრების გადაშენება და სხვ)..

სტიქიური უბედურებები, ენერგეტიკის სფეროში არსებული საფრთხეები, საკვებითა და წყლით უზრუნველყოფის პრობლემები უარყოფითად აისახება ადამიანის სოციალურ კეთილდღეობაზე. ადამიანები თანდათან უფრო და უფრო დაუცველები ხდებიან. მათ ურთულდებათ საცხოვრებელი პირობები, უმცირდებათ შემოსავალი და შეცვლილ გარემოსთან შეგუება უწევთ. ასევე სტრესისა და საკვებთან დაკავშირებული პრობლემების გამო, უარესდება ჯანმრთელობა რაც შექმნის სიტუაციას უფრო ამძიმებს.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მწვანე ეკონომიკაში შექმნილი პრობლემები ზიანს აყენებს უამრავ დარგს და უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანის როგორც დღევანდელ ისე მომავალ ყოფაზე.

მეცნიერები თანხმდებიან, რომ თანამედროვე პირობებში, კლიმატის ცვლილების უმთავრესი მიზეზი ატმოსფეროში ანთროპოგენური წარმოშობის სათბურის გაზების კონცენტრაციის ზრდაა. უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება უპირველეს ყოვლისა, სათბურის გაზების ემისიების შემცირებით და ატმოსფეროში მათი კონცენტრაციის სტაბილიზაციითაა შესაძლებელი. ასევე არსებობს რამოდენიმე ხერხი, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია დაიზოგოს

რესურსები და მდგრადი განვითარების მიღწევა გაცილებით მარტივად შესაძლებელი გახდეს.

ბუნებრივი აირის დანაკარგების/გაჟონვების და შესაბამისად მეთანის ემისიების შემცირება (ბუნებრივი აირის 90-95% მეთანია). ეს ეკონომიკურად მომგებიანია არა მხოლოდ ბუნებრივი აირის დისტრიბუტორი კომპანიებისთვის, არამედ მთლიანობაში სახელმწიფოსთვის, რადგან დაიზოგება იმპორტირებული ბუნებრივი აირი და გაუმჯობესდება ქვეყნის საგადამხდელო ბალანსი;

ენერგიის ეფექტიანობის გაუმჯობება საცხოვრებელ, კომერციულ და სახელმწიფო შენობებში შეამცირებს ენერგიის ხარჯს და აქედან გამომდინარე, შეამცირებს ენერგიის მომხმარებელთა ფინანსურ დანახარჯებს. ენერგოეფექტურობის გაზრდა მრეწველობაში გააუმჯობესებს საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას;

მყარი ნარჩენების რეციკლირება შექმნის დამატებით ნედლეულს და შეამცირებს ნაგავსაყრელზე ნარჩენების გატანის ხარჯს. შესაბამისად ნაგავსაყრელებიდან ამოღებული მეთანიდან შესაძლებელია ენერგიის გამომუშავება;

ცხოველური ნარჩენებიდან (ნაკელიდან) ბიოგაზის წარმოება უზრუნველყოფს განახლებადი ენერგიით ცალკეულ საოჯახო მეურნეობებსა და მსხვილ ფერმებს;

გათბობისათვის ენერგოეფექტიანი ღუმელების და ცხელი წყლისმისაღებად მზის კოლექტორების გამოყენება შეამცირებს შეშის და/ან წიაღისეული საწვავის ხარჯს;

ბიოსაწვავის (ბრიკეტებისა და პელეტების) წარმოება ტყისა (ნახერხი,ნაფოტები და სხვ.) და სოფლის მეურნეობის

ნარჩენებიდან (ნამჯა, წალამი, ფუჩეჩი, და სხვ.) შეამცირებს შეშის მოხმარებას;

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დარწმუნებით აღვნიშნოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი. პირველ რიგში ის, რომ მწვანე ეკონომიკის გავლენა მდგრად განვითარებაზე იმდენად დიდია, რომ ეკოსისტემის გარეშე მდგრადი განვითარება ვერ იარსებებს, თუნდაც იმიტომ, რომ ბუნებაში არსებული პრობლემები ავტომატურად იწვევს ეკონომიკის ძირითადი დარგების მკვეთრ დეგრადირებას. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ძალიან რთულია მიაღწიო მწვანე ეკონომიკაში იდეალურ ბალანსს, თუმცა აუცილებელია ხელი შეეწყოს რესურსების ჭარბად გამოყენების შემცირებას და ყველა იმ ბუნებრივი რესურსის აღდგენას, რომლის გამოლევაც საფრთხის წინაშე დგას. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის ფაქტია, რომ დღეისათვის უკვე არსებობს არსებულ პრობლემებთან ბრძოლის ხერხები, უბრალოდ საჭიროა ყველა ქვეყანამ მიიღოს მონაწილეობა ამ პროცესებში და დაისახოს სწორი პრიორიტეტები. ყველამ უნდა გავითავისოთ, რომ მწვანე ეკონომიკა, ჯანსაღი ეკოსისტემა და ჯანსაღი საზოგადოება ქმნის რეალურად მომავალს. მხოლოდ ეს არის ის, რაც მომავალ თაობებს მისცემს უკეთ ცხოვრების საშუალებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაბუნაშვილი გ.,საქართველოს ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების პრობლემები;გამომცემლობა"თბილისის უნივერსიტეტი"; თბილისი, 2000;
2. ქავთარაძე ი., "მწვანე ზრდა" ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს სტაბილურობას ერთდროულად გულისხმობს;

http://www.economy.ge/?page=news&nw=654&s=irma-qavtaradze-mwvane-zrda-ekonomikur-ganvitarebasa-da-garemos-stabilurobas-ertdroulad-gulisxmobs
გადამოწმებულ იქნა: 19.11.18

3. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური სისტემების მოწყვლადობა და ადაპტაცია კლიმატის ცვლილებების მიმართ; http://www.moe.gov.ge/ka/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/klimatis-cvlileba/adaptacia/1970-01-01-adaptacia
გადამოწმებულ იქნა: 19.11.18
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის, "საქართველო 2020" დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების თაობაზე, თბილისი, 2014; http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf
გადამოწმებულ იქნა: 19.11.18
5. Diyar S; Akparova A; Toktabayev A; Tyutunnikova M. (2014). Green Economy - Innovation-Based Development of Kazakhstan. Procedia - Social and Behavioral Sciences, 140, 695–699 https://doi.org/10.1016/j.sbspro.2014.04.497
გადამოწმებულ იქნა: 19.11.18
6. Jacobs M.. Green Growth: Economic Theory and Political Discourse. Centre for Climate Change Economics and Policy, Working Paper No. 108. Grantham Research Institute (2012);
http://www.lse.ac.uk/GranthamInstitute/wp-content/uploads/2012/10/WP92-green-growth-economic-theory-political-discourse.pdfLane R. (2010).
7. The Crisis from the Point of View of Evolutionary Economics. International Journal of Social Economics, 37(6), 466–471; https://doi.org/10.1108/03068291011042337 გადამოწმებულ იქნა: 19.11.18

საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების თანამედროვე მეთოდები და სამართლებრივი ასპექტები

Modern methods of international trade regulation and legal aspects

ლალი ხიხაძე - ეკონომიკის დოქტორი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Lali Khikhadze - Doqtor in Economics
Tbilisi State University

რეზიუმე: თანამედროვე ეტაპზე საქართველოსათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარებულ ქვეყნებთან სავაჭროეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას, გლობალურ ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობას, რაც უპირატესად განაპირობებს ქვეყნის საკანონმდებლო ბაზისისა და სახელმწიფოებრივი მარეგულირებელი მეთოდების სრულყოფილებას. ამასთან ერთად მზარდი ტექნოლოგიური დამოკიდებულება განვითარებულ ქვეყნებზე, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პოლიტიკა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, საექსპორტო პოტენციალის ზრდის, მსოფლიო ეკონომიკასა და სართაშორისო ვაჭრობაში ინტეგრირების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

Summary: Currently, it is vitally important for Georgia to deepen trade-economic relations with developed countries, to closely cooperate with global organizations and institutions that definitely require perfection of country's legislation and government regulations mechanisms. Furthermore, increasing dependence on developed countries, foreign trade liberalization policy and attraction of foreign investments are one of the basic grounds for country's economic development, increase of export potential, integration with the world economy and international trade.

In a modern world, trade-economic contacts and relationships are strongly integrated and correlated as post-industrial and highly technological manufacturing countries produce goods not only for national but for international markets as well. Therefore, the more highly developed is a country, more important is development of international trade for such a country. Developing countries and countries in transition have a limited number of technologies, material resources and a small-sized domestic market. In such countries, it is not

possible to produce all goods required for a national market's industrial and consumption purposes; correspondingly, international trade creates opportunities for consumption of material valuables and achievement of more welfare desired for the developing world.

Along with WTO, the following organizations are actively engaged in the process of regulation of international trade policy – the United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD), the United Nations Commission on International Trade Law(UNCITRAL), the World Customs Organization (WCO), the International Chamber of Commerce, also various international commodity market regulatory organizations and the conventions, international agreements, guiding recommendation and typical contracts developed by such organizations serve harmonization, standardization and unification of trade policy between the states.

Georgia must use close cooperation with WTO member countries and international organizations for reduction of a country's deficit of payment balance and for the benefit of population. National trade policy pattern must be developed with consideration of global processes, modern trends of international trade regulation, multilateral World Trade Organization agreements that will provide openness of the country and along with this, safeguard the national market from increasing imports by foreign companies.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ვაჭრობა, მსოფლიო ეკონომიკა, საერთაშორისო ბიზნესი, ექსპორტი, იმპორტი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, ლიბერალიზაცია, პროტექციონიზმი, საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, საბაჟო ტარიფები და არასატარიფო ბარიერები, დემპინგი, სუბსიდირება, ვმო-ს მრავალმხრივი შეთანხმებები, პოსტინდუსტრიული, გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნები.

Key Words: international trade, world economy, international business, export, import, World Trade Organization, liberalization, protectionism, foreign trade policy, customs duties and non-tariff measures, dumping, subsidizing, WTO multilateral agreements, post-industrial, countries in transition and developing countries.

თანამედროვე მსოფლიოში ქვეყანათა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთიერთობები მნიშვნელოვნადაა ინტეგრირებული და ურთიერთდამოკიდებული, რადგანაც პოსტინდუსტრიული და მაღალტექნოლოგიური მწარმოებელი ქვეყნები პროდუქციას აწარმოებსარა მარტო ეროვნული, არამედ მსოფლიო ბაზრებისათვის,

ამდენად, რაც უფრო მაღალგანვითარებულია ქვეყანა, მით უფრო აქტუალურია მისთვის საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების აუცილებლობა. განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნები კი ხასიათდება მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების, მატერიალური რესურსების შეზღუდული რაოდენობითა და ვიწროში¬და ბაზრით. ასეთ ქვეყნებში შეუძლებელია ეროვნული ბაზრის სამრეწველო და სამომხმარებლო მოხმარებისათვის აუცილებელი ყველა საქონლის წარმოება, შესაბამისად საერთაშორისო ვაჭრობა განვითარებადი სამყაროსათვის სასურველი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოხმარებისა და მეტი კეთილდღეობის მიღწევის საშუალებას იძლევა.

XX საუკუნის 90-იან წლებამდე საერთაშორისო სავაჭრო სისტემა პერმანენტულად იცვლებოდა ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომებით. პროტექციონიზმი – თავისუფალი შეუზღუდავი სავაჭრო რეჟიმით და პირიქით. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დაარსების შემდეგ საერთაშორისო სავაჭრო სისტემამ სიღრმისეული ტრანსფორმაცია განიცადა და მსოფლიო ვაჭრობაში უპირატესობა ლიბერალურ სავაჭრო პოლიტიკას მიენიჭა.

პროტექციონიზმი უცხოური კონკურენციისაგან შიდა ბაზრის დასაცავად მიმართულ პოლიტიკას, სახელმწიფოს მიერ საბაჟო ტარიფებისა და არასატარიფო ბარიერების გაძლიერებას გულისხმობს, ამასთან ერთად პროტექციონიზმი ხელს უწყობს სიღა-რიბეს და არა ადამიანების კეთილდღეობას, ზიანს აყენებს და ანადგურებს ეროვნულ საექსპორტო წარმოებას, ასევე მანქანა-მოწყობილობებისა და სანედლეულო რესურსების იმპორტს, რომელიც ადგილობრივი წარმოებისათვისაა აუცილებელი კომპონენტი. თავისუფალი ვაჭრობა კი ხელს უწყობს საერთაშორისო სპეციალიზაციის გაღრმავებასა და ყოველი ქვეყნის რესურსული პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, რაც აძლიერებს კონკურენციას, აჩქარებს მეცნიერულ ტექნიკურ პროგრესს და

ინოვაციების დანერგვას, აფართოებს ბაზრებსა და შესაძლებელი ხდება მასობრივი წარმოების ორგანიზაცია, ყოველივე კი განაპირობებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, დანახარჯების შემცირებასა და ფასების სტაბილაზაციის ფონზე საბოლოოდ მომგებიანია მომხმარებლებისათვის.

პროტექიონიზმისა და ლიბერალიზაციის დადებითი და უარყოფითი ტენდენციების შეჯერების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის აუცილებელია გარკვეული პრაგმატიზმი და სათანადო წონასწორობის დაცვა. ამ წონასწორობამ არ უნდა დააზარალოს განვითარებადი და გარდამავლი ეკონომიკის ქვეყნები, არამედ პირიქით ხელშემწყობი უნდა გახდეს სახელწმიფოთაშორის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებისა და თანამშრომლობისათვის. პრაქტიკული თვალსაზრისით საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა წარმოადგენს პროტექციონიზმის ელემენტებისა და თავისუფალი ვაჭრობის შერწყმას, მაგრამ პროტექციონიზმი ყოველთვის ატარებს ნაციონალურ ხასიათს, ხოლო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფოების ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთშეთანხმებების შედეგს. აღნიშნულიდან გამომდინარე ყოველი სახელმწიფო დაინტერესებულია თავისი ეროვნული პროდუქციის, კაპიტალისა და მომსახურების გატანაში საერთაშორისო ბაზრებზე. ამდენად, ხშირად აქვს ადგილი ქვეყნებს შორის შეზღუდვების გაუქმებას ურთიერთდათმობების შედეგად. თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკა უფრო შეესაბაება მთლიანად ეკონომიკის განვითარების ხელსაყრელი პირობების ჩამოყალიბების ამოცანას. ხოლო პროტექციონიზმის პოლიტიკა კი გამოიყენება კონკრეტული და ნაწილობრივი ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც უფრო ხშირად დაკავშირებულია პოლიტიკური ინტერესების გატარებასთან. ვაჭ¬რო¬ბის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გლობალური ორგანიზაციაა თანამედროვე მსოფლიოში, რომელიც წარმოადგენს

საერთაშორისო სავაჭრო სისტემის სამართლებრივ და ინსტუტიციონალურ ორგანიზაციულ საფუძველს. ვმო-ს მრავალმხრივი შეთანხმებებით გაუქმებულია პროტექციონიზმის პოლიტიკა და მისი უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობის სტაბილური განვითარებას, დაარეგულიროს ვაჭრობასთან დაკავშირებული კომერციული დავები სახელმწიფოთა შორის და სავაჭრო მოლაპარაკებები. ვმო-ს წევრი ქვეყნებისათვის, რომ შეიქმნას კონკურენციული გლობალური გარემო, ლიბერალური საერთაშორისო სვაჭრო რეჟიმი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა მსოფლიოს არცერთი ქვეყანა არ იძლევა თავის ტერიტორიულ საზღვრებში საქონლისა და მომსახურების არარეგულირებადი ნაკადების მოძრაობის უკონტროლოდ დაშვების უფლებას. ქვეყნები საგარეო ვაჭრობაში ძირითადად იყენებენ სატარიფო, არასატარიფო, მონეტარულ და საერთაშორისო შეთანხმებებით განსაზღვრულ რეგულირების თანამედროვე მეთოდებს. სავაჭრო ბარიერები დამახასიათებელია, როგორც საქონლისა და მომსახურებისა იმპორტისათვის, იშვიათად დეფიციტური ექსპორტისათვის.

ვმო აყალიბებს სავაჭრო ზომების სამ სახეობას: დაცვითი ზომები, ანტიდემპინგურ პოლიტიკა (ADP შეთანხმება)და სუბსიდირება\საკომპენსაციო ზომები (SCM), რომელსაც ვმო- ს შეთანხმებების შესაბამისად სახელმწიფოები იყენებენ საკუთარი ეროვ-ნული ბაზრის დასაცავად.

ვმო-ს წევრი ქვეყნები (164 ქვეყანა 2018 მონაცემებით) აწარმოებენ მოლაპარაკებებს საბაჟო ტარიფების შემცირებაში პროგრესის მისაღწევად, თუ შეთანხმებული იქნება ახალი სატარიფო დათმობები (კონცესიები) ისინი გარდაიქმნებიან სატარიფო შეზღუდვებად. ტარიფთა ახალი დონეები შეყვანილია ვმო-ს წევრი ქვეყნების სატარიფო ცხრილებში, ვმო გამოსცემს საერთაშორისო

ვაჭრობის სახელმძღვანელო პრინციპებს საბაჟო გადასახდების ადმინისტრირების, საქონლის შეფასებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, რადგან საბაჟო ტარიფების შემცირების შედეგები არ იქნეს ბლოკირებული მაღალი გადასახადების ან იმპორტირებულ საქონელზე გაზრდილი ფასების დაწესებით.

საბაჟო ტარიფები, როგორც სახელმწიფოს ფისკალური ინსტრუმენტები ყველაზე ეფექტიანად ემორჩილება პროგრესულ შემცირებას დროის გარკვეულ პერიოდში და უფრო გამჭირვალეა ვიდრე არასატარიფო ბარიერები. გამჭირვალობა ნიშნავს კანონებისა და წესების სიცხადეს, სიმარტივესა და საჭიროებას. ამდენად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია პრიორიტეტს ანიჭებს საბაჟო ტარიფებით რეგულირებას, აუქმებს და მინიმუმამდე ზღუდავს არასატარიფო ზომების გამოყენებას. საბაჟო ტარიფების დემონტაჟის პირობებში სახელმწიფოები ეროვნული ბაზრის დასაცავად სულ უფრო მეტად მიმართავენ დაცვით-სპეციალურ შეზღუდვებს, რომელიც მოიცავს საერთაშორისო ვაჭრობისა და სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკის რეგულირების ფართო წრეს.

გაეროს კლასიფიკაციით და GATT/WTO –ს შეთანხმებების საფუძველზე მიღებულია არასატარიფო ბარიერების შემდეგი კატეგორიები:

- დაცვითი ზომები ანუ სპეციალური შეზღუდვები;
- არასატარიფო შეზღუდვები ანუ საბაჟო ადმინსტრაციული ფორმალობები;

დაცვითი სპეციალური შეზღუდვები, ეროვნულ ბაზრებზე უცხოური საქონლის დაშვებას არეგულირებენ. ასეთი შეზღუდვებია: ქვოტირება, ლიცენზირება, კონტინგენტირება, ანტიდემპინგური რეჟიმი, სუბსიდია -საკომპენსაციო ბაჟები.

კვოტების გამოყენება სავაჭრო შეთანხმებებით ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებებით რეგულირდება. კვოტების უკიდურეს ზომას წარმოადგენს ემბარგო, რაც ნიშნავს ვაჭრობის სრულად

აკრძალავას განსაზღვრული სახელმწიფოდან კონკრეტული საქონლის ექსპორტზე. ზოგიერთ შემთხვევებში ემბარგოს საფუძვლად უდევს პოლიტიკური მოტივები და ინტერესები, მაგალითად, რუსეთის ემბარგო საქართველოს მიმართ, რომელიც 2006 წლიდან მომდინარეობს და დღემდე გრძელდება, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2012 წლის 20 აგვისტოდან რუსეთი გაწევრიანდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანზაციაში, რაც განაპირობებს რუსეთ-საქართველოს სავაჭროეკონომიკური ურთიერთობების აღდგენასა და ორივე ქვეყნისათვის ზიანის მომტანი სავაჭრო ბარიერების გაუქმებას. 2002 წლიდან საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციის ეგიდით და ვმო-ს წინაშე აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით გაუქმებულია კვოტირება (კონტინგეტირება) და ლიცენზირება, როგორც ვაჭრობის შემზღუდველი არასატარიფო ბარიერები.

ზემოთგანხილულ არასატარიფო ზომებთან ერთად დაცვითი შეზღუდვები არის განსაკუთრებული ბარიერები, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ადგილობრივი მწარმოებლის დაცვა იმპორტის გაუთვალისწინებელი ზრდისაგან, რაც შეიძლება განხორციელდეს ისეთი კონკურენციული გარემოებების ცვლილებების შედეგად, როგორიცაა ტარიფების გაუქმება, დაცვითი შეზღუდვები დრო¬ე-ბით უზრუნყელყოფენ ადგილობრივ მეწარმეებს განახლებული ბარიერებით, ისე, რომ მათ შეძლონ ეროვნული ბაზრის ლიბერალიზაციის შედეგებთან ადაპტირება. ვმო-ს ძირითადი შეთანხმებებით დაცვითი ზომების გამოყენება რეკომენდებულია იმ შემთხვევაში, როდესაც ფორმალური გამოძიება დაადგენს, რომ ადგილობრივ მეწარმეებს მიყენე-ბული აქვთ სერიოზული ზარალი არასატარიფო ბარიერებისაგან. კერძოდ დემ¬პინგი, როგორც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფორმა განსაკუთრებით საყურადღებოა განვითარებად ქვეყნებში, როდესაც საქონელი

იმპორტიორი ქვეყნის ბაზარზე იყიდება უფრო დაბალ ფასებში, ვიდრე საექსპორტო ქვეყანაში. საქართველოს შიდა ბაზარზე გამოკვეთილია დემპინგი თურქეთის, ირანის, რუსეთის და სხვა ქვეყნების უცხოური კომპანიებისაგან. იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნას ანტიდემპინგური ზომა, საჭიროა ორი პირობა: დადგინდეს დემპინგის არსებობა და გაირკვეს დემპინგმა მიაყენა თუ არა მატერიალური და ფინანსური ზარალი იმპორტიორი ქვეყნის ადგილობრივ წარმოებას. დემპინგის გამოსწორების ჩვეულებრივი ინსტრუმენტია ანტიდეპინგური გადასახდი, რომელიც გამოიყენება დემპინგური ფასით იმპორტიერბული საქონლის მიმართ, რამდენადაც გადასახადის მიზანი დემპინგის შედეგების კომპენსირება და ადგილობრივი პროდუქციის ფასის დაბალანსებაა. ანტიდემპინგური გადასახადის ოდენობა ტოლი უნდა იყოს დემპინგურ ფასსა და შიდა ბაზრის ფასს შორის სხავობისა, რასაც დემპინგური მარჟა ეწოდება.

GATT/WTO–ს მრავალმხრივი შეთანხმებები უფლებას აძლევს ქვეყნებს, რომ განახორციელონ ცალმხრივი ქმედება, რათა ხელი შეუშალონ თავიანთ ბაზრებზე იმპორტის დემპინგს. კერძოდ ვმო-ს შეთანხმებების VI მუხლი ითვალისწინებს დეტალურ სტანდარტებს, რომ ნებისმიერი ქვეყნის მიერ დაწესებული გადასახადი არ ქმნიდეს ზედმეტ ბარიერებს ვაჭრობაში. დემპინგის შედეგად გამოწვეული ზარალის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნები და კომპენსაციები რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობისა და ვმო-ს ანტიდემპინგური შეთანხმების (ADP) საფუძველზე, ხოლო ვმო-ს დავების მოგვარების ორგანოს (DSB-ს) მიმართავენ იმ შემთხვევაში თუ ეროვნული შესაბამისობა ანტიდემპინგის შესახებ უგულებელყოფილია, ეროვნულ დონეზე დემპინგის რეგულირებას მოაწესრიგებს საქართველოს ანტიდემპინგური კანონმდებლობა, რომელიც ძალაშია 2019 წლის 1 მარტიდან.

ლიბერალური საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის პირობებში მრავალი ქვეყანა იმპორტის შეზღუდვას ამჯობინებს ადგილობრივ მეწარმეებს მისცეს სუბსიდიები, რომელიც წარმოადგენს ეროვნული პოლიტიკის საერთო იარაღს, რომელსაც იყენებს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა სხვადასხვა მიზნებისათვის, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სუბსიდიები ვაჭრობაზე უარყოფით გავლენას ახდენენ. ვმო ზღუდავს იმ სუბსიდიების გამოყენებას, რომლებსაც გააჩნია გავლენა ვაჭრობაზე და უფლებას აძლევს სახელმწიფოებს განახორციელონ სუბსიდირება მხოლოდ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარებისათვის.

სუბსიდია ვმო-ს მიერ განისაზღვრება, როგორც სახელწიფოს მიერ განხორციელებული ფინანსური კონტრიბუცია, რომელიც მის მიმღებს ანიჭებს გარკვეულ პრივილეგიას, სუბსიდიებს შეიძლება ჰქონდეს ფულადი სახსრების გამოყოფის, გრანტების, დაბალპროცენტიანი კრედიტების, მაღალი დაბეგვრის რეჟიმისაგან განთავისუფლების და სხვა მხარდაჭერის ფორმა.

საკომპენსაციო ზომა წარმოადგენს სუბსიდიის საპასუხო ზომას, რომელიც გამოიყენება იმ მიზნით, რომ ადგილობივი მწაროებლები არ დაზიანდნენ სუბსიდირებული იმპორტისაგან. ანტიდემპინგური პროცედურების მსგავსად, სუბსიდირების საწინააღმდეგო მარეგულირებელი პროცედურები შექმნილია იმ მიზნით, რომ განსაზღვრონ სუბსიდირების მოცულობა და მათი მიზეზობრივი კავშირი მატერიალურ ზარალთან. შესაბამისად, დაწესდეს საკომპენსაციო გადასახდები, რომლებიც არ უნდა იყოს იმაზე ნაკლები, რაც საჭიროა ზარალის ასანაზღაურებლად და ისიც უნდა მოქმედებდეს არა უმეტეს ხუთი წლის განმავლობაში, ან შეიძლება უფრო ადრე გაუქმდეს თუ საზიანო გავლენა სუბსიდირებული იმპორტისაგან აღარ არსებობს.

იმპორტის შეზღუდვის დარეგულირების მიზნით, მრავალი ქვეყანა აქტიურად იყენებს შემდეგ არასატრიფო ბარიერებს:

განსაკუთრებულია მოთხოვნები ტექნიკურ სტრანდარტებთან, (მაღალია ასეთი სტანდარტები აშშ-ში, ევროკავშირში, იაპონიასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში) გამზომ სისტემებთან, ხარისხთან, სანიტარულვეტერინარულ ნორმებთან, შეფუთვისა და მარკირების წესებთან.

საერთაშორის ვაჭრობაში აგრეთვე დამატებით ბარიერად საბაჟო ფორმალობები და საქონელნაკადების განმკარგულებელი დოკუმენტების გართულებული მოთხოვნები გვხდვდება. საერთაშორისო ვაჭრობას 600-მდე სახეობის დოკუმენტი ემსახურება. ამ სირთულეს მრავალი ქვეყანა იმპორტის შეზღუდვის ბარიერად იყენებს. GATT/WTO–ს შეთანხმებების VIII მუხლი უშუალოდო მოითხოვს აღნიშნული ბარიერების გამარტივებასა (თანამედროვე ეტაპზე მინიმუმამდეა შემცირებული ბიუროკრატიული ფორმალობები და საბაჟო დოკუმენტები) და საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების უნიფიკაციას.

საერთაშორის სავაჭრო პოლიტიკის რეგულირების პროცესში ვმო-სთან ერთად აქტიურადაა ჩართული გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (UNICTAD), გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია (UNCITRAL), მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია (WCO), საერთაშორისო სავაჭრო პალატა (ICC), კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტი (UNIDROT), ასევე სხვადასხვა საერთაშორისო სასაქონლო ბაზრების მარეგულირებელი ორგანიზაციები. ზემოთანიშნული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული კონვენციები, საერთაშორისო შეთანხმებები, სახელმძღვანელო რეკომენდაციები და ტიპური კონტრაქტები ემსახურება სახელმწიფოთაშორის სავაჭრო პოლიტიკის ჰარმონიზაციას, სტანდარიზაციასა და უნიფიკაციას.

ვმო-ს წევრ ქვეყნებთან და გლობალურ ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობა საქართველომ საგარეო სავაჭრო პოლიტიკის რეფორმირების, ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის

დეფიციტის შემცირებისა და მოსახლეობის საკეთილღეოდ უნდა გამოიყენოს. ეროვნული სავაჭრო პოლიტიკის მოდელის შემუშავებისას კი უნდა იქნეს გათვალისწინებული მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე გლობალური შეუქცევადი პროცესები, საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელი თანამედროვე მეთოდები, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მრავალმხრივი შეთანხმებები, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის გახსნილობასა და ამასთან ერთად დაიცავს ეროვნულ ბაზარს უცხოური კომპანიების მოზღვავებული იმპორტისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. ხიხაძე, ქართული ფირმების საერთაშორისო ბაზარზე გასვლის სტრატეგიები: რეალობა და პერსპექტივები ჟურ:"ეკონომიკა და ბიზნესი" # 4, თბ.,2012, ივლისიაგვისტო, გვ. 96-102;
2. ლ. ხიხაძე, საქართველოს საგარეო ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობა და სავაჭრო რეჟიმების გამოყენების შესაძლებლობები საუნივერსტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული,თბ., 2009, ივნისი, გვ. 85-89;
3. ლ. ხიხაძე, თ. შოთაძე, კომერციული დავების მოგვარების სამართლებრივი მექანიზმები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ჟურ: ეკონომიკა და ბიზნესი, #4, თბ. 2012, ივლისიაგვისტო, გვ. 176-183;
4. ლ. ხიხაძე, საერთაშორისო ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირების თანამედროვე ასპექტები. სამეცნიერო შრომების კრებული (ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში) თბ., 2012, გვ., 220.
5. L. Khikhadze, The world trading organization's mission in the conditions of globalization and its influence on the transitional economical countries, World Economy and International Economic Relations International Scientific Collection, kiev, Tbilisi, chainau, 2018.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კორეული მოდელის თავისებურებები

Features of the Korean model of state regulation of the economy

დავით ჩახვაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

Davit Chakhvashvili - PhD of Economics. Professor
Georgian National University

რეზიუმე: იაპონიის კოლონიალური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებული სამხრეთი კორეის კაპიტალისტური მოდერნიზაცია თავიდანვე ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის დახვეწით დაიწყო. არჩეული სისტემა ეკონომიკის განვითარებისათვის მცირემასშტაბიანი კერძო კაპიტალის მობილიზაციისა და კოორდინაციისაკენ იყო მიმართული. პირველი ეტაპი (1948-60) ემთხვევა სახელმწიფო რეგულირების სტრუქტურის ჩამოყალიბებას. ამ წლებში სახელმწიფო სექტორს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა, მოგვიანებით სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევა დაკანონდა. შემუშავდა სტრატეგიული გეგმები და პროგრამები, რეფორმების პრიორიტეტები, რომლებმაც მოგვიანებით ქვეყნის შემდგომი განვითარება უზრუნვე-ლყვეს. სახელმწიფომ ხელი შეუწყო საზოგადოების კაპიტალიზაციას. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ბევრი სამინისტრო და სხვა ოფიციალური ორგანიზაციები, რომელთა ფუნქციებში შედიოდა ეკონომიკური ინსტიტუტების, კერძო სექტორის კოორდინაცია, კონტროლი და რეგულირება.

ამ პერიოდში კორეაში აპრობირებული იყო კურსი, რომელიც იმპორტის შეზღუდვისკენ და ექსპორტის ზრდისკენ იყო მიმართული. გამოყენებული იყო უცხოური დახმარებაც, დაბალპროცენტიანი კრედიტებით სამეწარმეო დანიშნულების,

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ობიექტები აიგო, რომლებმაც გააუმჯობესეს ეკონომიკური ინფრასტრუქტურა. უცხოური სესხების დიდი ნაწილი არა მხოლოდ სახელმწიფო სექტორის გასამყარებლად იყო მიმართული, არამედ მოხმარებული იყო კერძო სექტორთან მყარი და ურთიერთმომგებიანი ურთიერთობების გასამყარებლად. ამით კერძო სექტორმა სერიოზული სასტარტო შესაძლებლობები მიიღო. ასე ჩამოყალიბდა და განვითარდა ისეთი ცნობილი ,,ეკონომიკური იმპერიები" და მონოპოლისტური კონგლომერატები, როგორიცაა ,,სამსუნგი", ,,ლაქი გოლდსტარი (დღეს LG), ,,დეუ", ,,ჰიუნდაი", ,,სანიონი" და სხვა.

Abstract: The capitalist modernization of South Korea, freed from Japanese colonial dependence, began with the development of a system of state regulation of the economy. The selected system was aimed at mobilizing and coordinating small private capital for economic development. The first stage (1948-60) coincides with the formation of the structure of regulation of the face. During these years, the public sector was given special attention, and later intervention in the state economy was legalized. Developed strategic plans and programs, priorities of reforms that were advanced for the further development of the country. The state contributed to the capitalization of society. During this period, many ministries and other official organizations were created, whose functions included the coordination, control and regulation of economic instincts and the private sector.

During this period, Korea was a course that was aimed at limiting the growth of imports and exports. Foreign aid with low interest rates was also used for enterprises, vehicles and communications, which improved the economic infrastructure. Most foreign loans were directed not only at strengthening the public sector, but also at developing strong and mutually beneficial relations with the private sector. Thus, the private sector received serious starting opportunities. The so-called "economic empires"

and monopoly conglomerates, such as "Samsung", "Lucky Goldstar" (today LG), "Deu", "Hyundai", "Sanyon" and others, developed and developed.

საკვანძო სიტყვები: რეფორმა, საბაზრო ეკონომიკა, მსხვილი ბიზნესი, ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიები, ინფორმაციული ტექნოლოგიები, სტატისტიკა;
Key Words: Reform, Market economy, Large business, Infrastructure, Technology, Information Technology (IT), Statistics;

ძირითადი ტექსტი: კორეის მთავრობამ რეფორმების მთვარ საშუალებად დაისახა მსხვილი ბიზნესის მხარდაჭერა. ამაში მან არა მარტო არსებული ეკონომიკური ბერკეტები გამოიყენა, არამედ ახალი ალტერნატიული მეთოდებიც შეიმუშავა.

დიდი ადგილი ეთმობოდა ფინანსურ საშუალებებს, პრიორიტეტულ სუბსიდიებს, საგადასახადო შეღავათებს და პერსპექტიული დარგების სხვა წახალისებებს. სამხრეთკორეელი ეკონომისტები XX საუკუნის 50-იანი წლების კორეის სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას სხვადასხვაგვარად აფასებენ. ბევრი მეთოდი მკაფიოდ ვოლუნტარისტულ ხასიათს ატარებდა და ხშირად ეკონომიკურად გაუმართლებელი იყო. მაგრამ, მეორე მხრივ, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციის ალტერნატიული გზა მაშინდელ მსოფლიოში არ არსებობდა. არსებიბდა მრავალი ბუნებრივი შეზღუდვები, განსაკუთრებით შიგა ბაზრისა და რესურსების სიმცირე, რაც რეფორმების წარმეტებულ რეალიზაციას ხელს უშლიდა (ინდოეთში ასეთი შეზღუდვები არ იყო, მათ მიერ გამოყენებული მოდელი განსხვავებულია).

მეორე ეტაპი, (1961-79) რომელსაც პაკ ჩონ ჰის ადმინისტრაციამ დაუდო სათავე, დეტალურად შემუშავებულ პროგრამას ეყრდნობოდა. განსაკუთრებული ყურადღება

კვლავინდებურად ექსპორტზე მომუშავე სექტორს და გადამამუშავებელ მრეწველობას დაეთმო. თუმცა მაშინდელი ხელისუფლებაც ხშირად ეკონომიკურად გაუმართლებელ, მაგრამ მსხვილი და პრესტიჟული ობიექტების დაფინანსებააგებას ასტიმულირებდა. ეკონომიკური რეფორმების ორივე ეტაპი მწვავე პოლიტიკური კრიზისების ფონზე მიმდინარეობდა, ნახევარკუნძულზე დაძაბული მდგომარეობა იყო (ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის), სადაც ორი სუპერსახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ეჯახებოდა ერთმანეთს.

ამ პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მყარი ფორმები. სახელმწიფო ადმინისტრაცია ფართო მაშტაბით იყენებდა ეკონომიკურ დაგეგმვას. შეიძლება ითქვას, რომ არსებობდა სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების მიერ შემუშა-ვებული ე.წ. ,,გენერალური ხაზი", რომელსაც ემორჩილებოდა ყველა ეკონომიკური სუბიექტი, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ კორეის ბიზნესის დამოკიდებულება სახელმწიფო აპარატზე, არღვევდა ეკონომიკის ეფექტურობასა და მობილურობას. ბიუროკრატიის ეკონომიკის სრული კონტროლისა და მართვის მცდელობა როგორც მსხვილი მეწარმეების, ისე მცირე და საშუალო ბიზნესის პროტესტს იწვევდა.

მესამე ეტაპზე (1980-87) კორეაში შეეცადნენ შეემსუბუქებინათ სახელმწიფოს გავლენა ეკონომიკაზე, მაგრამ, აქ გამოყენებული იქნა დაუსრულებელი და შუალედური მეთოდები. საბოლოო ჯამში, ამ წლების სახელმწიფო ადმინისტრაცია მაინც სახელმწიფო რეგულირების გამყარებას უჭერდა მხარს, რომელიც უკვე საკუთარი უარყოფითი მხარის გამოვლენას იწყებდა.

მეოთხე ეტაპზე (1987-92) პრეზიდენტ რო დე უს ადმინისტრაციამ სათავე დაუდო სახელმწიფო რეგულირების წნეხის შემსუბუქებას, რომელიც მომდევნო მეხუთე პერიოდში, რომელიც 1993 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება, მკვეთრად ,,ანტისახელმწიფოებრივ" ხასიათს ატარებს. ამის მიზეზი ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაში დაშვებული შეცდომები და არაეფექტური სისტემაა, რამაც ეკონომიკური განვითარების შენელება გამოიწვია. გარე ფაქტორებიდან უნდა აღინიშნოს განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე პროცესები. სამხრეთი კორეის რესპუბლიკა მრავალი მაჩვენებლით განვითარებული ქვეყანას მიეკუ-თვნება. ასეთი ქვეყნების უმრავლესობაში კი, უკვე დიდი ხანია მოხდა ეკონომიკის განსახელმწიფოებრიობა, ამიტომ კორეელებიც ამ ქვეყნების მიბაძვას ცდილობენ.

ბოლო 20 წლის განმავლობაში, შეიცვალა სახელმწიფოს სამეწარმეო საქმიანობის პრიორიტეტები. თუ თავიდან სახელმწიფოს კაპიტალი განთავსებული იყო ინფრასტრუქტურის სფეროში, მოგვია-ნებით სახელმწიფო გადაიზარა პირდაპირ სამეწარმეო დარგების დაფინანსებაზე. ასე ჩამოყალიბდა ბევრი ახალი სამეწარმეო დარგი. XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, სახელმწიფო კვლავ დაუბრუნდა თავის საწყის ფუნქციებს – მეწარმეობის ზრდისა და დახვეწის ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფაზე. ამ ფუნქციამ ახლებური ფორმები მიიღო, დღეს მასში შედის ისეთი სფეროების მხარდაჭერა, როგორიცაა ინფორმატიკა, ტელეკომუნიკაციის თანამე-დროვე სისტემები, ენერგიის ალტერნატიული წყაროები და ა.შ.

სახელმწიფო სექტორის შემცირების კვალობაზე კორეაში შეიმჩნეოდა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების და კონტროლის გაძლიერება, კერძოდ, საფინანსო კონტროლი, რომლითაც სახელმწიფო უშუალოდ ზემოქმედებდა ეკონომიკაზე. ზუსტად ამ მიმართულებაზე იქნა ფოკუსირებული

პოსტინდუსტრიულ ეპოქაში გადასული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა.

სახელმწიფომ გაამკაცრა კონტროლი საფინანსო ინსტიტუტებზე, მის ხელში იმყოფება ფინანსური ზეწოლის ყველა ბერკეტი, რომელიც გამოიყენება სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგიის მიხედვით. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო კორეაში კვლავ აკონტროლებს ეკონომიკას. ყველა ცვლილება, რომელიც ეხება ეკონომიკისა და ფინანსების ლიბერალიზაციას სახელმწიფოს სტრუ-ქტურების მიერაა შემუშავებული. ეს ცვლილებები ძირითადად ევოლუციური ხასიათისაა, რომელსაც თან ახლავს მრავალი წინაპირობა, გამონაკლისი და ა.შ. ალბათ ამიტომ, კორეის რესპუბლიკას ხშირად ბიუროკრატიზმში ადანაშაულებენ, ხოლო სამეურნეო ფუნქციების და ეკონომიკური ცხოვრების ზედმეტად გასახელმწიფოებრიობას აბრალებენ. ბოლო წლების ეკონომიკის ლიბერალიზაციის პოლიტიკა, რომლის წამყვანი მიზანი ცივილიზებული სამყაროს ელიტარულ ქვეყნებში მოხვედრა იყო, გარკვეულწილად შეასუსტა სახელმწიფოს როლი ეკონომიკის რეგულირებაში. მაგრამ აზიის ქვეყნების ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დღესდღეობით კორეის ეკონომიკა კვლავ ნაკლებად გამჭირვალეა და სახელმწიფო სექტორი ინარჩუნებს მყარ პოზიციებს.

1996-97 წლები. სამხრეთი კორეის რესპუბლიკისათვის ეკონო-მიკური ვარდნის პერიოდი იყო. რაც გარკვეულწილად სახელმწიფო ადმინისტრაციის არაშორსმჭვრეტელობის ბრალია. ხელისუფლება მხარს უჭერდა მსხვილ კონგლომერატებს, განსაკუთრებით ისეთი სფეროები გაიზარდა, რომელიც არასაკმარისად იყო უზრუნველყოფილი ფინანსურად და ასევე საზიანო იყო ეკონომიკის ეფექტიანობისათვის. მსხვილი კაპიტალი ორმაგი სტანდარტებით ხელმძღვანელობს, ერთი მხრივ, ის მხარს უჭერს სახელმწიფო

რეგულირების შესუსტებას, მეორე მხრივ, საკუთარი პროექტების მხარდასაჭერად იგი მომხრეა ამ რეგულირების გაძლიერებისას.

ბევრი სამხრეთკორეელი ეკონომისტი თვლის, რომ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ბერკეტების შენარჩუნება აუცილებელია და კორეულ მოდელს ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის და ეფექტურობისათვის საუკეთესოდ მიიჩნევენ. სამხრეთი კორეელები თვლიან, რომ სახელმწიფო უნდა თანამშრომლობდეს მონოპოლიებთან, მსხვილი კაპიტალი რომელიც სახელმწიფოს მიერ დაზღვეულია სხვადასხვა რისკებისგან, უფრო ეფექტურია. თუმცა საზოგადოებაში დიდი ხანია არსებობს აზრი, რომ სახელმწიფომ უნდა გადახედოს თავის ფუნქციებს.

1997 წელს სამხრეთკორეული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კონცეფციამ ეფექტურობის მკაცრი გამოცდა გაიარა. აზიურ ქვეყნებში წარმოქმნილი ფინანსური კრიზისი უშუალოდ შეეხო სამხრეთი კორეის რესპუბლიკის ექსტრავერტულ ეკონომიკას. ერთი წლით ადრე შემჩნეულ იქნა ექსპორტის (სახელმწიფო ეკონომიკის ზრდის ძირითადი გენერატორის) შემცირება. მას მოყვა რამოდენიმე მსხვილი მონოპოლიის გაკოტრება, რომლებმაც ვერ გაუძლეს მათ პროდუქციაზე უზრუნველყოფილი მოთხოვნის მკვეთრ შემცირებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც. წარმოქმნილმა მდგომარეობამ საავტომობილო, გემმშენებელი, ელექტროსამრეწველო და სხვა სექტორში გამოიწვია ჭარბწარმოება და აუცილებელი საბრუნავი სახსრების გაყინვა. თუ გავითვალისწინებთ, რიმ ფინანსური სისტემა კვლავ სახელმწიფო კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა და არ ექვემდებარებოდა საბზარო ურთიერთობის ღია მოთხოვნამიწოდების სისტემას, ამგვარი მდგომარეობა მრეწველობაში (როდესაც ძნელია და ძვირია მიიღო აუცილებელი სახსრები) თავისუფლად გადაიზრდება სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისში.

კერძო კაპიტალმა სახელმწიფოს მოსთხოვა თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების უფრო ეფექტური სტიმულირება, აქ იგულისხმება შემდეგი გადაწყვეტილებები: 1. უცხოურ კომპანიებს კორეულ კომპა-ნიებში უფრო დიდი აქციათა პაკეტის ფლობის უფლება მისცეს; 2. მკვე-თრად შემცირდა ან ზოგ შემთხვევაში სრულიად გაუქმდა ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების საგადასახადო განაკვეთი; 3. გაუქმდა მოგების გადასახადი; 4. შეიქმნა ახალი ფონდები ფასიანი ქაღა-ლდების შიდა ბაზრის სტიმულირებისათვის.

დასკვნა: წინა წლების წარმატების ინერციამ საშუალება არ მისცა სახელმწიფო ადმინისტრაციას სწორედ შეეფასებინა მდგომარეობა. ფინანსური დეფოლტის გადარჩენის მიზნით იგი იძულებული იყო მსოფლიო სავალუტო ფონდისათვის მიემართა, რომელმაც საკმაოდ მკაცრი პირობები წამოაყენა, კერძოდ მან მოითხოვა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკაზე მთლიანად უარის თქმა (უშუალო ინვესტირებიდან სუბსიდიებით დამთავრებული). ამას დაემატა მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ეკონომიკური ორგანიზაციის ,,ანტისახელმწიფოებრივი" მოთხოვნები. `საბოლოო ჯამში ბევრი კორეელი ეკონომისტი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო პრაქტიკა, გლობალიზაციის პროცესი და სხვა უფრო ვიწრო ფაქტორები უბიძგებს ქვეყანას უარი თქვას ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაზე. თუმცა ქვეყნის შიგნით არსებული მძიმე პრობლემების სტრუქტურული რეფორმირება საზოგადოების მაქსიმალურ მობილიზაციას მოითხოვს, ამის განხორციელება მხოლოდ სახელმწიფოს ადსმინისტრაციულ აპარატს შეუძლია. სამხრეთკორეელების მიერ სახელმწიფო რეგულირებაზე უარის თქმა ასევე ხელს უწყობს საზოგადოებაში მყარად გამჯდარ კომფუციანური მსოფლმხედველობა. ამიტომ კორეის რესპუბლიკა ყოველთვის ითვლებოდა ბაზრისა და სახელმწიფოს

ურთიერთშეთანხმებული მოქმედების ორიგინალური მოდელის ავტორად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯოლია გ., ჩახვაშვილი დ. - ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარი. სტუ-ს გამომცემლობა. თბილისი 2013.
2. R.L. Forstall, R.P. Greene, and J.B. Pick, Which are the largest? Why lists of major urban areas vary so greatly, Tijdschrift voor economische en sociale geografie 100, 277 (2009).
3. The problem of the independence of Korea" Archived October 23, 2013, საიტზე Wayback Machine. Resolutions Adopted by the General Assembly During its Third Session.
4. The All-Work, South Korean Economics. www.rom.on.ca/news/releases/public.php? . გადამოწმებულია: ნოემბერი 21, 2018.

ერთეულოვან სფეროზე ლაპლასის განზოგადოებული ოპერატორი

Generalized Laplace operator on the unit sphere

იოსებ ფოჩხუა - ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი, ასოც. პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
Ioseb Pochkhua - Doctor of Physics and Mathematics. Assoc. Professor
Georgian National University

დაუშვათ, რომ f(x) ფუნქცია განსაზღვრულია $x_0 \in S^{k-1}$ სფერული წერტილის მიდამოში ანუ $D^{k-1}(x_0;\rho)$ სიმრავლეზე და ინტეგრებადია $C^{k-2}(x_0;h)$ სფეროზე ნებისმიერი $h<\rho$-სთვის. თუ x_0 წერტილის მიდამოში არსებობს a_0, a_1,…, a_r რიცხვთა მიმდევრობა ისეთი, რომ სრულდება პირობა

$$\frac{1}{|S^{k-2}|sin^{k-2}h}\int_{C^{k-2}(x_0;h)} f(t)d\,S^{k-2}(t) =$$

$$\frac{\Gamma\left(\frac{k-1}{2}\right)}{2\pi^{\frac{k-1}{2}}sin^{k-2}h}\int_{C^{k-2}(x_0;h)} f(t)d\,S^{k-2}(t) = \qquad =$$

$$\sum_{\nu=0}^{r}\frac{\Gamma\left(\frac{k-1}{2}\right)a_\nu}{\nu!2^\nu\Gamma\left(\frac{k-1}{2}+\nu\right)}(1-cosh)^\nu + o(1-cosh)^r,$$

(1)

მაშინ ვიტყვით, რომ ერთეულოვან S^{k-1} სფეროზე f(x) ფუნქციას x_0 წრტილზე გააჩნია r რიგის ლაპლასის განზოგადოებული ოპერატორი და ავღნიშნავთ $\overline{\Delta^r}f(x_0)$-ით. (1)ტოლობით გასაზღვრული ლაპლასის ოპერატორი a_ν $(\nu=0,r)$ რიცხვებთან დაკავშირებულია შემდეგი ტოლობით:

$$\overline{\Delta^0}f(x_0) = a_0 = f(x_0),$$

$$\overline{\Delta}\left[\overline{\Delta}+(k-1)\right]\left[\overline{\Delta}+2k\right]\cdots\left[\left[\overline{\Delta}+(\nu-1)(\nu+k-\right.\right.$$

3fx0=av, ***ν=1,r,*** (2)

სადაც $\overline{\Delta}\cdot\overline{\Delta}\cdot\overline{\Delta}\cdots\overline{\Delta}(i-\text{ჯერ})=\overline{\Delta^i}$ და $\overline{\Delta^i}\cdot\overline{\Delta^j}=\overline{\Delta^{i+j}}$, როცა I,j≥0 და i+j≤r.

ასე, რომ (1) შეიძლება გადაიწეროს შემდეგი სახით

$$\frac{1}{|S^{k-2}|sin^{k-2}h}\int_{C^{k-2}(x_0;h)}f(t)d\,S^{k-2}(t)$$
$$=\overline{\Delta^0}f(x_0)$$
$$+\sum_{\nu=1}^{r}\frac{\Gamma\left(\frac{k-1}{2}\right)\overline{\Delta}\left[\overline{\Delta}+(k-1)\right]\left[\overline{\Delta}+2k\right]\cdots\left[\left[\overline{\Delta}+(\nu-1)(\nu+k-3)\right]\right]f(x_0)}{\nu!\,2^{\nu}\Gamma\left(\frac{k-1}{2}+\nu\right)}(1$$
$$-cosh)^{\nu}+o(1-cosh)^{r},$$

$$r=1,2,\ldots.$$

მარტივად შეიძლება შევნიშნოთ, რომ

$$a_1=\overline{\Delta^1}f(x_0)=\overline{\Delta}\;f(x_0)=$$
$$\lim_{h\to 0}\frac{\frac{1}{|S^{k-2}|sin^{k-2}h}\int_{(x_0;t)=cosh}f(t)dS^{k-2}(t)-f(x_0)}{\frac{2}{k-1}\sin^2\frac{h}{2}}.$$

ახლა შემოვიტანოთ ერთეულოვან S^{k-1} სფეროზე უფრო განზოგადოებული ლაპლასის ოპერატორის ცნება.

ვიტყვით, $x_0\in S^{k-1}$წერტილის სფერულ მიდამოში ინტეგრირებადი $f(x_0)$ ფუნქციას x_0წერტილზე გააჩნია უფრო განზოგადოებული r რიგის ლაპლასის ოპერატორი $\overline{\Delta^r}f(x_0)$, თუ სრულდება შემდეგი ტოლობა:

$$\frac{1}{|D^{k-1}(x_0;h)|}\int_{D^{k-1}(x_0;h)} f(t)d\,S^{k-1}(t) = \sum_{\nu=0}^{r}\frac{\Gamma\left(\frac{k+1}{2}\right)b_\nu}{\nu!2^\nu\Gamma\left(\frac{k+1}{2}+\nu\right)}(1-$$

coshν+o1−coshr, r≥0,

(3)

ასე განსაზღვრული ლაპლასის უფრო განზოგადოებული $\widetilde{\Delta^r}$ ოპერატორის b_ν $(\nu = \overline{0,r})$ კოეფიციენტებთა დამოკიდებულია ისევე როგორც (2) ტოლობაშია ნაჩვენები.

ცხადია, რომ $b_0 = f(x_0)$ და

$$b_1 = \widetilde{\Delta^1}f(x_0) = \widetilde{\Delta}\ f(x_0)$$
$$= \lim_{h\to 0}\frac{\frac{1}{|D^{k-1}(x_0;h)|}\int_{D^{k-1}(x_0;h)} f(t)d\,S^{k-1}(t) - f(x_0)}{\frac{2}{k+1}sin^2\frac{h}{2}}.$$

ლაპლასის განზოგადოებული $\overline{\Delta^r}f(x_0)$ ოპერატორსა და ლაპლასის უფრო განზოგადოებული $\widetilde{\Delta^r}f(x_0)$ ოპერატორის შორის კავშირს ადგენს შემდეგი ლემა.

ლემა. ა)თუ x_0 წერტილზე არსებობს $\overline{\Delta^r}f(x_0)$, მაშინ აგრეთვე არსებობს $\widetilde{\Delta^r}f(x_0)$ და $\overline{\Delta^r}f(x_0) = \widetilde{\Delta^r}f(x_0)$.

ბ) არსებობს ისეთი ფუნქცია $f(x_0)$, რომლისთვისაც $\widetilde{\Delta^r}f(x_0)$ სასრულია, ხოლო $\overline{\Delta^r}f(x_0)$ ოპერატორი კი არც არსებობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Топурия С.Б. Граничные свойства продифференцированного интеграла Пуассона для различных областей и их некоторые применениа. Тбилиси 2003
2. Summability C of series of surface spherical harmonics. Trans.Amer. Math. Soc., 104, N2 (1962), 284-307.

ფინანსური მენეჯმენტის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში

Оценка экономической эффективности финансового менеджмента высших учебных заведений Грузии

ლია ოტიაშვილი - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Lia Otiashvili – Doctoral student,
Georgian Technical University

რეზიუმე: ნაშრომში განხილული არის ფინანსური მენეჯმენტის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში. აგრეთვე აღწერილი და გაანალიზებული არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური მენეჯმენტის მიზანი.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საფინანსო სისტემის შიდა კონტროლის შესწავლა, რომელიც არის დინამიური, ინტეგრირებული პროცესი და ჩართული უნდა იყოს ხელმძღვანელობა და პერსონალი იმისათვის, რომ მოხდეს რისკების მართვა და დაწესებულების წინაშე არსებული მიზნების მიღწევა.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური მენეჯმენტი; ინტეგრირებული პროცესი; ეკონომიკური ეფექტიანობა; სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა

Резюме: В представленной работе рассмотрена оценка экономической эффективности финансового менеджмента высших учебных заведений Грузии. Также проанализирована и описана цель финансового менеджмента. Главной целью работы является исследование внутреннего контроля финансовой системы образовательных учреждений, который является динамическим, интегрированным процессом и включает в себя руководство и персонал для управления рисками и достижения общих целей учреждения.

Ключевые слова: финансовый менеджмент, интегрированный процесс, экономическая эффективность, план стратегического развития.

ძირითადი ტექსტი: ფინანსური მენეჯმენტი ზოგადად მენეჯმენტის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, ერთადერთი ძირითადი ნაწილია. ამასთან იგი ფაქტობრივად ბოლო წლებში

შემოვიდა ჩვენთან, როგორც ეკონომიკური ტერმინი. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ დღემდე ჯერჯერობით არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი მისი არსის შესახებ. ლიტერატურაში გვხვდება ამ ცნების სხვადასხვა განმარტება. გამომდინარე აქედან ზოგჯერ ძნელდება კიდეც გაარკვიო, რას წარმოადგენს ფინანსური მენეჯმენტი. ფირმის აქტივებისა და პასივების მართვა, ბიზნეს-გეგმის შედგენა, ანგარიშების ფინანსური ანალიზი, ფირმის ფასების პოლიტიკის დამუშავება თუ ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის კიდევ სხვა ასპექტები გახლავთ ფინანსური მენეჯმენტისთვის დამახასიათებელი გარემოება. ვინაიდან თავად ტერმინი „ფინანსური მენეჯმენტი" უცხოური სიტყვაა და ნიშნავს ფინანსურ მართვას. ფინანსური მენეჯმენტის მიზანია, ხელი შეუწყოს და მიაღწიოს კომპანიის მფლობელთა კეთილდღეობის ამაღლებას ან კაპიტალის გაზრდას, რომელიც ჩადებული აქვთ მფლობელებს. [1. გვ. 14]

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმატებული საქმიანობა დამოკიდებული არის საფინანსო მენეჯმენტზე და ფინანსურ რესურსებზე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსების მართვა ხორციელდება ფინანსური მენეჯმენტის შემდეგი პრინციპით: დაგეგმვა, პროგნოზირება და მონიტორინგი.

მონიტორინგის მიზნებია ეფექტურობის შეფასება, ფინანსური რესურსების გამოყენების მიზნობრიობის შესწავლა და ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა [2. გვ 7].

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილი არის ფინანსური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული არის ფინანსური რესურსების მოზიდვაზე. ფინანსური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური მდგომარეობისა და მათი საინვესტიციო გარემოს განმტკიცება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების

სტრატეგიული განვითარების გეგმაში განისაზღვრება ფინანსური მარაგის მთლიანი მოცულობა, მათი შემოსავლის წყარო და ხარჯთაღრიცხვა, რეგულირების მექანიზმები და აგრეთვე ფინანსური წახალისების პროცესებიც. გასათვალისწინებელი გარემოება გახლავთ, ბიუჯეტის დაგეგმვის და ხარჯვის დროს თუ გამოვიყენებთ საერთაშორისო და შიდა გამოცდილებებს.

როგორც ნებისმიერ საფინანსო დაწესებულებებში ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების საფინანსო სტრუქტურას გააჩნია საინვესტიციო გადაწყვეტილებების შეფასების კრიტერიუმები, ვინაიდან უმაღლესი განათლების მისაღებად გადახდილი ფინანსური რესურსები წარმოადგენს განათლებაში დაბანდებულ ინვესტიციებს და გააჩნია უკუგებადობის პერიოდი.

აღნიშნილიდან გამომდინარე კვლევის ძირითადი სამიზნე ჯგუფი გახლავთ სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და აგრეთვე სამიზნე ჯგუფი, რომელიც ნაკლებად არის გარკვეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კანონმდებლობაში.

გამოკითხული 87 სტუდენტიდან და 56 აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან 55,98 %-ს მიაჩნიათ, რომ უნივერსიტეტებს გრძელვადიან და მოკლევადიან სტრატეგიულ გეგმაში გაწერილ სამოქმედო გეგმასთან ერთად შესაბამისობაში აქვთ მოყვანილი ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის საკითხები, რომელიც შემდგომში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე აისახება, ხოლო 44,05%-ს მიაჩნია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს არასწორად აქვთ დაგეგმილი წლის ბიუჯეტი, რომელიც ფინანსური მენეჯმენტის სისუსტეზე მეტყველებს და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უქმნის ფინანსურ პრობლემებს, უარყოფითად მოქმედებს უნივერსიტეტის განვითარებაზე და კითხვისნიშნის ქვეშ აყენებს უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულების სიცოცხლისუნარიანობას (იხილეთ გრაფიკი N1).

გრაფიკი N1 [13]



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა ახორციელებდნენ შიდა კონტროლს, რომელიც წარმოადგენს მენეჯერული ფინანსური კონტროლების ერთობლიობას, რომლებიც უნდა მოიცავდეს დაწესებულების სტრუქტურას, მეთოდებს, პროცედურებს, ასევე შიდა აუდიტს, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს დაწესებულების წინაშე არსებული მიზნების მიღწევის ხელშეწყობა მისი საქმიანობის კანონიერად, ეკონომიურად და ეფექტურად წარმართვის საშუალებით.

შიდა აუდიტორები ახორციელებენ შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შეფასებას და იძლევიან რეკომენდაციებს მის გასაუმჯობესებლად.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საფინანსო სისტემის შიდა კონტროლი არის დინამიური, ინტეგრირებული პროცესი, რომელშიც ხელმძღვანელობა და პერსონალი ჩართული უნდა იყოს იმისათვის, რომ მოხდეს რისკების მართვა და დაწესებულების წინაშე არსებული მიზნების მიღწევა.

[13] წყარო - ავტორის საკუთარი კვლევა

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თეთრუაშვილი, მ.თეთრუაშვილი, ი. ფინანსური მენეჯმენტი, დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი პროფესიული და აკადემიური სასწავლებლების სტუდენტებისათვის, 2007. გვ.14
2. МОНИТОРИНГ КАЧЕСТВА ФИНАНСОВОГО МЕНЕДЖМЕНТА ОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ ОРГАНИЗАЦИЙ Арефкина Ю.А., Харламова Е.Е. Волгоградский государственный технический университет Волгоград, Россия - 2015

науки, фундаментальная наука.

სისტემური (ერთდროულად მოქმედი) რისკების თანამედროვე გაგებისთვის

ეთერ მამაცაშვილი- დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Eter Mamatsashvili– Doctoral student,
Georgian Technical University

რეზიუმე: რისკები სამომავლო ეკონომიკური საქმიანობის შედეგების განუსაზღვრელობასთან არიან დაკავშირებულები, რომლებზეც შეიძლება განსხვავებულმა სხვადასხვა გარემოებებმა მოახდინონ ზემოქმედება, დაწყებული სტიქიური უბედურებებიდან და საპროცენტო განაკვეთებზე, სავალუტო კურსებზე, აქტივების საბაზრო ღირებულებაზე ზემომქმედი სხვადასხვა საგარეო ეკონომიკური ზემოქმედების სხვა ფორს-მაჟორული გარემოებებიდან და დამთავრებული შიდა გარემოებებით,როგორიცაა ორგანიზაციის მენეჯმენტისა და პერსონალის არაკეთილსინდისიერება ან შეცდომიანი ქნედებები, ინფორმაციული და ტექნოლოგიური სისტემების გაუმართაობა და ა.შ.

კლასიკურ თეორიაში (ჯ.მილლი, ნ.უ.სენიორი) რისკს მხოლოდ დანაკარგების მათემატიკურ მოლოდინთან აიგივებდნენ, რომლებიც შეიძლება დაგეგმილი ქმედების რეალიზაციის შედეგად განხორციელებულიყო.ანუ რისკი არის გარკვეულად ზიანი, რომელიც ამა თუ იმ ოპერაციის განხორციელების შედეგად მიეყენება. რისკის ნეოკლასიკური თეორიის საფუძველში, რომლის შემქმნელად ა.მარშალი ითვლება, რისკის შესახებ, როგორც შესაძლო მოგების მერყეობის ამპლიტუდას შესახებ მტკიცებულებაა ჩადებული. ჩვენს სტატიაში შევეცადეთ გადმოგვეცაკომპანიებზეერთობლივად/სისტემურად მოქმედი რისკების თავისებურებების განსაზღვრა არსებული რელური პრაქტიკიდან გამომდინარე.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური რისკი, სისტემური რისკი, საოპერაციო რისკი, საპროცენტო რისკი, ბიზნეს-რისკი, საფონდო ისკი.

რაოდენობრივთან მიმართებაში განუსაზღვრელობა ითვალისწინებს შედეგის მოსალოდნელი მნიშვნელობიდან, როგორც

მეტისაკენ, ასევე ნაკლები მხარისაკენაც გადახრას. აღნიშნულმა თეორიამ თავისი შემდგომი განვითარება მოიპოვა და გამოიხატა თვალსაზრისის არსებობაში, რომლის თანახმად რისკი განისაზღვრება როგორც მიზნიდან გადახრის შესაძლებლობა, რომლის მიღწევის მიზნით იყო მიღებული გადაწყვეტილება.ამასთან „რისკის“ კატეგორიის არსებობის მთავარ მიზეზად განხორციელებადი ოპერაციის შედეგის განუსაზღვრელობას ასახელებენ, მოსალოდნელისაგან ან დაგეგმილი მნიშვნელობისაგან მისი გადახრის პოტენციალურ შესაძლებლობას, უფრო კონკრეტულად:

- **რისკი - ეკონომიკური მოსაზრებით დანაკარგებს ვარაუდობს, რომელთა ალბათობა ინფორმაციების განუსაზღვრელობის, არასაკმარისობის არსებობასთან არის დაკავშირებული.**
- **რისკი - საქმიანობაა, რომელიც გარდაუვალი არჩევანის სიტუაციაში განუსაზღვრელობის გადალახვასთან არის დაკავშირებული, რომლის პროცესში მოსალოდნელი შედეგის, წარუმატებლობის ან მიზნიდან გადახრების მიღწევის ალბათობის რაოდენობრივად და ხარისხობრივად შეფასების შესაძლებლობა არსებობს.**
- **რისკი - შემოსავლის ან კაპიტალის დაკარგვის ფორმაში არაკეთილ სასურველი შედეგების წაროქმნის ალბათობაა. მისი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელების პირობების განუსაზღვრელობის სიტუაციაში.**

ფინანსურ რისკ-მენეჯმენტში კომპანიის რისკის ქვეშ უპირატესად გაიგება **ორგანიზაციის საქმიანობის განხორციელების მსვლელობაში მის მიერ კაპიტალის დაკარგვის, შემოსავლების ბოლომდე მიუღებლობისა ან დამატებითი ხარჯების წარმოქმნის ალბათობა.**

მაგრამ რამდენადაც რაოდენობრივი მეთოდების მეშვეობით რისკების არა ყველა სახეობებისათვის არის შესაძლებელი ერთმნიშვნელოვნად რისკის ალბათობის განსაზღვრა, ხშირად ცნება „ალბათობის“ ნაცვლად ცნება „შესაძლებლობას“ იყენებენ.

რისკების იდენტიფიკაციისა და შეფასებისათვის აუცილებელია მათი კლასიფიკაცია იქნას განხორციელებული. არსებობს მრავალი სისტემა შემქმნელი ნიშანთვისება, რომელთა შესაბამისად შეიძლება მოცემული ამოცანა იქნას გადაწყვეტილი. არსებობს შემდეგი სახის რისკები:

- სისტემურები და არასისტემურები,
- სტატისტიკურები და დინამიურები,
- მართვადები და არამართვადები,
- ქვეყნიურები, რეგიონალურები, დარგობრივები, სპეციფიკურები და ა.შ.

ერთობლივი რისკის ტრადიციულად გამოყოფილ კომპონენტებს შორის საზღვრების განსაზღვრა ასევე პრობლემატიურია: ყოველთვის არ არის შესაძლებელი ერთმნიშვნელოვნად იქნას საზღვრები გავლებული საკრედიტო და საფონდო რისკებს შორის, ლიკვიდობის რისკსა და საპროცენტი რისკს შორის. ამიტომ ერთობლივი რისკის სტრუქტურირება ბიზნესის სახეობების მიხედვით ხორციელდება. ასე, მაგალითად, J.P. Morgan-ის ექსპერტები ერთობლივი რისკის მოდელირებას მთლიანად საკრედიტო ორგანიზაციების მასშტაბით ახორციელებენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: 1) საბაზრო რისკი სავაჭრო პორტფელის; 2) საკრედიტო რისკი სესხებისა და წარმოებული ინსტრუმენტების; 3) საოპერაციო რისკი; 4) წილობრივი მონაწილეობის რისკი სხვა საწარმოების საწესდებო კაპიტალში; 5) შემოსავლის მერყეობის რისკი საინვესტიციო ბანკის ოპერაციებიდან. ჯ. ფრეიზერისა და ბ. სიმკინსის ნაშრომში თითოეული სახეობის რისკებისათვის

წარმოდგენილია ქვესახეები: საკრედიტო რისკი დაყოფილია: კონტრაგენტების რისკად (რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვალდებულებებს ვადაში და შეთანხმებული მოცულობით არ შეასრულებს), სუვერენულ რისკად (რისკი იმისა, რომ ქვეყანა ყველა ვალდებულებების მიხედვით პასუხის გაცემას ვერ შეძლებს), ფონდირების რისკად (რისკი იმისა, რომ კომპანია საკუთარი საქმიანობის მხარდაჭერისათვის ფონდირების საკმარისი წყაროს დროულად მოძიებას ვერ შეძლებს).საბაზრო რისკები თავისთავში მოიცავენ: სავალუტო რისკებს, საპროცენტო რისკებს, საფონდო რისკებს, მაკროეკონომიკურ რისკებს (კომპანიის ფულად ნაკადზე მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებების ზემოქმედება), ლიკვიდობის რისკებს. უნდა აღინიშნოს, რომ მაკროეკონომიკური რისკი უფრო ფართეა საბაზროზე, რადგანაც მაკროეკონომიკურ ცვლილებებს შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ როგორც ბაზრებზე ფასების მოძრაობაზე, ასევე მსესხებლების კრედიტუნარიანობის ცვლილეებზეც, ხოლო ლიკვიდობის რისკი - კომბინირებულია.

ფ. ჯორიანას ნაშრომში გამოყოფილია რისკების შემდეგი სახეობები: საბაზროები, საინვესტიციოები, საკრედიტოები, საოპერაციოები. მ. ლორი და ლ. ბოროდოვსკი რისკების კლასიფიცირებას ახდენენ როგორც: საბაზროებს, საკრედიტოებს, საოპერაციოებს, ლიკვიდობის, საბუღალტროებს. ვ. სკლიარენკოს საკუთარ სასწავლო სახელმძღვანელოში გამოყოფილი აქვს რამდენიმე საკლასიფიკაციო ნიშანთვისებები, კერძოდ ფაქტორული ნიშან თვისების მიხედვით რისკები დაყოფილი აქვს: საბაზროებად (აქტივების ღირებულების ცვლილების შესაძლებლობა საპროცენტო განაკვეთების, ვალუტების კურსების, აქციების, ობლიგაციებისა და საქონელის ფასების მერყეობის შედეგად), საკრედიტოებად (აქტივების ღირებულების ცვლილების შესაძლებლობა კონტრაგენტების მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულების

შეუძლებლობის შედეგად, კერძოდ, სესხის პროცენტებისა და ძირითადი თანხის გადახდასთან მიმართებაში), ლიკვიდობის დაკარგვისა და საოპერაციო რისკებად, საგარეო გარემოებების რისკებად (ფორს-მაჟორული გარემოებების, კანონმდებლობის ცვლილების, სახელმწიფო ორგანოების ქმედებების რისკები).

1.ფინანსური რისკები:	**2.სტრატეგიული რისკები:**	I. საგარეო ფაქტორები:	**3.საოპერაციო რისკები:**	**4.საგანგებო სიტუაციები:**
- საპროცენტო განაკვეთები; - ვალუტები; - კრედიტები.	- კონკურენცია; - დარგობრივი ცვლილებები; - მოთხოვნა; - შერწყმები და შთანთქმები.		- პერსონალის დაქირავება; - მიწოდებების მიზანი; - ნორმატიული მოთხოვნები; - რისკის კულტურა.	- ინფორმაციების გახსნა; - თანამშრომლები; - პროდუქტები და მომსახურეობები; - ბუნებრივი კატასტროფები; - გარემომცველი გარემო; - მომწოდებლები.
1.ფინანსური რისკები:	**2.სტრატეგიული რისკები:**	II.შიდა ფაქტორები	**3.საოპერაციო რისკები:**	**4.საგანგებო სიტუაციები:**

		:		
- ლიკვიდობა და ფულადი ნაკადი.	- შერწყმები და შთანთქმები; - კვლევები და ახალი დამუშავებები; - ინტელექტუალური კაპიალი.		- პერსონალის დაქირავება; - მიწოდებების მიზანი; - ანგარიშგების კონტრილი; - ინფორმაციული სისტემები.	- ინფორმაციების გახსნა; - თანამშრომლები; - პროდუქტები და მომსახურეობები.

ნახაზი 1. რისკების კლასიფიკაცია RMS სტანდარტში[14]

რისკების კლასიფიცირებისადმი ყველაზე თანმიმდევრული მიდგომა რისკების მართვასთან მიმართებაში სტანდარტში (Risk Management Standard) არის წარმოდგენილი, რომელიც - რისკ მენეჯმენტის ინსტიტუტის (IRM), რისკ მენეჯმენტისა და დაზღვევის ასოციაცის (AIRMIC) მერ რისკ მენეჯმენტის ევროპული ასოციაციის ფედერაციასთან (FERMA) ერთობლივად არის შემუშავებული (იხ. ნახაზი 1). თუმცა აქ მოცემული კლასიფიკაცია მთლინად სრულყოფილი არ არის,

მნიშვნელოვანია, რომ მასში ერთგვაროვანი რისკების ძირითადი ბლოკებია გამოყოფილი, ხოლო რისკის თითოეული სახეობისათვის საგარეო და შიდა დრაივერების (პრაქტიკაში მათ ხშირად რისკის ფაქტორებს უწოდებენ) განსაზღვრაა შეთავაზებული.

[14] Management Standard, http: // www.ferma.eu

წარმოდგენილ რისკების კლასიფიკაციებში მისი ავტორები შესაძლებლობოს მიხედვით რისკების მთლიანი სპექტრის გამოყოფას ცდილობენ, რომლებიც საბანკო საქმიანობაზე ზემოქმედებენ. ჩვენ მიზნად დავისახეთ იმ ნაკლოვანებების გამოყოფა, რიმლებიც რისკების მრავალი კლასიფიკაციებისათვის არის დამახასიათებელი:

- არ ასებობს ერთიანი მოსაზრება ერთობლივი ფინანსური რისკის შემადგენელების განსაზღვრასთან მიმართებაში;

- ხშირად ცუდადაა დაყოფილი ერთობლივი რისკის კომპონენტები (ქვეყნიური რისკი გამოყოფილია საკრედიტოსაგან; მიკროეკონომიკიური რისკი ზოგიერთ კლასიფიკაციებში მიკუთვნებულია საბაზრო რისკისადმი, თუმცა იგი როგორც საბაზროსთან, ასევე საკრედიტი რისკთანაც არის გადაჟაჭვური);

- არ არსებობს ერთგვაროვანი და გასაგები რისკის კომპონენტების აღრიცხვის მეთოდოლოგია ბანკის კაპიტალის შეფასების მოდელებში: თუ საკერდოტისათვის, საბაზროსათვის, საოპერაციოსათვის მიდგომები ასე თუ ისე აღწერილია (თითოეულისათვის ცალ-ცალკედ), სხვა რისკებისათვის კი შეფასების მეთოდოლოგიები საერთოდ არ არის წარმოდგენილი, და აღინიშნება მხოლოდ, რომ ბანკის კაპიტალით უნდა იქნან გადაფარულები.

მიგვაჩნია, რომ რისკ-მენეჯმენტის მიზნებისათვის კლასიფიცირებისას ყველაზე უფრო მიზანშეწონილია რისკების ისეთი ჯგუფები იქნას გამოყოფილი, რომლებიც:

- არ გადაკვეთენ ერთმანეთს (მაგალითად, საინვესტიციო და საკრედიტო რისკები გადაიკვეთებიან);

- ჯამურად უნდა იქნას წარმოდგენილი ბანკის ერთობლივი რისკი (მაგალითად, თითქმის არც ერთ კლასიფიკაციასი ბიზნეს-რისკი არ არსებობს, თუმცა გაყიდვების მოცულობების ცვლილებას მივყავართ მოგების ცვლილებისაკენ, ანუ რისკის წარმოშობისაკენ);

- უნდა იზომებოდეს ერთსახოვნობის საფუძველზე (მაგალითად, როგორც მოგების აბსოლუტური ან შფარდებითი ცვლილებები, ან როგორც ბანკის ღირებულების ნაზარდის აბსოლუტური ან შეფარდებითი)ცვლილებები;

- უნდა იზომებოდეს სინქრონულად (ანუ დროის ერთი და იგივე მომენტებში);

- და რომელთა მართვისათვის მსგავსი პროცედურები და მათოდები იქნება გამოყენებული.

ავტორის მოსაზრებით, საკრედიტო სისტემაში ერთობლივი ფინანსური რისკის გაზომვასთან მიმართებაში **რისკების უნიფიცირებული საზომების** დამკვიდრებაა საჭირო და ამიტომ შეთავაზებულია, რომ რისკების კლასიფიკაცია ზემოთ აღნიშნულ პრინციპებზე დაფუძნების საფუძველზე იქნას ჩამოყალიბებული.

უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილია გამოყოფილი იქნას რისკების ორი ძირითადი ჯგუფი:

- **რეგულირებადები,** ანუ ის რისკები, რომლებზეც ბანკს, რისკების მართვის სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, შეუძლია ჯერ კიდევ მათ რეალიზებამდე მოახდინოს ზემოქმედება (მაგალითად, საკრედიტო რისკის მინიმიზაციისათვის რეიტინგული მეთოდიკების გამოყენება);

- **არარეგულირებადები**, ანუ ის რისკები, რომლებზეც ბანკს დაკვირვება, პროგნოზირება შეუძლია, მაგრამ მათი წარმოქმნის ალბათობაზე ზემოქმედების გამხორციელება არ შეუძლია. ასეთ

რისკებს შეიძლება მივაკუთვნოთ - საბანკო სისტემის რეგულირებასთან მიმართებაში კანონმდებლობის ცვლილების რისკი.

ბანკის რეგულირებადი რისკები, თავის მხრივ, მათი რაოდენობრივად გაზომვის შესაძლებლობის მიხედვით, შეიძლება პირობითად დაიყოს - **ფინანსურებად** და **არაფინანსურ რისკებად**.

ფინანსურ რისკებს - მოცემული კონცეფციის თანახმად მიეკუთვნებიან რისკები, **რომლებიც ალბათობურ რაოდენობრივ შეფასებას ექვემდებარებიან.** აღნიშნული ნიშნავს, რომ მათ მიმართებაში შეიძლება, გარკვეული ნულოვანი ალბათობით წარმოქმნადი რისკ-გარემოების რეალიზაციის შედეგად, **მოგების შემცირების სიდიდის შესახებ** პროფესიონალური მსჯელობები იქნას განხორციელებული და **შეფასების ალბათობითი მოდელები იქნას ჩამოყალიბებული.** ფინანსური რისკის ქვეშ ფორმირდება რეზერვები და რეზერვდება კაპიტალი. **სწორედ რისკების აღნიშნულ კლასს ეძღვნება წინამდებარე სადისერტაციო კვლევა.**

არაფინანსურ რისკებს - შეიძლება მივაკუთვნოთ ისინი, რომელთა შესაფასებლად რაოდენობრივი მოდელის ჩამოყალიბება ძნელია, მაგრამ რომელთა ფინანსური შედეგები შეიძლება მომავალში იქნას გამივლენილი. ნათელია, რომ მოცემული რისკების იგნორირება არ შიძლება, რადგანაც მათმა მოულოდნელმა გამოვლენამ, რიგორც გვიჩვენებს პრაქტიკა, შეიძლება საკრედიტო ორგანიზაციისათვის საკმაოდ მნიშვნელობანი და გარკვეულ შემთხვევებში კატასტროფულიც კი აღმოჩნდეს, ანუ მოცემული რისკები მომავალში გარდაიქმნებიან ფინანსურებში. ამიტომ მათი მართვა რეგულარულ საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს. ამასთან მოცემული რისკების დიაგნოსტიკის მეთოდები დაფუძნებული უნდა იყოს არა იმდენად ისტორიულ მონაცემებზე, რანდენიც ექსპერტების მსჯელობებზე, რადგანაც, ფინანსური

რისკების შეფასების რაოდენობრივ მოდელებში გამოყენებადი დონეების საზღვრებს გარეთ, მოცემული რისკების ისტორიული გამოვლინები ჯერ ან არ შეიმჩნეოდა ან მეტად იშვიათად შეიმჩნეოდა,

ამრიგად, ცნება „ერთიანი რისკი“ მნიშვნელოვნად ფართეა ცნება „ერთიან ფინანსურ რისკზე“. მოცემულ ნაშრომში ჩვენ გთავაზობთ - **ერთიანი ფინანსური რისკის შეფასების მათემატიკური მოდელის ჩამოყალიბებაზე** კონცენტრირების განხორციელებას. ერთობლივი რისკის (ფინანსურებისა და არაფინანსურების) შეფასების მოდელირება კი მთლიანობაში განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს.

იმისათვის რომ ერთობლივი ფინანსური რისკის შეფასების მოდელი იქნას ჩამოყალიბებული საჭიროა მისი კომპონენტები იქნას გამიჯნული. ტრადიციულად ბანკის ერთობლივ ფინანსურ რისკს განსაზღვრავენ როგორც: ა) შემთხვევით სიდიდეს, რომელიც მოსალოდნელი მოგების მისი ფაქტიური მნიშვნელობიდან შეფარდებითი გადახრის მახასიათებელია ან როგორც ბ) ბანკის აქტივების რენტაბელობის შეფარდებით ცვლილებას. უნდა აღინიშნოს, რომ მეორე განმარტება თავისი არსით პირველის ექვივალნტურია. მხოლოდ პირველ შემთხვევაში განიხილება - რისკის აბსოლუტური სიდიდე, ხოლო მეორეში კი - შეფარდებითი, რომელიც ბანკის აქტივების ერთეულზე მოდის.

ავტორის მიერ, ერთობლივი ფინანსური რისკის ფაქტორებსა და ბანკის მოგების ელემენტებს შორის ურთიერთკავშირის საფუძველზე გამოყოფილი, კომერციული ბანკის ფინანსური რისკების შემდეგი კლასიფიკაციაა შეთავაზებული:

- საკრედიტო რისკი;

- საბაზრო რისკი (საფონდო, სავალუტო, საპროცენტი რისკები);
- ფასობრივი რისკი;
- საოპერაციო რისკი;
- ბიზნეს-რისკი.

ორგანიზაციის სამომავლი ფულადი ნაკადებისათვის, რომლებიც **მომქმედი ბიზნესის გაფართოებასთან არის დაკავშირებული,** რისკი შეიძლება ბანკის ფაქტიური სუფთა საოპერაციო შემოსავლის მისი გეგმიური მნიშვნელობიდან გადახრასთან იქნას დაკავშირებული. აღნიშნული რისკები შეიძლება **სტრატეგიულებად ან ბიზნეს-რისკებად** იქნას დასახელებული, რადგანაც ისინი საბანკო პროდუქტების გაყიდვების მოცულობების დაგეგმილი დონისაგან გადახრებთან არიან დაკავშირებულები.

გავაანალიზეთ რა რისკებთან მიმართებაში გამოყენებადი კლასიფიკაციები, **გთავაზობთ ერთიანი ფინანსური რისკის შემდეგი სახის განმარტების** ჩამოყალიბაბას: **ერთიანი ფინანსური რისკის ქვეშ გაიგება მისი მოგების მოცულობის დასაწყისში დაგეგმილი სიდიდისაგან შეფარდებითი გადახრა რისკის სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად,** როგორებიცაა: კონტრაგენტების მიერ საკუთარი ვალდებულებების დარღვევა **(საკრედიტო რისკი),** საბაზრო გადაფასება ყველა სახეობის ღია პოზიციების **(საფონდო რისკი, სავალუტო რისკი),** სუფთა პროცენტული შემოსავლების შემცირება **(საპროცენტო რისკი),** სუფთა საკომისიოებისა და სხვა შემოსავლების შემცირება **(ფასობრივი რისკი საბანკო ტარიფების),** ბიზნეს-პროცესების თვითღირებულების ზრდა **(საოპერაციო რისკი),** მარკეტინგული სტრატეგიის არასწორად შერჩევის შედეგად საოპერაციო მოგების მოცულობის შემცირება **(ბიზნეს-რისკი).**

დასკვნა. ერთობლივი ფინანსური რისკის შეფასებისათვის საჭიროა აგებულიიქნას მოდელები, რომლებიც: საკრედიტო

ორგანიზაციის საქმიანობაზე ზემომქმედი რისკის ფაქტორებს ადექვატურად აღწერდნენ; სხვადასხვა სახეობების რისკის შეფასებებს ერთიან შეფასებაში აგრეგირებას განახორციელებენ; ძირითადი რისკების გადაფარვისათვის კაპიტალის საჭირო სიდიდეს გაზომავდნენ; მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისას დადგენილი შეფასებების გამოყენების შესაძლებლობებს მოგვცემდა.

К современному понятию системных рисков (одновременно действующих)

Р е з ю м е: Риски связаны с неопределенностью результатов будущей экономической деятельности, на которые могут оказать воздействие различные обстоятельства, начиная со стихийных бедствий, влияния различных внешних экономических ситуаций, воздействующих на процентную ставку, валютные курсы, рыночную стоимость активов и форс-мажорных обстоятельств и кончая внутренними обятоятельствами, какими являются недобросовестность и неправильные действия менеджмента и персонала организации, неполадки в информационной и технологической системе и т.д.

В классической теории (Дж.Милли, Н.У.Сениор) риск отожествляют с математическим ожиданием потерь, которые могут осуществиться в результате реализации запланированного действия. Или же риск является определенным ущербом, который наносится в результате осуществления той или иной операции. В основе неоклассической теории риска, создателем которой считается А.Маршал, о риске, как об амплитуде колебания возможной прибыли заложено доказательство. Исходя из существующей реальной практики, в нашей статье мы постарались определить особенности рисков, совместно/системно воздействующих на компании.

Ключевые слова: финансовый риск, системный риск, операционный риск, процентрый риск, бизнес-риск, фондовый риск.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Managing change with OTC derivatives reforms [Electronic resource] // EY. – Mode of access: http://www.ey.com
2. Start the Countdown – Implementation of Swaps Clearing in the US [Electronic resource] // BlackRock. – Mode of access: http://www.blackrock.com
3. Miller R. S., Ruane K. A. The Dodd-Frank Wall Street reform and consumer protection act: Title VII, Derivatives [Electronic resource] // Federation of American Scientists. – 2012. – Mode of access: http://www.fas.org
4. Derivatives EMIR [Electronic resource] // European Commission. – Mode of access: http://ec.europa.eu
5. European Market Infrastructure Regulation (EMIR) [Electronic resource] // Financial Services Authority. – Mode of access: http://www.fsa.gov.uk
6. Regulation (EU) № 648/2012 of the European Parliament and of the Council of 4 July 2012 on OTC derivatives, central counterparties and trade repositories [Electronic resource] // EUR-Lex – Europa. – 2012. – Mode of access: http://eur-lex.europa.eu
7. MiFID II – market overhaul looms [Electronic resource] // PwC. – Mode of access: http://www.pwc.com
8. CFTC and EU OTC derivatives regulation. An outcomes-based comparison [Electronic resource] // Deloitte US. – Mode of access: http://www.deloitte.com

ეროვნული და უცხოური ინვესტიციების ოპტიმალური თანაფარდობის როლი ეროვნული ბიზნესის განვითარებაში

The role of the optimal ratio between national and foreign investments in the development of national business

მეგი ანანიძე
ეკონომიკის დოქტორი
Megi Ananidze
PhD of Economics

რეზიუმე: ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ეროვნული, საკუთარი წარმოების აღორძინება, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ეკონომიკური ზრდის ხარისხის გაუმჯობესება. ამ მიზნის მიღწევა გარდამავალი და ზოგიერთი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსთვის, მხოლოდ საკუთარი (კერძო, სახელმწიფო) ინვესტიციების საფუძველზე უცხოური ინვესტიციების გარეშე წარმოუდგენელია.

Resume: Each country must take into consideration the interests, advantages and shortcomings of its country in the process of investment policy, and therefore create and implement investment policy, as often the wrong direction increases the country's economy instead of reducing its interests and the country's economy.

საკვანძო სიტყვები: კონკურენტუნარიანობა, ტრანსფომირებადი ეკონომიკა, კვალიფიციური კადრები, მწარმოებლურობის ეფექტიანობა.

Keywords: consideration, advantages, investment policy.

შესავალი: უაღრესად დიდია საკუთარი ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, მაგრამ გლობალიზაციისა და ღია ეკონომიკის პირობებში მრავალი განვითარებადი ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, რომ უცხოური ინვესტიციები დიდ

ზეგავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ამიტომ უცხოური ინვესტიციები უნდა განვიხილოთ, როგორც რეციპიენტის ეროვნულ ეკონომიკაზე და ადგილობრივ ინვესტიციებზე ზემოქმედების დადებით და უარყოფით მხარეთა კომპლექსში.

ძირითადი ტექსტი: რეციპიენტ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციის დადებითი გავლენა მდგომარეობს შემდეგში: ა) უცხოური ინვესტიციები, უწინარეს ყოვლისა, გავლენას ახდენს ტექნოლოგიაზე. თანამედროვე ტექნოლოგიის საშუალებით შესაძლებელია შემცირდეს დანახარჯები პროდუქციის წარმოების ნებისმიერ დონეზე. იმისათვის, რომ უცხოურმა ინვესტიციებმა ხელი შეუწყოს ტექნოლოგიურ პროგრესს რეციპიენტ ქვეყანაში, საჭიროა ამ ქვეყანამ ეფექტიანად გამოიყენოს უცხოური კომპანიების მიერ დაგროვილი ტექნოლოგიური გამოცდილება. ბ)უცხოური ინვესტიციები პოზიტიურ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. სტანდარტული ნეოკლასიკური ზრდის მოდელის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ უცხოური ინვესტიციები ადგილობრივ ინვესტიციებთან თანაბარ მდგომარეობაში განიხილება და არ მოიაზრება ხანგრძლივად რაიმე ზრდის ეფექტის მომტანად. თუმცა ამავდროულად, ნეოკლასიკური ზრდის მოდელი აღიარებს პირდაპირი, უცხოური ინვესტიციების ზემოქმედებას ეკონომიკურ ზრდაზე, თუკი ამგვარი ინვესტიციები ამაღლებს ტექნოლოგიების და დასაქმების დონეს. გ) უცხოური ინვესტიციები ასევე დადებითად ზემოქმედებს სამუშაო ძალის ხარისხზე, მის ზრდაზე, სტაბილურობაზე და ანაზღაურების მოცულობაზე. უცხოური ინვესტორი კომპანიების ფუნქციონირების შედეგად რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება იწვევს დასაქმების ზრდას, ასევე შრომის ანაზღაურების მოცულობის გადიდებას. თუკი ინვესტორი მოახერხებს რეციპიენტი ქვეყნის ადგილობრივი და უცხოური ბაზრების ათვისებას მასპინძელ

ქვეყანაში კონკურენტი ფირმების ხარჯზე (ან აიძულებს მათ გადავიდნენ შრომატევად საწარმოო პროცესებზე), მაშინ ეს ზეგავლენა უარყოფით ხასიათს მიიღებს, მაგრამ თუკი უცხოური ინვესტიცია ხელს შეუწყობს მოთხოვნის გაზრდას და წაახალისებს კონკურენტ ადგილობრივ ინვესტორებს, კომპანიებს იყვნენ უფრო ინოვაციურნი, დასაქმებაზე ზეგავლენა შეიძლება დადებითად აისახოს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ინვესტორის შემოსვლამდე როგორი იყო სამუშაო ძალის სტრუქტურა. როგორც გამოკვლევები ცხადყოფენ, ბევრ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციებით შექმნილ ფილიალებში მუშაკთა ანაზღაურება უფრო მაღალია, ვიდრე ადგილობრივ კომპანიებში, თუმცა ესეც დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ქვეყანაზეა, რომელ დარგზე და ფორმაზეა მსჯელობა .

მიუხედავად უცხოური ინვესტიციების რეციპიენტ ქვეყანაზე მნიშვნელოვანი პოზიტიური ზემოქმედებისა, თანამედროვე გლობალიზაციის მრავალწახნაგიანი, წინააღმდეგობრივი პროცესების, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში საინვესტიციო საქმიანობაში დღის წესრიგიდან არ უნდა მოვხსნათ ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების საკითხი. მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილების ანალიზიდან გამომდინარე, თითოეულმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომაც უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ინვესტორსა და რეციპიენტს შორის არსებობს ობიექტური წინააღმდეგობა: რეციპიენტი მიისწრაფის შესაძლებლობის შემთხვევაში ყველაზე იაფად, შეღავათიანი პირობებით ან თუნდაც მუქთადაც კი მიიღოს ინვესტიციები. ინვესტორთა უმრავლესობა კი დაინტერესებულია, უწინარეს ყოვლისა, მაქსიმალური მოგება მიიღოს. ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის, უსფრთხოების თვალსაზრისით სასურველია ადგილობრივ და უცხოურ ინვეტიციებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა.

მონაცემები ინვესტიციების შესახებ ფიქსირებულ აქტივებში საკუთრების ფორმების მიხედვით საქართველოში ადასტურებს შემდეგ ტენდენციას - უცხოური სჭარბობს ადგილობრივს. ეს გარკვეულწილად იმაზე მიანიშნებს, რომ უცხოელ ინვესტორთა მსხვილმა კაპიტალდაბანდებებმა შეიძლება მონოპოლიურ მდგომარეობამდე მიგვიყვანოს. მაგ., უცხოური ინვესტიციებით შენდება დიდი ქარხნები (შემოდის ძვირად ღირებული სხვადასხვა, მათ შორის სამედიცინო ტექნიკა ,რასაც ადგილობრივი ფირმები ფინანსური რესურსების უკმარისობის გამო ვერ ახერხებენ), სადაც დამფუძნებელთა 50-60-% და შეიძლება 100 % -ის წილის მფლობელი უცხოელი აღმოჩნდეს. ამიტომ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებს შორის თანაფარდობა საგრძნობლად რომ არ დაირღვეს, სასურველია უფრო მეტად ერთობლივი საწარმოების შექმნა, ანდა აღნიშნული ტექნიკის გადაცემა/მიყიდვა გარკვეულ ადილობრივ საწარმოებზე საკონტროლო პაკეტის მშივნელოვანი წილის დათმობის სანაცვლოდ (მაგალითად, დამფუძნებლად შეყვანა)

ინვესტირების პროცესში არსებული წინააღმდეგობიდან გამომდინარე, ეკონომიკურ ლიტერატურაში განასხვავებენ კეთილსინდისიერ, არაკეთილსინდისიერ და ფსევდო ინვესტორებს. ამ უკანასკნელთ არავითარი კაპიტალის ავანსირება არა აქვთ გადაწყვეტილი. ისინი საინვესტიციო ობიექტის მოჩვენებითი შესწავლით ცდილობენ გამოსტყუონ კომპანიებს კომერციული თუ სხვა სახის ინფორმაცია.რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, სამამულო ინვესტიციებზე პოზიტიურ გავლენას ახდენს მხოლოდ კეთილსინდისიერი ინვესტორები. კეთილსინდისიერება იმაში გამოიხატება, რომ ინვესტირების მონაწილე მხარეებმა უნდა დაიცვან ხელშეკრულების მოთხოვნები, პრინციპები და მიზნები. ინვესტორმა ისე უნდა წარმართოს თავისი საქმიანობა, რომ, სამართლიანი შემოსავლის მიღებასთან ერთად, უნდა განმტკიცდეს და განვითარდეს რეციპიენტი ქვეყნის

ეკონომიკა. ნათლად უნდა გავიგოთ, რომ ინვესტორები კრიმინალები, მძარცველები არ არიან. ინვესტორებს შორის, ისევე როგორც საერთოდ ადამიანებს შორის, არიან კეთილმოსურნე, არაკეთილმოსურნე, გულუხვები და ა.შ. ისინი საქმიანობენ ამა თუ იმ რეციპიენტი ქვეყნის საინვესტიციო გარემოს შესაბამისად. შეიძლება ცალკეული ინვესტორი ეწეოდეს კანონგარეშე, რეციპიენტი ქვეყნისთვის მიუღებელ საქმიანობასაც.

ამრიგად, ტრანსფორმირებად ქვეყნებში უცხოური ინვესტიციები გარკვეულ წინააღმდეგობასთან არის დაკავშირებული, რომლის გადაჭრას, ნებისმიერი ასეთი ქვეყნისათვის, მათ შორის საქართველოსთვისაც, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ეს წინააღმდეგობა იმაში მდგომარეობს, რომ, ერთი მხრივ, კონკურენციის პირობებში უცხოურ ინვესტიციებზე დიდი მოთხოვნაა, მეორე მხრივ, კი საბაზრო ძალების მოქმედებამ შეიძლება ესა თუ ის გარდამავალი, განსაკუთრებით პოსტსაბჭოური ქვეყანა რომელიმე მაღალგანვითარებული სახელმწიფოს სანედლეულო დანამატად აქციოს. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად საჭიროა უცხოური კაპიტალის მოზიდვის სფეროში გონივრული, მეცნიერულად დასაბუთებული, აწონილი პოლიტიკა, სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ინვესტიციების მოზიდვის მოტივაციური მექანიზმი. მხარი უნდა დავუჭიროთ უცხოურ ინვესტიციებს იმ დარგებსა და რეგიონებში, რომელთანაც დაკავშირებულია ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ გარდამავალი ეკონიმიკის ქვეყნები მაქსიმალურად არიან მობილიზებული უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე და ხშირ შემთხვევაში ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ადგილობრივ ბიზნესსა თუ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც გარკვეული წლების შემდეგ ცუდ გავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ამიტომ მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებობდეს კონკურენტუნარიანი გარემო

და ადილობრივი და უცხოური ინვესტორები იმყოფებოდნენ თანაბარ პირობებში, ხოლო სახელმწიფო მხოლოდ მაშინ ერეოდეს მათ საქმიანობაში, თუ ადგილი ექნება კონკურენციის დარღვევას. სახელმწიფომ სწორად უნდა განსაზღვროს საინვესტიციო პოლიტიკა, რადგან ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს დარგები, რომლებიც აუცილებელია იყოს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში , ისეთი როგორიცაა ქვეყნის ენერგო უსაფრთხოება და ა.შ ასევე საინვესტიციიო პოლიტიკის განსაზღვრის დროს სახელწიფომ უნდა იხელმძღვანელოს საექსპორტო და საიმპორტო პროდუქციის თანაფარდობაზე, რომელიც იწარმოება ქვეყანაში, რათა არ მოხდეს ადგილობრივი ბიზნესის შემცირება, ასევე ქვეყანაში არსებული მონოპოლიური სიტუაციით სასურველია მონოპოლიურ დარგში გაჩნდეს ჯანსაღი კონკურენტები და ა.შ

ამგვარად, სახელმწიფომ უნდა შესძლოს უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებს შორის იმ ბალანსის შენარჩუნება , რაც აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური წარმატებისთვის. ამას კი განაპირობებს სწორად შექმნილი და მუდმივად კონტროლირებადი საინვესტიციო გარემო, რომელიც ადაპტირებული უნდა იყოს როგორც ქვეყნის პოტენციალთან, ასევე გარეშე ფაქტორებთან.

დასკვნა: დღესდღეობით უცხოური ინვესტორთა წილი ბაზარზე ისევ საკმაოდ მაღალია. რომ არ მოხდეს მათი, როგორც ადგილობრივი ბაზრის მონოპოლიებად ჩამოყალიბება, აუცილებელია ადგილობრივი ბიზნესებისადმი სახელმწიფოს მაქსიმალური მხარდაჭერა. ასევე მნიშვნელოვანია უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენების უკან დაბრუნების სამოქმედო სტრატეგიაზე ფიქრი. ჩვენი თანამემამულენი, რომლებიც გარკვეული წლების წინ უცხოეთში შრომითი მიგრაციის გამო წავიდნენ, დღეს მსხვილ ბიზნესმენებად გვევლინებიან ამა თუ იმ ქვეყანაში. სასურველია ქვეყანამ წაახალისოს ამ მოქალაქეების უკან დაბრუნება და მათ მიერ განხორციელებულ ინვესტიციებზე გარკვეული

შეღავათების გაწევა. ყოველივე ამით მეტი წვლილის შეტანა შეიძლება ეროვნული ეკონომიკის, სამამულო ბიზნესის აღორძინებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სხირტლაძე ა, წიკლაური ჟ,... ბიზნესი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის უმთავრესი პირობა, მისი აღრიცხვის, საგადასახადო რეგულირების თავისებურებანი.გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2013
2. მენქიუ გ. , ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა ,,დიოგენე”, თბილისი, 2008
3. მალაშხია გ . მეტაეკონომიკა- ეკონომიკის ფილოსოფია. თბ. , 1995
4. შენგელია რ. წიკლაური ჟ. შენგელია ნ. ,,ინვესტიციები და მათი როლი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების განვითარებაში’’ გამომცემლობა ,,უნივერსალი’’, თბ., 2013
5. შენგელია-სხირტლაძე ნ. ინვესტიციის სოციალურ-ეკონომიკური არსი და მისი ახლებური გაგება. ჟურნ. ,,ბიზნესი და კანონმდებლობა. 2010

საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია

2017-2020

შესავალი: ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის განვითარებას. სოფლის განვითარება საერთაშორისო და ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის და სოფელსა და ქალაქს შორის ეკონომიკური უთანაბრობის შემცირებისთვის.

აუცილებელია სოფლის მეურნეობის იმ პოტენციალის კარგად გაცნობიერება, რომელსაც შუძლია ინოვაციური, ინკლუზიური და მდგრადი გადაწყვეტილებების შემოთავაზება ისეთი მიმდინარე და სამომავლო საზოგადოებრივი გამოწვევების დასაძლევად, როგორიცაა ეკონომიკური კეთილდღეობა, სასურსათო უსაფრთხოება, კლიმატის ცვლილება, რესურსების მართვა და სოციალური ჩართულობა.

სოფლის განვითარების და სოფლის მეურნეობის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს სოფლის იდენტობას და ტენდენციებს, რაც უნდა განხორციელდეს ინტეგრირებული სტრატეგიების განხორციელებით და მრავალდარგობრივი მიდგომებით. ამ პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის დივერსიფიკაცია და მეწარმეობის განვითარების, ინვესტიციების, ინოვაციებისა და დასაქმების ხელშეწყობა. მათ მეტი მნიშვნელობა უნდა შესძინონ სოფლის იდენტობას და შექმნან მდგრადი განვითარების საფუძველი, უზრუნველყონ სოციალური ჩართულობა და ადგილობრივი განვითარება, ისევე, როგორც ხელი შეუწყონ მეურნეობებისა და თემების სიცოცხლისუნარიანობას სოფლად.

სოფლის განვითარება დღეს საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსახლეობის 42.8% (1,591.9 ათასი ადამიანი) სოფლად ცხოვრობს (2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით), ხოლო 2015 წელს დასაქმებულთა 48.6% სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყევეობა, თევზჭერა, მეთევზეობაშია დასაქმებული. 2015 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) 9.1%-ს შეადგენს.

საქართველოს სოფლების დინამიური განვითარებისკენ მიმართული მიდგომა უნდა აერთიანებდეს კომპლექსურ და სტრატეგიულ მეთოდებზე დაფუძნებულ სპეციალურ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება სოფლად მცხოვრებთა ყოფა და ამავდროულად, გაუმჯობესდება და უკეთ იქნება დაცული კულტურული მემკვიდრეობა და ბუნებრივი გარემო.

ამგვარი ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს ეკონომიკის დივერსიფიკაციის ხელშეწყობას, სოფლის მოსახლეობისთვის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებას, სოფლის მეურნეობაში ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მხარდაჭერას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების და მარკეტინგის ხელშეწყობას, ფერმერული მეურნეობების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ტყის და ბუნებრივი რესურსების მდგრადი

მართვის უზრუნველყოფას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე სოციალურ ჩართულობას და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობას ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მოგვარების გზებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ამ ეტაპზე არ გააჩნია სოფლის განვითარების ერთიანი პოლიტიკა, რომელიც უკვე

წარმატებით ხორციელდება როგორც ევროკავშირის წევრ, ასევე, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-10 თავის - „სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება“ თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება ევროკავშირის პოლიტიკის და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროპულს, ასევე, ხელი შეუწყოს როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა პოლიტიკის დაგეგმვა და შეფასება შეესაბამებოდეს ევროპულ ნორმებს. "მხარეები ითანამშრომლებენ, რათა ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას, კერძოდ, პოლიტიკისა და კანონმდებლობის თანმიმდევრული დაახლოების გზით" (ასოცირების შეთანხმება, მუხლი 333).

ევროკავშირის სოფლის განვითარების პოლიტიკას 2020 წლამდე 6 ძირითადი პრიორიტეტი აქვს, რომლებიც მიმართულია ეკონომიკური, სოციალური და გარემოს კუთხით არსებული გამოწვევების დაძლევისკენ. ესენია: 1. სოფლად, სოფლისა და სატყეო მეურნეობაში ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ხელშეწყობა; 2. ყველა რეგიონში, ყველა ტიპის სოფლის მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობის და კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და ტყის რესურსების მდგრადი მართვის ხელშეწყობა; 3. სურსათის წარმოებაში ღირებულებათა ჯაჭვის ორგანიზების ხელშეწყობა, მათ შორის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და მარკეტინგი, საქონლის სათანადო პირობებით უზრუნველყოფა და სოფლის მეურნეობაში რისკების მართვა;

4. სოფლის მეურნეობასა და ტყის რესურსებთან დაკავშირებული ეკოსისტემების აღდგენა, დაცვა და გაუმჯობესება;

5. რესურსების ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობა და სოფლის მეურნეობაში, სურსათის წარმოებასა და მეტყევეობაში ეკოლოგიურად სუფთა და კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადი ეკონომიკის

მხარდაჭერა; 6. სოფლად სოციალური ჩართულობის, სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

ევროკავშირის მიდგომის მთავარი მახასიათებელი და გაცხადებული მიზანია საზოგადოების ძალისხმევით გამოვლინდეს ადგილობრივი პრიორიტეტები, განისაზღვროს სტრატეგიები, საითკენაც შემდგომში მიმართული იქნება ინვესტიციები. მნიშვნელოვანია ამგვარი მიდგომის საქართველოში გამოყენების მექანიზმების შემუშავება და იმის განსაზღვრა, თუ როგორ იმოქმედებს ეს მექანიზმი ამჟამინდელ რეგიონული და მუნიციპალური დონის დაგეგმარებაზე. ადგილობრივი თანამშრომლობის ერთ-ერთ მექანიზმად შესაძლებელია განხილულ იქნეს ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების (LAG) ფუნქციონირება.

მიუხედავად საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა, სოფლის მოსახლეობა სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პრობლემების წინაშე დგას. ჯერ-ჯერობით ისევ გამოწვევაა ადგილობრივი მოსახლეობისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ცოდნის არასაკმარისი გამოყენება, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან ბარიერს უქმნის მეწარმეობის, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას.

მნიშვნელოვანი განსხვავებაა დედაქალაქსა და დანარჩენ რეგიონებს შორის როგორც მოსახლეობის საშუალო ყოველთვიურ შემოსავლებში, ასევე, საშუალო ყოველთვიურ შემოსავლებში ერთ შინამეურნეობაზე და მოსახლეობის ერთ სულზე. თბილისში ეს მაჩვენებლები გაცილებით მაღალია, ვიდრე დანარჩენ რეგიონებში. იგივე მდგომარეობაა ხარჯების კუთხითაც. თბილისში შექმნილი დამატებული ღირებულება ქვეყანაში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების 48.4%-ია (2014). მხოლოდ ამ მაჩვენებლებითაც ცხადია, რაოდენ დიდი განსხვავებაა ქალაქის (ამ შემთხვევაში - თბილისის) და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონეს შორის.

სწორედ ამ უთანაბრობის გამოსწორებისთვის მნიშვნელოვანია სოფლის განვითარების ერთიანი ხედვის და სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ასახავს ქვეყანაში არსებულ რეალურ სურათს და დაფუძნებული იქნება საუკეთესო საერთაშორისო და ევროპულ პრაქტიკაზე, რომელიც, თავის მხრივ, მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და სოფლის კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობას.

წინამდებარე სტრატეგია შემუშავებულია საქართველოში სოფლად არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე და მასში ასახულია არსებული შეფასებები, ადგილზე განხორციელებული და მიმდინარე პროგრამები. სპეციფიური ღონისძიებები გაწერილია თანდართულ სამოქმედო გეგმაში. სტრატეგიაში ასევე გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

ტერმინი „სოფლად“ გულისხმობს არა მხოლოდ სოფლებს (როგორც სოფელი განმარტებულია კანონმდებლობით) არამედ სხვა დასახლებულ პუნქტებსაც. მაგალითად, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებს, რომლებიც შეიძლება იყოს დაბა ან

ქალაქი. თბილისის შემთხვევაში კი, ასევე, ადმინისტრაციულ ერთეულებს - რაიონებს, რომლებიც შედის თბილისის საზღვრებში.

სოფლის განვითარების სტრატეგიაში გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის პრიორიტეტები და ყველა იმ სექტორული თუ მულტისექტორული განვითარების მიმართულებები, რომლებიც კავშირშია სოფლის განვითარებასთან.

წინამდებარე სოფლის განვითარების სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა (2017 წლისთვის) შემუშავებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინაციით, ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყების ჩართულობით, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) და გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) აქტიური თანამშრომლობითა და მხარდაჭერით. დოკუმენტის შემუშავების პროცესში ასევე უზრუნველყოფილ იყო დაინტერესებულ პირთა ჩართულობა. შეხვედრები ჩატარდა საქართველოს ყველა რეგიონის წარმომადგენლებთან, მათ შორის, მუნიციპალიტეტების, ბიზნეს სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

სოფლის მეურნეობა: სოფლის მოსახლეობისთვის დასაქმებისა და შემოსავლის ძირითად წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. ამჟამად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია სამუშაო ძალის 43%, საიდანაც 97%-ზე მეტი თვითდასაქმებულია. სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ალტერნატიული დასაქმების შესაძლებლობები დაბალია.

2015 წელს, სოფლის მეურნეობაში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ (ქვეყნის მშპ-ში) 2,507.6 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო რეალურმა ზრდამ 1.5%. 2015 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მშპ-ში 9.1%-ია. პირველად წარმოებაში

შექმნილი დამატებული ღირებულების 48% მეცხოველეობაზე მოდის, ხოლო 21% - ხილის, კაკლის, სასმელებისა და სუნელ-სანელებლების წარმოებისათვის საჭირო კულტურების მოყვანაზე. კვების მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულება აღნიშნული პერიოდისათვის 1,827.8 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც მშპ-ს 6.7%-ია. კვების მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების 39% შინამეურნეობებში პროდუქციის გადამუშავებაზე მოდის, ასევე მნიშვნელოვანი წილი უკავია ალკოჰოლური სასმელების წარმოებას.

საქართველოს ტერიტორიის 3 მილიონ ჰექტარზე მეტი (ტერიტორიის 43.4%) სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია, რომლებშიც ასევე შედის სათიბ-საძოვრები, ხოლო დანარჩენი ტერიტორიის 43% დაფარულია ტყის საფარით.

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის თითქმის ნახევარი (47.9%) სახნავს წარმოადგენს, საიდანაც 30% დაუმუშავებელია.

დღემდე სოფლის მეურნეობის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად რჩება ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში (1992-1998 წ.) განხორციელებული მიწის რეფორმა, რამაც მეურნეობების მცირე ფართობებად დანაწევრება და წარმოების ნატურალიზაცია გამოიწვია.

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, 1 ჰექტრამდე მიწას ფლობს მიწათმოსარგებლეთა 73.1%, 1-დან 5 ჰექტრამდე ფართობს - 25.5%, ხოლო 5 ჰექტარზე მეტს - მხოლოდ 1.5%. პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ მეურნეობების კუთვნილი 1 ჰექტარი მიწა საშუალოდ წარმოდგენილია 2-3 ნაკვეთად. აქედან

გამომდინარე, მომგებიანი და ეკონომიკურად ძლიერი სოფლის მეურნეობის განვითარება მიწების კონსოლიდაციის გარეშე შეუძლებელია. სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის რაციონალური მართვის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზრის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მიზნობრივი გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდება ღონისძიებები ფერმერთა რეესტრისა და მიწათსარგებლობის გეოინფორმაციული სისტემის შექმნის მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ დაურეგისტრირებელი აქვს საკუთრებაში არსებული მიწა ფართობი. შესაბამისად, მათი ეკონომიკური აქტივობისთვის

გამოყენება შეუძლებელია (მაგ: საკრედიტო რესურსის უზრუნველყოფისთვის).

სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოების პროდუქტიულობის ზრდა და თვითღირებულების შემცირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებაზე. ამჟამად კერძო სექტორში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უმეტესი ნაწილი გაუმართავი და ამორტიზირებულია, რაც აფერხებს სამუშაოების აგროვადებში შესრულებას, ზრდის წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას, აუარესებს მოსავლის ხარისხს და ამცირებს წარმოების მოცულობას. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, მომავალში განხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის ასამაღლებლად.

საქართველოს სოფლის ტერიტორიებზე სასაწყობე მეურნეობების და შესაბამისი მომსახურებების ნაკლებობაც შეიმჩნევა. შესანახი მომსახურებების ნაკლებად

გამოყენების ძირითადი მიზეზი, საწყობების და მაცივრების შემთხვევაში, სოფლიდან დიდი მანძილით დაშორება და ფასია. სახელმწიფო ხელს შეუწყობს მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვას - შემნახველი, დამხარისხებელი, შემფუთავი, გადამმუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარებას. ამით უზრუნველყოფილი იქნება დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის შემადგენელი კომპონენტების ინტეგრაცია.

ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის კარგად განვითარებული და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობა, თუმცა იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2015 წელს, საკვები პროდუქტების წარმოების ბრუნვას12 გადამამუშავებელი მრეწველობის მთლიანი ბრუნვის 45.6% უკავია და 2,9 მილიარდ ლარს აღემატება. გამოშვებას გადამამუშავებელი მრეწველობის მთლიანი გამოშვების 46.6% უკავია და 2,8 მილიარდ ლარს აღემატება.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის წილი ფულად და არაფულად სახსრებში 2015 წლისათვის მხოლოდ 7.8%-ია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეობები სუსტადაა განვითარებული.

უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება სოფლის მეურნეობის სექტორში კერძო ინვესტიციების ზრდის ტენდენცია, თუმცა მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, ასევე, პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი ფერმერებისთვის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, ამ მიმართულებით

სავაჭრო სალდო ჯერჯერობით კვლავ უარყოფითია. ძირითადი საექსპორტო პროდუქტებია: თხილი, ყურძნის ნატურალური ღვინოები, სპირტიანი სასმელები, მინერალური მტკნარი წყლები. მათი წილი აგროსასურსათო პროდუქციის მთლიან ექსპორტში 70%-მდე აღწევს. დარგის მდგრადი განვითარებისათვის და ქვეყნისთვის მეტი შემოსავლის გენერირებისათვის მნიშვნელოვანია საექსპორტო პროდუქციის და ბაზრების შემდგომი დივერსიფიკაცია. განსხვავებული მდგომარეობაა იმპორტის შემთხვევაში: ხორბალი, ხორცი და ხორცპროდუქტები, ხილი და ბოსტნეული, შაქარი, სპირტიანი სასმელები, მცენარეული ზეთი - ეს იმ პროდუქტთა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც მნიშვნელოვან საიმპორტო პროდუქტებს წარმოადგენს. აღნიშნული პროდუქტების წილი აგროსასურსათო პროდუქციის მთლიან იმპორტში 42%-მდე აღწევს. განსაკუთრებით აღსანიშნავია არასეზონური ბოსტნეულის იმპორტი, რომლის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო პირობები არსებობს საქართველოში. ადგილობრივი წარმოების ხილისა და ბოსტნეულის ბაზარზე მიწოდება ძირითადად სეზონზე ხორციელდება.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების როგორც ექსპორტის ზრდის, ასევე კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის მნიშვნელოვანია ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში - საქპატენტში, უკვე რეგისტრირებულია 18 ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო, 3 მინერალური წყალი, 14 სახეობის გეოგრაფიული აღნიშვნის ყველი, ჭაჭა, ჩურჩხელა და სხვა. ქართული პროდუქციის მხარდაჭერის, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის პროდუქტების დაცვის მიზნით ევროკავშირთან, დსთ-სა და მსხვილ საექსპორტო ქვეყნებთან გაფორმებულია შესაბამისი შეთანხმებები.

სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის როგორც პირველადი წარმოების, ასევე გადამუშავების ეტაპზე და როგორც საქართველოს, ასევე ევროკავშირის ბაზარზე განთავსებისთვის მნიშვნელოვანია DCFTA-ით სურსათის უვნებლობის კუთხით აღებული ვალდებულებების ეტაპობრივი და ეფექტიანი იმპლემენტაცია შეთანხმებითვე განსაზღვრული დროითი პერიოდების გათვალისწინებით.

გარდა იმისა, რომ DCFTA იძლევა საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე ყოველგვარი სატარიფო ბარიერის გარეშე განთავსების უნიკალურ შესაძლებლობას, იგი მოითხოვს ქვეყანაში შესაბამისი ინსტიტუციების და სისტემების ეფექტიან ფუნქციონირებას, ასევე, მეწარმეთა მხრიდან DCFTA-ით განსაზღვრული ევროკავშირის რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. აღნიშნული მოთხოვნების ადაპტაცია განსაკუთრებით მტკივნეულია მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის როგორც ფინანსური, ასევე შესაბამისი ცოდნის და კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მოძიების კუთხით. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მიხედვით, გამარტივებული მოთხოვნები ვრცელდება იმ ბიზნესოპერატორზე, რომელსაც აქვს ა) მცირე ბიზნესის სტატუსი (წლიური ბრუნვა არ აღემატება 200 000 ლარს) და რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას, გადამუშავებას, პირველად წარმოებას და დისტრიბუციას, ბ) იმავე საქმიანობებს ტრადიციული მეთოდებით და გ) იმავე საქმიანობებს არაქარხნული წესით მაღალმთიან რეგიონში. შესაბამისად, ამ ტიპის ბიზნესს არ მოუწევს დამატებითი ხარჯების გაღება, რაც მნიშვნელოვანია მათი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისთვის.

სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა: სოფლის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო სერვისებზე

ხელმისაწვდომობა. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, სახელმწიფო სერვისების მიწოდება მოსახლეობისთვის მნიშვნელოვნად გამარტივდა. დღეისთვის, ქვეყნის მასშტაბით წამატებით ფუნქციონირებს იუსტიციის სახლები, სადაც თავმოყრილია სახელმწიფო სერვისების უმრავლესობა. იუსტიციის სახლი მომხმარებელს 400-მდე სახის სერვისს სთავაზობს ერთ ადგილზე და დღეში 18 000-მდე მომხმარებელს ემსახურება. დღეისთვის, საქართველოს მასშტაბით, თბილისის ჩათვლით, 19 იუსტიციის სახლი ფუნქციონირებს. უახლოეს მომავალში იგეგმება იუსტიციის სახლის გახსნა ახალქალაქში.

აღსანიშნავია, რომ სერვისების უმრავლესობა სახლიდან გაუსვლელად, ელექტრონულად არის ხელმისაწვდომი, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთელი ტერიტორია ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ არის დაფარული

ინტერნეტ-ინფრასტრუქტურით, სოფლის მოსახლეობის ნაწილისთვის ამ სერვისებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.

ადგილებზე სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება, მათ შორის:

 საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება - რომლის მიზანია ადგილობრივი საჯარო მმართველობის გაუმჯობესება, მოსახლეობისათვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდება და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება. პროექტის ფარგლებში ხორციელდება საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა, სადაც სოფლის მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სსიპ - სოციალური მომსახურების

სააგენტოს, შპს „მექანიზატორის“ სერვისებით და სანოტარო მომსახურებით. ცენტრებში ასევე წარმოდგენილია საბანკო სექტორი და ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიები („მაგთიკომი“, „ლიბერთი ბანკი“). მოქალაქეთათვის ასევე ხელმისაწვდომია უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები, ვიდეო კონფერენციის აპარატურა და თანამედროვე ელექტრონული ბიბლიოთეკა.

2011 წლიდან დღემდე აშენებულ 43 საზოგადოებრივ ცენტრში ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება აქვს, სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს საჯარო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით. აღსანიშნავია, რომ პროექტი მოიცავს მუნიციპალიტეტის ორგანოებში მუნიციპალური მართვის სისტემის (MMS - Municipal Management System) ეტაპობრივ დანერგვას, რაც მუნიციპალიტეტის სერვისებს უფრო ეფექტიანს გახდის და საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარებას შეუწყობს ხელს, გამარტივდება და უფრო გამჭვირვალე და სწრაფი გახდება მუნიციპალური სერვისების გაცემა.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლიდან საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და კომერციულ ბანკებს შორის თანამშრომლობით დაინერგა ექსპრეს საზოგადოებრივი ცენტრების კონცეფცია, რომელიც 1 000-ზე მეტ სოფელს მოიცავს და რომლის მიზანია ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროეტის „საჯარო ბიბლიოთეკები ადგილობრივი განვითარებისთვის“ ფარგლებში, ზოგ სოფელში ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურას დაემატა საზოგადოებრივი ცენტრების კონცეფცია, რამაც შესაძლებელი გახადა ეფექტიანი სახელმწიფო სერვისების მიწოდება და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირება ტრადიციულ საჯარო ბიბლიოთეკებში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სოფლების ნაწილს ამ ეტაპისთვის არ აქვს მსგავს სერვისებზე ხელმისაწვდომობა. მნიშელოვანია, რომ საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება მომავალშიც გაგრძელდეს. დამისამართების პროექტი: მთელი რიგი სახელმწიფო სერვისების მიწოდებისთვის, მათ შორის, სარეგისტრაციო, სოციალური დახმარების, საფოსტო, სახანძრო, სასწრაფო დახმარება და სხვა, მნიშვნელოვანია რომ სასოფლო დასახლებები იყოს დამისამართებული, რაც დღეისთვის სრულად არ არის განხორციელებული. პროექტი ითვალისწინებს ყველა დასახლებულ პუნქტში უსახელო გზების და ქუჩების დამისამართებას და შენობების დანომვრვას. პარალელურად, მონაცემები ელექტრონულ რუკაზე დაიტანება, რაც ქვეყანაში სანავიგაციო სისტემის ეფექტურ მუშაობას შეუწყობს ხელს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სოფლის მოსახლეობის საგადასახადო/საბაჟო ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობა. ასეთ სერვისებს მიეკუთვნება, მათ შორის, გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია, ინდ-მეწარმის რეგისტრაცია, საკონსულტაციო მომსახურება, დეკლარირება და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსად სარეგისტრაციო სერვისებისა, ამ შემთხვევაშიც სერვისების უმეტესობა ონ-ლაინ არის ხელმისაწვდომი, თუმცა სოფლის ტერიტორიების ინტერნეტით არასრულად დაფარვის და ასევე მოსახლეობის კომპიუტერული თუ სპეციფიკური უნარების ცოდნის არასაკმარისი დონის გამო, სოფლის მოსახლეობის ამ სერვისებთან ხელმისაწვდომობაც შეზღუდულია.

რეგიონებში ოპერირებს შემოსავლების სამსახურის სერვის-ცენტრები, თუმცა ეს სერვის-ცენტრები განლაგებულია რეგიონულ ცენტრებში, რაც განსაკუთრებით მოუხერხებელია იმ სოფლების მოსახლეობისთვის, რომლებიც დიდი მანძილით არის დაცილებული რეგიონული ცენტრებიდან.

სოფლის განვითარებისკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამები: საქართველოს მთავრობა ახორციელებს სახელმწიფო პროგრამებს, რომლებიც, მათ შორის, მიმართულია ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისკენ და რომლებიც ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის როგორც ფინანსებზე, ასევე ფიზიკურ ინფრასტრუქტურასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის ზრდას.

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა: სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2012 წელს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, რომელიც ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სააგენტოს მიერ ხორციელდება ,,ერთიანი აგროპროექტი“, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამას, მათ შორის:
 დანერგე მომავალი, რომლის მიზანია საქართველოში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწების ეფექტური გამოყენება მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით;
 აწარმოე საქართველოში (სოფლის მეურნეობის მიმართულება), რომლის მიზანია წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიების განვითრების, ახალი საწარმოების შექმნის და არსებულის გაფართოების ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება/გადამუშავების მიმართულებებით;
 აგროდაზღვევა, რომლის მიზანია აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირება; გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება, რომლის მიზანია, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი, ასევე პროდუქტების

შემნახველი საწარმოებისა და მომსახურების განვითარების ხელშეწყობა; შეღავათიანი აგრო-კრედიტი, რომლის მიზანია ფერმერების და სოფლის მეურნეობაში ჩართული მეწარმეების გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესება; პროგრამა - ქართული ჩაი, რომლის მიზანია საქართველოში უკვე არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის, ბიო ჩაი) წარმოების ზრდის ხელშეწყობა, ქვეყანაში თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.

კოოპერაცია: წარმოების ორგანიზების, კაპიტალის მართვის, მზარდი შემოსავლების, გასაღების ბაზრების გაფართოებისა და ფერმერების შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით, კოოპერაციული საწარმოებისა და კოოპერატივების ხელშეწყობა ფართოდ გამოყენებადი მექანიზმია. ეკონომიკის მასშტაბების გაზრდით, რის შესაძლებლობასაც იძლევა კოოპერაცია, უფრო მარტივი ხდება თანამედროვე სტანდარტების და ტექნოლოგიების დანერგვა, ასევე, ახალისებს მაღალი დამატებული ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას, რაც ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

მნიშვნელოვანია ქალთა და ასევე ახალგაზრდათა კოოპერაციული საქმიანობის წახალისება, რაც ხელს შეუწყობს როგორც მათ ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვას, ასევე მათი შემოსავლების ზრდას და სოფლად ცხოვრების სტიმულის ამაღლებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში, 2013 წელს შეიქმნა სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდამჭერ პროგრამებს, მათ შორის: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფა - რთული რელიეფის მქონე და მცირე მიწის ნაკვეთების დამუშავებისა და ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის მიზნით; თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის გზით, რომლის მიზანია თხილის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა, თხილის თვითღირებულების შემცირება და მისი საექსპორტო პოტენციალის ზრდა; მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა, რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა, ასევე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კაპიტალური ინვესტირების განხორციელება და მეპაიეთა კვალიფიკაციის ამაღლება; რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა, რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფარგლებში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ნედლი რძის მიმღებ/გადამამუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირება, ადგილობრივი რძისა და რძის ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივებში არსებული მსხვილფეხა საქონლის ჯიშობრივი გაუმჯობესება; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვა, რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, კოოპერატივების მიერ

წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა წარმოებისათვის დადგენილი აგროვადების დაცვა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ასევე მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების კუთხით, კერძოდ, ვენახების კადასტრის პროგრამა, ბაზრების დივერსიფიკაცია. ასევე ხორციელდება ღონისძიებები სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის, ლაბორატორიული კვლევებისა და

დიაგნოსტიკის მიმართულებებით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ჩამოყალიბების და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობის კუთხით და სხვა.

გარდა სახელმწიფო პროგრამებისა, საპარტნიორო ფონდის მონაწილეობით და მხარდაჭერით, სხვა მიმართულებებს შორის, წარმატებით ხორციელდება აგრობიზნესის პროექტები. 2011 წლიდან (დაარსებიდან) დღეის მდგომარეობით, საპარტნიორო ფონდის მონაწილეობით დაფინანსებულია აგრო-პროექტები, მათ შორის: თანამედროვე სტანდარტების მეღორეობის ფერმა (თბილისის მახლობლად), ბოსტნეულის სასათბურე მეურნეობა (იმერეთი), ლურჯი მოცვის ფერმერული მეურნეობა (გურია), ვაშლის ფერმერული მეურნეობა (შიდა ქართლი).

გარდა ამისა, თანაინვესტირების ფონდის მიერ, რომელიც წარმოადგენს კერძო საინვესტიციო კომპანიას, სახელმწიფოსთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელებულია რიგი საინვესტიციო პროექტები, მათ შორის, სოფლის მეურნეობის მიმართულებით აღსანიშნავია, სასათბურე მეურნეობა (ქვემო ქართლი). სოფლის მეურნეობის მიმართულებით თანაინვესტირების ფონდის პრიორიტეტებია: ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის

დაკმაყოფილების მიზნით რძის და ხორცის პროდუქტების წარმოება; ექსპორტის განვითარების მიზნით ღვინის, მინერალური წყლების, ხილისა და ბოსტნეულის წარმოება; სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის მნიშვნელოვანი კომპონენტების - შემნახველი მეურნეობების, გადამამუშავებელი საწარმოების და სათბურების განვითარება; საქართველოს, როგორც სატრანზიტო ჰაბის განვითარების მიზნით მარცვლეულის შესანახი ელევატორების და ცხოველთა საკვების წარმოება.

მეწარმეობის ხელშეწყობა: საქართველოში მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. გამომდინარე იქედან, რომ ბიზნეს აქტიურობის 2/3-ზე მეტი თბილისზე მოდის, მნიშვნელოვანია რეგიონებში და ადგილებზე ბიზნესის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა.

გარდა სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამებისა, ხორციელდება სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი ბიზნესის, მათ შორის, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისკენ და ითვალისწინებს როგორც ფინანსებსა და ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის ზრდას, ასევე ტექნიკურ მხარდაჭერას და საკონსულტაციო მომსახურებას.

2014 წელს (თებერვალში), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შეიქმნა სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომლის ძირითადი მიზნებია: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; დამწყები ბიზნესების მხარდაჭერა; თანამედროვე სამეწარმეო კულტურის

დამკვიდრების მხარდაჭერა; საქონლისა და მომსახურების ექსპორტის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა და ა.შ., რომელსაც

სააგენტო ახორციელებს სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური მექანიზმების გამოყენებით.

მეწარმეობის განვითარების სააგენტო ახორციელებს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერ პროგრამებს, მათ შორის: ▯ აწარმოე საქართველოში: ა)ინდუსტრიული მიმართულება, რომლის მიზანია მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით; ბ) სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულება, რომლის მიზანია საქართველოს რეგიონებში (გარდა თბილისისა და ბათუმისა) მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა ახალი სასტუმროების მშენებლობის ან/და არსებულის გაფართოების მიმართულებით. ასევე, ქვეყანაში საერთაშორისო ბრენდების შემოყვანის სტიმულირების მიზნით ადგილობრივი მეწარმე სუბიექტებისთვის Franchise (Management Contract) შეთანხმებით გათვალისწინებული გადასახადების თანადაფინანსება. ▯ მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა (აწარმოე საქართველოს ფარგლებში), რომლის მიზანია საქართველოს ეკონომიკურად მოწყვლად რეგიონებში მეწარმეობის ხელშეწყობა, მიკრო და მცირე მეწარმე სუბიექტების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა, მიკრო და მცირე ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობა, რეგიონულ ბაზრებზე წარმოდგენილი ადგილობრივი პროდუქციის ხარისხის ზრდის წახალისება და დივერსიფიკაცია.

ინოვაციების ხელშეწყობა: ინოვაციებისა და თანამედრივე ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2014 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შეიქმნა სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომლის მიზანია ინოვაციების,

თანამედროვე ტექნოლოგიების, კვლევისა და განვითარების (R&D) სტიმულირება, მათი კომერციალიზაციის და გამოყენების ხელშეწყობა; ინოვაციური დამწყები კომპანიების (start-up) ფორმირების და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა. სააგენტო რეგიონების მასშტაბით ახორციელებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. კერძოდ, იქმნება სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები, რეგიონალური ჰაბები და ინოვაციების ცენტრები, რომელთა მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის უნარჩვევების ამაღლება ტექნოლოგიების და ინოვაციების მიმართულებით, ინოვაციური იდეების წახალისება, მათი პროტოტიპირების და კომერციალიზაციის ხელშეწყობა.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა: საქართველოს მთავრობა აქტიურ ღონისძიებებს ახორციელებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის მიმართულებით. ასევე, რეგიონების მასშტაბით ხორციელდება ხელოვნების პოპულარიზაციისა და მისი განვითარების ხელშეწყობისკენ მიმართული პროექტები. რეგიონებში იმართება კულტურული ღონისძიებები, რაც მნიშვნელოვანია სოფლის მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში მეტი ინტეგრაციის თვალსაზრისით.

სოფლის ინფრასტრუქტურა: სოფლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია როგორც ინფრასტრუქტურული (განსაკუთრებით მცირემასშტაბიანი და ადგილობრივი), ასევე სხვა საჭიროებების მოგვარება. ასევე მიშვნელოვანია ამ პროცესში სოფლის მოსახლეობის აქტიურად ჩართვა და კონსულტაციები. საქართველოს მთავრობა ახორციელებს მნიშვნელოვან პროექტებს, მათ შორის: სოფლის მხარდაჭერის პროგრამა. სოფლის ინფრასტრუქტურული და სხვა საჭიროებების მოგვარების მიზნით, 2009 წლიდან ხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ სოფლისთვის პრიორიტეტული

ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას, რაც ასევე ითვალისწინებს მოსახლეობის ინფორმირებას და კონსულტაციებს დასაფინანსებელ პროექტებთან დაკავშირებით და დასახლების საერთო კრების აქტიურ მონაწილეობას პრიორიტეტულ პროექტებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში. პროგრამის ფარგლებში გაწეული დაფინანსება მიმართულია ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის, კეთილმოწყობის, ასევე, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვისკენ. ამასთან, განსახორციელებელ პროექტს უნდა ჰქონდეს დადებითი სოციალურ ეკონომიკური ეფექტი მოსახლეობის უმრავლესობაზე. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონული მნიშვნელობის პროექტები, მათ შორის, გზების, მიწისქვეშა კომუნიკაციების, ტროტუარების მოწყობა/რეაბილიტაცია; წყალგაყვანილობა და წყალნარინები, ხიდების რეაბილიტაცია; გარე განათების მოწყობა/რეაბილიტაცია; სასმელი წყლის ჭაბურღილების და სისტემების მოწყობა; საკანალიზაციო სისტემების და მუნიციპალური ნარჩენების მართვა; საცხოვრებელი და საჯარო შენობების შეკეთება/რეაბილიტაცია და სხვა.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა რეგიონული განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი - „2015-2017 წლების

40

საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა“. აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს საშუალოვადიან სამთავრობო

დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, შესაბამის პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს, მათი დაფინანსების კონკრეტულ წყაროებს და ადგენს საჭირო პირობებს ქვეყნის რეგიონების დაბალანსებული და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სისტემური ხელშეწყობისთვის. არსებითად, პროგრამა წარმოადგენს ევროკავშირის ანალოგიური დაგეგმვის სტანდარტებთან მაქსიმალურად დაახლოებულ პირველ უწყებათაშორის პროგრამულ დავალებას რეგიონული განვითარებისა და რეგიონული გათანაბრების კუთხით. იგი აერთიანებს რამდენიმე სამინისტროს ძალისხმევას და შესაბამის პროგრამულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელთა საერთო ბიუჯეტიც აღემატება 3 მილიარდ ლარს. პროგრამის მიღება და მისი ეფექტიანი, უწყებათაშორისი განხორციელება პირდაპირ პასუხობს ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგის შესაბამისი დებულებების და აგრეთვე, „კოჰეზიის“ საერთო ევროპული პოლიტიკის განხორციელების მიზნებსა და ამოცანებს.

პროგრამა შედგება 5 პრიორიტეტისაგან, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავს დეტალურ ღონისძიებებს:

1. ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა;

2. მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდაჭერა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;

3. სოფლის მეურნეობის განვითარება;

4. ტურიზმის განვითარება;

5. ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესების და პროფესიული განათლების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ეროვნულ და სუბ-ნაციონალურ დონეებზე.

ამ პროგრამულ დავალებას ორი კონკრეტული ამოცანა აქვს: 1) ეკონომიკური განვითარების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც დასაქმების დონე დაბალია; 2) მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, განსაკუთრებით სოფლად და ნაკლებად განვითარებულ ზონებში. ახლო მომავალში იგეგმება მეორე პროგრამული დავალების მომზადება, სადაც გამოიკვეთება კრიტიკულ საჭიროებებზე მორგებული პრიორიტეტების განახლებული ბადე, შესატყვისი პროგრამული ღონისძიებებითა და დაფინანსების წყაროებით.

ჩართულობა - თანამშრომლობა ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის: საქართველოში რამდენიმე ათეული წელია სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობს ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის თანამშრომლობის ფორმების - ინფორმირება, კონსულტაცია, აქტიური მონაწილეობა - დანერგვა. ამ

მიმართულებებით საქართველოში რამდენიმე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს, რომლებიც ძირითადად კონცენტრირებულნი არიან სოფლის კატეგორიის დასახლებების დონეზეც. ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის თანამშრომლობის ცალკეული ელემენტები უკვე სავალდებულოა საკანონმდებლო დონეზე და დანერგილიცაა, როგორც მუნიციპალურ, ისე დასახლებების დონეზე.

საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სტრატეგიით ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების, მეწარმეების და მოქალაქეების თანამშრომლობა არის მდგრადი რეგიონული განვითარების და ეფექტიანი რეგიონული მართვის

საფუძველი. მოქალაქეთა მონაწილეობა რეგიონული განვითარების პროცესში უზრუნველყოფს რეგიონული მართვის მეტ გამჭვირვალობას, გახსნილობას, სამოქალაქო თანხმობის მიღწევას და რეგიონული მართვის ეფექტიანობის ამაღლებას.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან განახორციელონ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირება მათი საქმიანობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ.

თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, საქართველოში თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებია: დასახლების საერთო კრება; პეტიცია; სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო; მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა; მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

საქართველოში არსებული მოქალაქეთა ჩართულობის მაგალითებიდან აღასანიშნავია: მუნიციპალიტეტებში შექმნილი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოები; დემოკრატიული ჩართულობის ცენტრები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიასა და პოლიტიკურ პარტიებს სთავაზობს სივრცეებს, მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე დისკუსიისთვის; მუნიციპალიტეტების და დასახლებების დონეზე მოქმედი სათემო ორგანიზაციები, და ა.შ.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში საპილოტე

მუნიციპალიტეტებში შეიქმნა ადგილობრივი განვითარების ჯგუფები. ასეთი ჯგუფების საპილოტე პროგრამა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით ხორციელდება 3 საპილოტე უბანში - ბორჯომის, ლაგოდეხის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში, ხოლო ხულოს მუნიციპალიტეტის

რიყეთის თემში - ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდაჭერით. ადგილობრივი განვითარების ჯგუფები აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და პრიორიტეტული პროექტების შერჩევის და განხორციელების პროცესში. ეს აქტივობები ეფუძნება ევროპული ლიდერ (LEADER) მიდგომის პრინციპებს, რომელიც გულისხმობს ადგილობრივი განვითარების საკითხებში და გადაწყვეტილებების მიღებაში ადგილობრივი ინტერესთა ჯგუფების ჩართულობას.

თავის მხრივ, მოსახლეობა არ არის მზად, სწორად მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება, არ იცის როგორ გაერთიანდეს პრობლემის გარშემო, არ იცნობს მუნიციპალიტეტის ორგანოების კომპეტენციებს და არ იცის როგორ დააყენოს საკითხი მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის საზოგადოებრივი აქტიურობის გაძლიერების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება, მათ შორის:

სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება: საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების მიზნით, საქართველოს მასშტაბით 33 სოფელში, სადაც მდებარეობს საზოგადოებრივი ცენტრი, ადგილობრივი მოსახლეობისათვის 2016 წლის 1 ივლისიდან უფასოდ ატარებს სამართლებრივი და პიროვნული განვითარების ტრენინგებს. სწავლების თემატიკა სოფლად მცხოვრებთა ინტერესების და

საჭიროების გათვალისწინებით შეირჩა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზეა ორიენტირებული. ქართული ენის კურსები არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის: სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი 2015 წლის სექტემბრიდან პერიოდულად ატარებს ქართული ენის შემსწავლელ კურსებს, რათა არაქართულენოვანმა მოქალაქეებმა სახელმწიფო ენის დაუფლებით შეძლონ საკუთარი უფლებების უკეთ რეალიზება, სახელმწიფო სერვისების მარტივად მიღება და ინტეგრაცია თანამოქალაქეებთან.

ნიადაგური რესურსები: ნიადაგი მცენარისთვის აუცილებელი სასიცოცხლო პირობების და სოფლის მეურნეობის წარმოების უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსია. ნიადაგი წარმოადგენს ქვეყნის უმთავრეს ეროვნულ სიმდიდრეს და სოფლის მეურნეობის განვითარების უალტერნატივო საშუალებას. ქვეყნის სავარგულების 6,7 % (მთელი ფართობის) უკავია დამლაშებულ ნიადაგებს, 11% -(300 000 ჰა) მჟავე, 7,3 %- (210 000 ჰა) დაჭაობებულ, ხოლო 33% (1 მილიონი ჰა) - ეროზირებულ ნიადაგებს.

საქართველოს ნიადაგური რესურსები საჭიროებენ ნაყოფიერების აღდგენა– გაუმჯობესებას, სოფლის მეურნეობის გაფართოების მიზნით მელიორაციული ღონისძიებების გატარებას.

ტყის რესურსები: საქართველოს ტყეები საფრთხის ქვეშაა არამდგრადი ჭრის, ძოვებისა და არასრულფასოვანი მართვის სისტემის გამო. ქვეყნის ტყის ფონდის დიდი ნაწილი მნიშვნელოვნად დეგრადირებულია. შედეგად, შემცირებულია ტყეზე დამოკიდებული ფლორისა და ფაუნის სახეობების რიცხოვნობაც. ამას გარდა, არ ხორციელდება სხვადასხვა სახის ტყითსარგებლობა (არამერქნული რესურსით სარგებლობა, რეკრეაცია და სხვა).

დღეისათვის სატყეო სექტორში შემდეგი ძირითადი პრობლემები იკვეთება: ტყის რესურსების არამდგრადი მართვა და ხშირად უკანონო მოპოვება, ჭარბი ძოვება, ხანძრები, მავნებლები და დაავადებები, მოუწესრიგებელი ნადირობა და კლიმატის ცვლილება, ხარვეზები კანონმდებლობაში და სატყეო ინფრასტრუქტურა. ყველა ეს ფაქტორი უარყოფით ზეგავლენას ახდენს ტყის ბიომრავალფეროვნებაზე.

სიტუაციას ასევე მნიშვნელოვნად ართულებს საქართველოში არსებული ტყის კატეგორიზაციის საკითხები. სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მონაცემებით,

ტყეების 97.5% ბუნებრივი წარმოშობისაა. იმის გამო, რომ საქართველოს ტყის უმეტეს ნაწილზე ინვენტარიზაცია არ განხორციელებულა, არსებული ინფორმაცია არ იძლევა მაღალი კონსერვაციული უბნების სრულყოფილად გამოყოფის, მდგრადი სატყეო სამეურნეო ღონისძიებების განხორციელებისა და მდგრადი სატყეო პოლიტიკის წარმოების საშუალებას.

2013 წელს დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობით მომზადდა საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 11 დეკემბერს დაამტკიცა. მისი მიზანია ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით, მათი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობას, რაც დადებით ზეგავლენას მოახდენს სოფლის განვითარებაზე.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით (NBSAP) განსაზღვრულია ორი ძირითადი წინაპირობა ტყის მდგრადი ინტეგრირებული მართვის სისტემის ჩამოყალიბებისათვის: ▯ სატყეო სექტორის ოპტიმალური ინსტიტუციური მოწყობა, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია ტყის მართვის გაუმჯობესებასთან; ▯ ეფექტური სატყეო კანონმდებლობა, რომელიც სრულად გაითვალისწინებს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საკითხებს.

მდგრადი და მრავალმიზნობრივი მართვა, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ჩათვლით, მოითხოვს ტყის ოპტიმალური კატეგორიზაციის სისტემის შემუშავებას და დანერგვას, რაც ასევე გულისხმობს დაცული ლანდშაფტების და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიების, ეკოლოგიური დერეფნებისა და მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყეების გამოყოფას და მათ რუკაზე დატანას. ეს შესაძლებელს გახდის ერთი მხრივ, ყველაზე მოწყვლადი ტყის კორომების (მაგ. ხელუხლებელი ტყეების) ეფექტიან დაცვას და მეორე მხრივ, იმ ტყეებით ეფექტიან სარგებლობას, რომლებშიც შედარებით უფრო დიდი მოცულობითაა მერქნის რესურსი.

ბუნებრივი სათიბ-საძოვრები: ბუნებრივი სათიბ-საძოვრები, რომლებსაც ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 23% უკავია, საქართველოს ბიომრავალფეროვნების უმნიშვნელოვანესი და განუყოფელი ნაწილია. მათი რაციონალური გამოყენება მნიშვნელოვანია სოფლის განვითარებისთვის. 90-იან წლებში, საძოვრების გამოყენების პრაქტიკამ უსისტემო და მოუწესრიგებელი სახე მიიღო, შედეგად, დეგრადაციის პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. დღეისთვის, საძოვრების მდგომარეობა ბევრ რეგიონში კრიტიკულ ზღვრამდეა მისული და შეუქცევადი

პროცესების თავიდან ასაცილებლად სასწრაფო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

საქართველოს სემიარიდული ეკოსისტემები, რომელთა დიდი ნაწილი საქონლის ზამთრის საძოვრად გამოიყენება (ვაშლოვანის ეროვნული პარკი და მიმდებარე ტერიტორიები), საფრთხის ქვეშაა ჭარბი და უსისტემო ძოვების გამო. ანალოგიური მდგომარეობაა დიდი კავკასიონის ალპურ საძოვრებზე. გარდა ამისა, ალპური და სემიარიდული სათიბ-საძოვრები კლიმატის ცვლილების მიმართ ძლიერ მგრძნობიარეა.

კანონმდებლობა და სახელმწიფო პროგრამები არ განსაზღვრავს საერთო საძოვრების მდგრადი გამოყენების ინსტიტუციურ ჩარჩო-პირობებს. არ ხდება სოფლების საერთო სარგებლობაში არსებული საძოვრების გამოყენების კონტროლი და არ მიმდინარეობს საძოვრების მდგრადი მართვის პრინციპების დაცვა. საქართველოს კანონით „ნიადაგის დაცვის შესახებ“ განსაზღვრულია ძოვების ნორმების დადგენა მხოლოდ მაღალმთიანი საძოვრებისთვის. კანონი არ არეგულირებს ძოვების საკითხებს ზამთრის საძოვრებზე.

გამონაკლისს წარმოადგენს დაცული ტერიტორიების ტრადიციული გამოყენების ზონები. კანონის თანახმად, ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონა ეწყობა ბუნების დაცვისა და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციულ გამოყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობისათვის. ამ ზონაში დაიშვება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებითა და ბუნებრივი პროდუქტიულობით ლიმიტირებული თიბვა, ძოვება, საშეშე მერქნის მოპოვება და სხვა, ხოლო ხვნა-თესვა და არატრადიციული მუდმივი სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების განთავსება დაუშვებელია. ამ ტერიტორიების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის გეგმების საფუძველზე, რომლის ფარგლებში აუცილებელია საძოვრების მართვის ელემენტების შემუშავება, რაც მოიცავს ეროზირებული

მონაკვეთების გამოვლენის მეთოდიკების შემუშავებას, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მდგრადი გამოყენების ღონისძიებების დასახვას, მონიტორინგს და სხვა. აღნიშნული გეგმები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს, როგორც სანიმუშო საპილოტე პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს საძოვრების მდგრადი მართვის ელემენტების დანერგვას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

წყლის რესურსები: წყალი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსია საქართველოში. ქვეყანაში 26 ათასზე მეტი მდინარე, 860-მდე ტბა, 12 წყალსაცავი და მრავალი თევზსაშენი ტბორია. საქართველოს შიდა წყლებში გვხვდება 80-ზე მეტი სახეობის თევზი, 100ზე მეტი სახეობის კიბოსნაირი, 58 სახეობის მოლუსკი (წყლის უხერხემლოთა სხვა ჯგუფებზე ინფორმაცია დაუზუსტებელია), 2 600-ზე მეტი წყალმცენარე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მართალია საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით, თუმცა ეს რესურსი ბუნებრივად არათანაბრად არის გადანაწილებული

და უპირატესად თავმოყრილია საქართველოს დასავლეთ ნაწილში, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის რეგიონები ხშირად წყლის ნაკლებობას განიცდის. ამასთან, ხშირ შემთხვევაში წყლის რესურსი ინტენსიურად გამოიყენება.

მნიშვნელოვნად შემცირებულია ან სახეშეცვლილია შიდა წყლების ეკოსისტემები, ჭაობების დაშრობისა და წყალსატევებში წყლის დონის ხელოვნურად რეგულირების გამო. შხამ-ქიმიკატების ჭარბი გამოყენების, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვების გამო დაბინძურებულია როგორც შიდა წყლები, ისე შავი ზღვა.

წყლის დაბინძურება საფრთხეს უქმნის წყლის ეკოსისტემებთან დაკავშირებულ მრავალ სახეობას. მონიტორინგის არსებული მონაცემებიც აჩვენებს, რომ საქართველოში წყლის დაბინძურების ძირითადი წყარო მუნიციპალური ჩამდინარე სასოფლო სამეურნეო სავარგულებიდან ჩამონადენი წყლებია. გამოკვლეული მდინარეების უმრავლესობაში ამონიუმის, ხოლო ცალკეული მდინარეების ზოგიერთ კვეთებზე მძიმე ლითონების კონცენტრაცია აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

საქართველოს ზედაპირული წყლების ობიექტებში ჩაშვებული დაბინძურებული წყლების 70%-ზე მეტი მუნიციპალურ ჩამდინარე წყლებზე მოდის. სამრეწველო სექტორებიდან ზედაპირული წყლების ხარისხზე განსაკუთრებით ზეგავლენას ახდენს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება, ნავთობის გადამუშავება და კვების მრეწველობა. დაბინძურების სხვა წყაროებია: არასანიტარიული ნაგავსაყრელები, ნარჩენების არალეგალური განთავსება და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები.

ჰიდროლოგიური და წყლის დაბინძურების მონიტორინგის არასაკმარისი მონაცემების გამო რთულია საქართველოში ზედაპირული წყლების მდგომარეობის სრული სურათის შექმნა. წყლის ხარისხის ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად საჭიროა მონიტორინგის ქსელის გაფართოება, მონაცემების რეგულარული შეგროვება და წყლის ობიექტების სტატუსის შეფასება. ეს ინფორმაცია აუცილებელია წყლის სტატუსის გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებების დაგეგმვისათვის.

„წყლის შესახებ" საქართველოს კანონის ნორმების უმეტესობას გააჩნია უკიდურესად სუსტი სამართლებრივი კავშირი მომიჯნავე სფეროებში მოქმედ დარგობრივ კანონმდებლობასთან. წყლის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით ფაქტობრივად არ რეგულირდება წყლის ბუნებრივი რესურსების მართვასთან, წყლის

ობიექტების ფლობასთან, სარგებლობასთან და განკარგვასთან დაკავშირებული საკითხები. არ არის დარეგულირებული წყალსარგებლობის მთელი რიგი ფორმები (მათ შორის ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღება), ჩამდინარე წყლებით წყლის ობიექტების დაბინძურება (წყალჩაშვება) და სხვა.

წყლის სფეროში ძირეული გაუმჯობესების მიღწევა მხოლოდ ამ სფეროს მიზანმიმართული და თანმიმდევრული რეფორმირებით და მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკის და საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების ეტაპობრივი დანერგვით არის შესაძლებელი.

წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების დანერგვა მნიშვნელოვანია წყლის რესურსების მდგრადი მართვის და რაციონალური გამოყენებისთვის. ამ კუთხით მნიშვნელოვანია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული რეფორმების განხორციელება.

შიდა წყალსატევების ბიოლოგიური რესურსების დაცვისა და მდგრადი სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა არსებული კანონმდებლობის დახვეწა და ეფექტიანი მარეგულირებელი მექანიზმების შემოღება, მათ შორის, კონტროლის ეფექტიანად განხორციელების კუთხით. ეფექტიანი დაგეგმარების მიზნით, სრულყოფილად უნდა ამოქმედდეს შიდა წყალსატევებისა და მათი ბიომრავალფეროვნების, ასევე, წყლის ხარისხის მონიტორინგის სისტემა. ყოველივე ამან უნდა უზრუნველყოს წყლის რესურსების დაცვა და მათი მდგრადი გამოყენება წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების შესაბამისად, ასევე, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

ნარჩენების მართვა: ნარჩენები და მათი მართვა საქართველოში ერთ-ერთ უმთავრეს გარემოსდაცვით პრობლემას წარმოადგენს. პრობლემა კომპლექსურია და მოიცავს გარემოს დაბინძურებას

საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, მოუწესრიგებელი ნაგავსაყრელების არსებობას, ასევე, სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ნარჩენების მართვის კოდექსი, რომელიც 2014 წლის 26 დეკემბერს იქნა მიღებული, ეფუძნება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული რეგულაციების მოთხოვნებს, ასევე, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და ითვალისწინებს რთული ინფრასტრუქტურული სისტემის არსებობას შეგროვების (მათ შორის, სეპარირებული შეგროვების), ტრანსპორტირების, გადამტვირთავი სადგურების, ნარჩენების გადამუშავების, აღდგენის და განთავსების ობიექტების ჩათვლით. კოდექსის იმპლემენტაციისათვის მიღებულ იქნა მთელი რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. ევროკავშირის ნარჩენების მართვის კანონმდებლობასთან შემდგომ დაახლოებას და მის ეფექტიან განხორციელებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნარჩენების მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის შექმნის და დანერგვის მიზნით, 2016 წლის 1 აპრილს საქართველოს მთავრობის მიერ N160 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა ,,საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია“ და ,,2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“. ორივე დოკუმენტი ემსახურება ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი

ვალდებულებების უფრო ეფექტიან იმპლემენტაციას. სტრატეგიის მიზნები და ამოცანები ფორმულირებულია ერთის მხრივ, ნარჩენების მართვის სფეროში არსებული გადაუდებელი პრობლემების გადაჭრისთვის და მეორეს მხრივ, გრძელვადიანი ხედვისათვის აუცილებელი საბაზისო პირობების მიღწევისთვის. სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის

დანერგვა და გამართული ფუნქციონირება, რაც მოიცავს საყოფაცხოვრებო ნარჩენის შეგროვებას და ტრანსპორტირებას ნაგავსაყრელებზე, ასევე, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავებას.

საქართველოში, ასევე არ ტარდება ღონისძიებები ნაგავსაყრელზე მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირების მიმართულებით, რაც ასევე სერიოზული პრობლემაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსი ითვალისწინებს მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის სტრატეგიის შემუშავებას.

საქართველოში მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავებისთვის დაწესებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი, რომლის ოდენობას მუნიციპალიტეტი ადგენს. მუნიციპალიტეტების მიერ განსაზღვრული მუნიციპალური ნარჩენების მოსაკრებლის ოდენობა დაბალია და ის სრულად ვერ ფარავს ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების და დამუშავების ხარჯებს. ნარჩენების შეგროვების და ტრანსპორტირების ღირებულების უდიდესი ნაწილი სუბსიდირებულია მუნიციპალიტეტების მიერ. შესაბამისად, ხარჯების ამოღების სისტემა ნარჩენების მართვის სფეროში გაუმჯობესებას საჭიროებს. შედეგად, გამოყენებული ტექნიკური აღჭურვილობის და ნარჩენების შეგროვების ხარისხი, უმეტეს რეგიონებში, არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს.

კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი კატასტროფები: კლიმატის ცვლილება თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. თუმცა, ბოლო ორასი წლის განმავლობაში კლიმატის ცვლილებაზე უდიდეს ზეგავლენას სამეწარმეო და სამეურნეო საქმიანობა ახდენს, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია წიაღისეული საწვავის (ნავთობის პროდუქტები,

გაზი, ნახშირი და სხვ.) მოპოვება, ტრანსპორტირება და მოხმარებისას ატმოსფეროში გამოფრქვეული "სათბურის გაზები".

კლიმატის ცვლილება და მისი უარყოფითი გავლენა ეკოსისტემებსა და ეკონომიკაზე სერიოზული საფრთხეა, რომელსაც საქართველო განიხილავს მდგრადი განვითარების კონტექსტში. საქართველოში კლიმატის ცვლილების ნიშნები მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან შეიმჩნევა და სულ უფრო სწრაფ და მკვეთრი ხასიათს იღებს. უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის მატებამ დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში 0.7°C-ს,

აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში კი 0.6°C-ს მიაღწია20. გაიზარდა ექსტრემალური მოვლენების (წყალდიდობების, წყალმოვარდნებისა და მეწყერების; გვალვების - განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში) ინტენსივობა და სიხშირე, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, რომელიც დღეისთვის სოფლის მოსახლეობის ძირითად შემოსავალის წყაროს წარმოადგენს.

საქართველოს აგროეკოსისტემები საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკური საფუძველია და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მოვლენები სავარაუდოდ სერიოზულ ზეგავლენას მოახდენს სოფლის მეურნეობის განვითარებასა და მის პროდუქტიულობაზე. ეს რისკები ძირითადად დაკავშირებულია საშუალო წლიური ტემპერატურის მატებასთან, ნალექების მოცულობის და ხასიათის ცვლილებასთან, ექსტრემალურ კლიმატურ მოვლენებთან (გვალვები, წყალმოვარდნები, ქარიშხლები, ძლიერი ქარები). უმთავრესი რისკების კატეგორიას მიეკუთვნება ვეგეტაციის პერიოდში ნალექების მოცულობის ცვლილება, რასაც ნეგატიური შედეგები მოჰყვება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე. ასევე, სერიოზულ

პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება გვალვების და მათი ხანგრძლივობის მატებაც.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები გათვალისწინებული უნდა იქნას რეგიონულ და მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტებში, კონკრეტული რეგიონის თუ მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური ზეგავლენის თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ორგანოებში დასაქმებულ პირთა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება კლიმატის ცვლილებასთან და მის ნეგატიურ ზეგავლენასთან დაკავშირებით, ასევე, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური შედეგების შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.

ძირითადი გამოწვევები: სიტუაციური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა მთელი რიგი მწვავე პრობლემები, რომლებიც საქართველოს სოფლებში შეინიშნება:

 სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შემცირება და ასაკის მატებით გამოწვეული პრობლემები;

 მწვავე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა მთიან რეგიონებში; შედარებით მცირე მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ სექტორებში;

 ნაკლებად დივერსიფიცირებული სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, დაბალი პროდუქტიულობა, სოფლის მეურნეობის სექტორში გაწეულ საქმიანობებში დაბალი დამატებული ღირებულება; სოფლად მცხოვრები ოჯახების შედარებით დაბალი

შემოსავალი და სიღარიბის მაღალი დონე; სოფლად დასაქმების შესაძლებლობათა სიმწირე;

 მიწების დანაწევრება და არაეფექტური ეკონომიკური პირობები მიწათმოქმედების და მესაქონლეობის სექტორებში; არასათანადოდ განვითარებული (მათ შორის, სარწყავი) ინფრასტრუქტურა, საძოვრების სიმცირე, სასაწყობე და მარცვლეულის შესანახი ობიექტების სიმცირე ან/და მათი სარგებლობისთვის დაწესებული მაღალი ფასები;

მნიშვნელოვანი ფართობის აუთვისებელი ტერიტორიები/მიწები; გასაღების ბაზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა;

 ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა; ფერმერული მეურნეობების განვითარების დაბალი დონე (ფერმერების უმრავლესობა იღწვის საარსებო ან ნახევრად კომერციული ბიზნესის შესანარჩუნებლად);

 ბიზნესისა და მარკეტინგისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ნაკლებობა წარმოების შესაძლებლობების განვითარების დაბალი დონე; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი; საქონლის ექსპორტისთვის კონკურენტუნარიანი პროდუქციის სიმცირე; ადგილობრივი კულტურების არასაკმარისი განვითარება იმპორტული პროდუქციის მიმართ კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით; საკონსულტაციო მომსახურებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა; ახალი ტექნოლოგიების სიმწირე; არასათანადოდ განვითარებული ადგილობრივი საგზაო ინფრასტრუქტურა; სასმელი წყლის ოჯახებისთვის მიწოდების პრობლემა; მაღალი სიჩქარის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის არარსებობა რიგ რეგიონებში;

 გასაუმჯობესებელი და უფრო მეტად გასავითარებელი საზოგადოებრივი ცენტრები და მისი მეშვეობით შეთავაზებული

საჯარო და კერძო სექტორის სერვისების ხელმისაწვდომობის მასშტაბები; ადგილობრივი მოსახლეობის პასიურობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართულობის თვალსაზრისით და

ადგილობრივი თვითმმართველობის გამოუცდელობა განვითარების თანამედროვე მიდგომების გამოყენებაში;

 საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლებობა შორეული სოფლებიდან მოსწავლეების სკოლებში ტრანსპორტირებისთვის; სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დაბალი ხელმისაწვდომობა პროფესიულ განათლებასა და ტრენინგებზე;

 დაცული ტერიტორიების არასათანადო ეფექტურობა, გადაშენების პირას მყოფი სახეობების არასახარბიელო მდგომარეობა და ბუნებრივი რესურსების მარაგის არამდგრადი გამოყენება; დეგრადირებული ტყის ფონდის დიდი ნაწილი; საძოვრების მდგრადი მართვის პრინციპების დაცვის ნაკლებობა/არარსებობა;

 წყლის დაბინძურება და ნარჩენების მართვის მოუწესრიგებელი სისტემა; კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სირთულეები.

ეკონომიკური განვითარება და კონკურენტუნარიანობა: სოფლის ეკონომიკა შედარებით სუსტად არის განვითარებული და მას მნიშვნელოვანი სტრუქტურული ხარვეზები გააჩნია. აქედან გამომდინარე, იგი ნაკლებად კონკურენტუნარიანია და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ვერ ქმნის დასაქმებისა და მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ შესაძლებლობებს. სოფლის ეკონომიკაში არსებული საწარმოო კაპიტალი მხოლოდ არსებობის აუცილებლობისთვისაა საკმარისი და იგი ძირითადად მიმართულია შიდა მოხმარებაზე, ვიდრე კომერციული მიზნებისთვის. ფერმერულ მეურნეობაში შეინიშნება წარმოების შესაძლებლობათა დეფიციტი და მაღალი დამატებული

ღირებულების მქონე პროდუქტის წარმოების არასაკმარისი სურვილი. სოფელს გააჩნია აუთვისებელი და გამოუყენებელი ბუნებრივი რესურსების მარაგი, რომელთა ჯეროვანი გამოყენებაც ხელს შეუწყობდა როგორც სოფლის განვითარებას, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას.

სოფლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სოფლად ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის განვითარებისკენ მიმართული მიზნობრივი ღონისძიებები და სექტორში ინვესტიციების მოზიდვა. ეს საკითხები სოფლის განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია. მოკლევადიან პერიოდში სოფლის განვითარებას სტრატეგიამ დამატებული სარგებელი შეიძლება შესძინოს როგორც სოფლის მეურნეობის და სხვა მიმართულებებით არსებული ინიციატივების ერთობლივად თავმოყრის, ასევე, ახალი ინიციატივების პილოტირებით და წარმატებული მაგალითების პოპულარიზაციით.

სოციალური მდგომარეობა და ცხოვრების დონე: სოფლის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში, რთულია და ცხოვრების დონე დაბალი. სოფლის მოსახლეობა თანდათან მცირდება, ხოლო მოსახლეობის ასაკი იზრდება. ახალგაზრდა მოსახლეობისათვის, ტრადიციული და მცირე ზომის მეურნეობიდან გამომდინარე, თითქმის არ არსებობს სიღარიბისაგან თავის დასაღწევად აუცილებელი შესაძლებლობები. ოჯახების უმრავლესობა დამოკიდებულია ქალის შრომაზე, რაც ჯეროვნად არ ფასდება. დაბალი მწარმოებლურობა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე უარყოფითად აისახება სოფლად მცხოვრებთა შემოსავალზე. გარდა ამისა, წინა წლებში სოფლად მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესის გაჭიანურებამ, თავის მხრივ, შეაფერხა ფინანსებზე წვდომა, რაც გამოწვეული იყო ფერმერებისა და

შინამეურნეობების მიერ საკრედიტო რესურსის მისაღებად საჭირო უზრუნველყოფის საშუალებებზე (ძირითადად, უძრავი ქონების) საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის არქონით. სწორედ მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის არქონა არის მიწის ბაზრის განვთარების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი. მნიშვნელოვანია, რომ ამ მიზნით, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, 2016 წელს ამოქმედდა კანონი, რომელიც მიწის რეგისტრაციას ამარტივებს და მას მოქალაქეთათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდის. საკანონმდებლო ცვლილებების მიზანი იმ სირთულეების აღმოფხვრაა, რომელთაც მიწის ნაკვეთების მფლობელები ქონების რეგისტრაციის პროცესში აწყდებოდნენ. კანონის თანახმად, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა გამარტივდა; მოიხსნა ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა, ხოლო რეგისტრაციის პროცედურა წახალისდა. ახალი კანონი უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებასა და მესაკუთრის უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული. უპრეცედენტო პროექტი, რომელმაც მოქალაქეებისთვის მიწის რეგისტრაციის პროცესში არსებული ბარიერები მოხსნა, ხოლო პროცედურები მაქსიმალურად გაამარტივა, 2016 წლის 1 აგვისტოდან დაიწყო. რეგისტრაციის პროცესი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა ფერმერული მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა მნიშვნელოვანი დარგების განვითარებას.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა: საქართველო მდიდარია უნიკალური ბუნებრივი რესურსებით, რომელთა შენარჩუნება, მოფრთხილება და დაცვა აუცილებელია მომავალი თაობებისათვის. საქართველოს ეკოსისტემის მრავალფეროვნება საერთაშორისო დონეზეა აღიარებული, თუმცა ეკოსისტემაში შემავალი ადგილობრივი ჯიშების 60% გადაშენების პირასაა. არსებული მარეგულირებელი სისტემა საჭიროებს

განახლებას, ხოლო გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის სისტემები - განვითარებასა და გაძლიერებას. პრობლემას წარმოადგენს ნარჩენების არაეფექტიანი მართვა და მისგან გამოწვეულ საფრთხეები, რაც უკავშირდება როგორც მუნიციპალური, ასევე სამრეწველო ნარჩენებით საზოგადოებრივი

ადგილებისა და წყლის მომპოვებელი ჭების დაბინძურებას. წყლის რესურსების დაბინძურება აზიანებს როგორც გარემოს სოფლად, ასევე ხელს უშლის ამ რესურსების ეკონომიკური პოტენციალის სრულყოფილად გამოყენებას.

სტრატეგიული ხედვა და ამოცანები: საქართველოს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის და სოციალური მდგომარეობის მუდმივი ზრდის უზრუნველყოფა, რომელიც დაეფუძნება მრავალფეროვან ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ხელმისაწვდომ სოციალურ სიკეთეებს, მდიდარ კულტურულ ცხოვრებას, გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას.

ეს ხედვა გრძელვადიანია. სასურველი მდგომარეობის მიღწევას დასჭირდება მნიშვნელოვანი ძალისხმევა, პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეების ინტენსიური მუშაობა და საზოგადოებრივი ინვესტიციები, რაც სტრატეგიით გათვალისწინებულ 2017-2020 წლების პერიოდს გასცდება.

შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი სტრატეგიული ამოცანები ასახავს სოფლის განვითარების უახლოესი ოთხი წლის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტებს და მთავრობის ხელთ არსებულ შესაძლებლობებს ამ პერიოდისათვის. ის მნიშვნელოვანი ამოცანები რაც ვერ გადაიჭრება ამ სტრატეგიით გათვალისწინებულ პერიოდში, ასახული იქნება სოფლის განვითარების სტრატეგიებში შემდგომი პერიოდისათვის.

საფრთხეები

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება სოფლად სიღარების მაღალი დონე და დაბალი შემოსავლები; სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებული ოჯახების დიდი წილი სოციალური დახმარების მიმღებთა საერთო რიცხვში სოფლად მოსახლეობის გადაბერება, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე სტიქიური მოვლენების (სეტყვა, გვალვა, წყალდიდობაწყალმოვარდნა, ძლიერი ქარები და სხვა) უარყოფითი ზეგავლენა, გამძაფრებული კლიმატის ცვლილების ფონზე საძოვრების უსისტემო გამოყენების გაგრძელების შემთხვევაში მათი დეგრადაციის შექუქცევად ფაზაში გადასვლა ბიომრავალფეროვნების უწყვეტი და შეუქცევადი დაკარგვა საყოფაცხოვრებო ნარჩენების სტიქიური ნაგავსაყრელები ტყის ფონდის მიმდინარე დეგრადაცია ზედაპირული წყლების დაბინძურება, მათ შორის, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული სასუქებითა და ქიმიკატებით სოფლად სკოლის მიტოვების შედარებით მაღალი სიხშირე (განსაკუთრებით გოგონების მიერ)

სტრატეგიული ამოცანები: საქართველოში ამ ხედვის შეუფერხებელი განვითარებისათვის, სოფლის განვითარების სტრატეგიაში განსაზღვრულია 9 ამოცანა, რომელიც შემდეგ 3 პრიორიტეტშია გაერთიანებული:

1. ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა; 2. სოციალური პირობები და ცხოვრების დონე; 3. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა.

ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა

ამოცანა 1: ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება, რესტრუქტურირება და მოდერნიზაცია დივერსიფიკაციისა და ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით.

ამოცანა 2: სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით და მდგრადი არასასოფლოსამეურნეო მიმართულებების განვითარების საშუალებით.

ამოცანა 3: სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება სოფლის სპეციფიკისა და უნიკალური კულტურული იდენტობის საფუძველზე.

სოციალური პირობები და ცხოვრების დონე

ამოცანა 1: ცნობიერების ამაღლება ინოვაციების და მეწარმეობის მიმართულებით. ასევე, თანამშრომლობის წახალისება უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობით (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისათვის).

ამოცანა 2: ინფრასტრუქტურა და სერვისები. სოფლის ძირითადი ინფრასტრუქტურის (მათ შორის კულტურულ მემკვიდრეობების ძეგლებამდე მიმავალი გზებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის) გაუმჯობესება და ხარისხიანი სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩათვლით.

ამოცანა 3: ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა. სოფლის მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების) ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრაში.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა

ამოცანა 1: წყლის, ტყისა და სხვა რესურსები. მიზნობრივ სოფლის ტერიტორიებზე წყლის, ტყისა და სხვა რესურსების მართვის გაუმჯობესება.

ამოცანა 2: ნარჩენების მართვა. სოფლად ნარჩენების მართვის მდგრადი სისტემების განვითარების ხელშეწყობა.

ამოცანა 3: კლიმატის ცვლილება. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური გავლენის შერბილების ღონისძიებების განხორციელება. რისკების შეფასება.

რისკების შეფასება

ინსტიტუციური დონე: სტრატეგიის განხორციელებაში ჩართულია როგორც სახელმწიფო ხელისუფლების, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. გარდა ამისა, სოფლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ჩართულობის მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება, რაც გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობას როგორც ადგილობრივი პრობლემების იდენტიფიცირებისა და საჭიროებების განსაზღვრაში, ასევე, მათ მოგვარებაში. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია კომპეტენციების მკაფიო გამიჯვნა და მათ შორის აქტიური, კოორდინირებული თანამშრომლობა.

პოლიტიკური რისკები

რეგიონში არსებულმა გეოპოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს სტრატეგიის განხორციელებაზე და დასახული მიზნების მიღწევაზე.

ეკონომიკური რისკები

ეკონომიკური ზრდის დაბალი დონე, ეკონომიკური არასტაბილურობა, სოფლად სუსტი სამეწარმეო უნარ-ჩვევები, ფინანსურ რესურსებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ინფრასტრუქტურის სუსტად განვითარების პირობებში, პოტენციურ რისკებს წარმოადგენს სოფლის განვითარებისთვის.

სოციალური რისკები

სოფლად არსებული არასახარბიელო დემოგრაფიული სტრუქტურა და მიგრაციის მაღალი დონე დაბრკოლებას წარმოადგენს სოფლის განვითარებისთვის. გარდა ამისა, ჯანდაცვასა და განათლებაზე შეზღუდულმა ხელმისაწვდომობამ შესაძლოა

ნეგატიური გავლენა იქონიოს სოფლის განვითარებაზე. სხვადასხვა ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებს შორის და მათ ფარგლებში თანამშრომლობის დაბალი დონე სოფლის განვითარებისთვის ასევე შესაძლო რისკებია.

ფინანსური რისკები

სოფლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსების ნაკლებობა ან/და მათი არასათანადო მართვა შესაძლო ბარიერია სოფლის განვითარებისათვის.

ეკოლოგიური რისკები

კლიმატის ცვლილება, წყალდიდობები და სხვადასხვა შესაძლო ბუნებრივი კატასტროფები საფრთხის შემცველია სოფლის განვითარებისათვის. უფრო მეტიც, გარემოსდაცვით საკითხებზე სოფლის მოსახლეობის ცოდნის დაბალმა დონემ სოფლის ტერიტორიების გარემოზე შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედოს.

ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე სტრატეგია მოიცავს სოფლის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მიმართულებას, მათ შორის, გარემოს დაცვას, ტურიზმს, სოფლის მეურნეობას, სოფლის ინფრასტრუქტურას, სოფლის ეკონომიკურ განვითარებას და ა.შ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამთავრობო უწყებებს შორის

მჭიდრო თანამშრომლობა და ამასთანავე, ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა. თითოეული უწყების პასუხისმგებლობას წარმოადგენს, ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით, ისეთი ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას და სოფლის განვითარების მიმართულებით ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას.

განხორციელების ინსტიტუციური ჩარჩო და კოორდინაცია

სოფლის განვითარების სტრატეგიის განხორციელებას კოორდინაციას გაუწევს სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში - საკოორდინაციო საბჭო), რომელიც შეიქმნება და უზრუნველყოფს ამ პროცესში ყველა შესაბამისი პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყების ჩართულობას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო არის სოფლის განვითარების სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში წამყვანი უწყება, რომელიც ხელმძღვანელობს საკოორდინაციო საბჭოს.

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელებისთვის საკოორდინაციო საბჭო აქტიურად ითანამშრომლებს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, კერძო სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, რაც

წარმოადგენს ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გარანტს.

მუნიციპალიტეტების ჩართულობა ეფექტიანია ასევე სოციალური ხასიათის ღონისძიებების ორგანიზების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს ევროკავშირში არსებული LEADER-ის მიდგომის შესაბამისი, ადგილობრივი სამოქმედო

ჯგუფების ფუნქციონირებას და მათ მიერ ადგილობრივ საჭიროებებზე ორიენტირებული განვითარების გეგმის შემუშავებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნება სოფლის განვითარების დეპარტამენტი, რომელიც განახორციელებს სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების ადმინისტრირებას, ხოლო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებასა და რეგულარული მონიტორინგის ანგარიშების მომზადების კოორდინაციას უზრუნველყოფს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

სოფლის განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, საკოორდინაციო საბჭო უზრუნველყოფს შესაბამისი საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

დაფინანსება

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით, ასევე, ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების ასიგნებების ფარგლებში, რომელიც საფუძვლად უდევს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებას.

სახელმწიფო ბიუჯეტი არის სოფლის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების დაფინანსების ძირითადი წყარო. საქართველოს შესაბამისი სამინისტროების და საქართველოს მთავრობას დაქვემდებარებული შესაბამისი უწყებების მიერ მომზადებული სტრატეგიის დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები უნდა შეესაბამებოდეს ამ სტრატეგიით განსაზღვრული პოლიტიკის პრიორიტეტებს.

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელებისთვის უზრუნველყოფილ იქნება საერთაშორისო პარტნიორების და დონორი ორგანიზაციების ჩართულობა.

სოფლის განვითარების მიმართულებით ინიცირებული პროექტების დაფინანსება განხორციელდება სხვადასხვა უწყების დაქვემდებარებაში არსებული პროექტების განმახორციელებელი სააგენტოების ან/და ფონდების მიერ.

საერთაშორისო თანამშრომლობა

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ეფექტური განხორციელებისათვის, საქართველოს მთავრობა მჭიდროდ ითანამშრომლებს საერთაშორისო

პარტნიორებთან, საერთაშორისო დონორებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან როგორც რესურსების მობილიზების, ასევე, ტექნიკური მხარდაჭერის მიღების მიმართულებით. ამ მხრივ პრიორიტეტულია თანამშრომლობა ევროკავშირთან. 6.5. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

სოფლის განვითარების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სტრატეგიით დასახული მიზნების ეფექტიან განხორციელებას და შედეგების მდგრადობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება როგორც მოსახლეობის, ასევე კერძო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმირებულობას, მათ კონსულტაციებში ჩართულობის უზრუნველყოფას, რათა გამოხატონ თავიანთი აზრი და მოახდინონ მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების ინიცირება. აღნიშნული პროცესი იძლევა „ქვემოდან ზემოთ“ მიდგომის განხორციელების შესაძლებლობას და უზრუნველყოფს სოციალური განათლების, ნდობის და ურთიერთგაგების გაღრმავებას.

შესაბამისად, განისასაზღვრება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მექანიზმები.

მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიის განხორციელების პროცესში შემუშავდება მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემა, რათა განისაზღვროს ეკონომიკური ზრდის და სოფლის განვითარების სათანადო პოლიტიკის ჩარჩო.

მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემა უზრუნველყოფს კონკრეტული პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შედეგებისადმი ერთიან მიდგომას და შეფასებას, რაც მნიშვნელოვანია დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტიანობისთვის.

მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემა გამოიყენებს შეთანხმებულ ინდიკატორებს რომლებიც ასახავენ საწყის მდგომარეობას, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების, მათი უშუალო შედეგებისა მაღალი დონის საბოლოო მიზნების მიღწევის მდგომარეობას.

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგს უზრუნველყოფს საქართველოს სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო.

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

ეკონომიკა და ფინანსები

ჟურნალი წარმოადგენს აკადემიურ გამომცემლობას, რომელიც ყოველკვარტლურად აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს ისეთ სფეროებში როგორიცაა ეკონომიკა, ფინანსები, სოციალური მეცნიერებები და ბიზნეს-ტექნოლოგიები

მთავარი რედაქტორი - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი დავით ჩახვაშვილი

https://www.linkedin.com/in/davit-chakhvashvili/

https://www.facebook.com/davit.chakhvashvili1099

ყდაზე გამოსახულია ანაკლიის პორტის გეგმა. ქალაქი ანაკლია და სპეციალური ეკონომიკური ზონა ღრმაწყლოვანი პორტის ოპერირებასთან ერთად განვითარდება. ის შეავსებს პორტის საქმიანობას და ხელს შეუწყობს მისი, როგორც ქვეყნის მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტის განვითარებას. ანაკლიის პორტი მოემსახურება ბაზრებს კავკასიის რეგიონში (ასევე ცენტრალური აზიისა და კავკასიის იმ რეგიონებს, რომელთაც ზღვაზე გასასვლელი არ აქვთ), 17-მილიონიანი მომხმარებლით, ცენტრალურ აზიაში (ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი) და ჩრდილოეთ ირანში, ჯამში 147 მილიონი ადამიანით.